გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

# შრომათა კრებული

# COLLECTION OF THE WORKS

# №6

2014

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა–846

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება სამთავისისა და გორის ეპარქიისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2013 წლის 4-6 ოქტომბერს ერთობლივად ჩატარებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II-ისადმი მიძღვნილი გორის მეხუთე სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
რედკოლეგია:
მეუფე ანდრია (გვაზავა)
ზაზა ალექსიძე
ბუბა კუდავა
ლია მელიქიშვილი
აპოლონ სილაგაძე
გიორგი სოსიაშვილი
ნოდარ შენგელია
დავით ყოლბაია

კორექტურა: მარიამ კობერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

კრებული გამოიცა შპს ,,საარის‘‘ სტამბაში

ISSN 1512-4657

The Educational Research Center for History and Archaeology of Gori State Teaching University publishes the materials of the Fifth Scientific Conference held on October 4-6, 2013 by Samtavisi and Gori Eparchy and Gori State Teaching University dedicated to the Catholicos-Patriarch of All Georgia Saint Priest Martyr Kirion II.

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Mariam Koberidze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II**

**CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA**
**SAINT PRIEST MARTYR**
**KIRION II**

## შინაარსი სტატიები
## CONTENTS Articles

*იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი* - ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია 8
***Ioseb (Soso) Alimbarashvili*** **-** THE HISTORY OF KHIDISTAVI AND AKHALJVARI

*სოფიო ანდღულაძე* - საერო და სასულიერო მოღვაწეთა ნააზრევის ურთიერთმიმართების საკითხი (ვაჟა-ფშაველასა და წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (კარბელაშვილის) შემოქმედების მიხედვით) 25
***Sopio Andghuladze*** **-** INTERACTION OF CONSIDERATIONS BY SECULAR AND RELIGIOUS FIGURES (ACCORDING TO THE CREATIVE WORKS BY VAZHA PSHAVELA AND HOLY CONFESSOR BISHOP STEPANE OF BODBE (KARBELASHVILI)

*ბალტისა და ანანევის არქიეპისკოპოსი ალექსი (გროხა)* - კათალიკოს-პატრიარქ კირიონის (საძაგლიშვილი) მსახურება ბალტის კათედრაზე *(რუსულ ენაზე)* 33
**Archbishop Alex of Balta and Ananyev -** THE SERVICE BY CATHOLICOS-PARTIARCH KIRION IN THE DEPARTMENT OF BALTA *(in Russian)*

*მანანა ბუკია* - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცული ღირსი ანტონ ჭყონდიდელის დიდმარხვის ქადაგებები 39
***Manana Bukia*** **-** THE LENT SERMONS BY HOLY ANTON OF TCHKONDIDI PROTECTED AT DADIANI PALACE HISTORICAL-ARCHITECTURAL MUSEUM

*ვლადიმერ ბურეგა* – კიევის სასულიერო აკადემიის წმინდანთა დასი: ხსენების დღის დადგენა და იკონოგრაფია *(რუსულ ენაზე)* 52
***Vladimir Burega*** **-** THE TROUPE OF SAINTS AT KIEV THEOLOGICAL ACADEMY: COMMEMORATION DAY AND ICONOGRAPHY *(in Russian)*

*ჯემალ გამახარია* - წმინდა აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) მიერ გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ გამოქვეყნებული წერილები (1912-1917 წლები) *65*
***Jemal Gamakharia*** **-** ARTICLES PUBLISHED IN THE NEWSPAPER "PETROGRADKIE VEDOMOSTI" BY SAINT CONFESSOR AMBROSISUS (KHELAIA) (1912-1917)

*პეტრე მალკოვი* – პატიოსანი ჯვრის სახე ძველ და ახალ აღთქმაში წმინდა მამათა განმარტებების მიხედვით *(რუსულ ენაზე)* *84*
***Peter Malkov*** – THE LOOK OF THE HOLY CROSS IN THE OLD AND NEW TESTAMENTS ACCORDING TO THE DEFINITIONS BY THE HOLY FATHERS *(in Russian)*

*ელდარ მამისთვალიშვილი* - პიპა ქვენიფნეველის ელჩობა ეგვიპტეში იერუსალიმის ქართული სიწმინდეების დასახსნელად *95*
***Eldar Mamistvalishvili*** **-** AMBASSADOR PIPA OF KVENIPNEVI AND HIS MISSION TO SAVE THE GEORGIAN HOLY PLACES IN JERUSALEM

*ია მელნიკოვა* – ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) მსახურება გორის კათედრაზე (1900-1902 წწ.) *(რუსულ ენაზე)* *112*
***Ia Melnikova*** **-** THE SERVICE BY ARCHBISHOP KIRION (SADZAGLISHVILI) IN THE DEPARTMENT OF GORI (1900-1902) *(in Russian)*

*გიორგი სოსიაშვილი* - მართლმადიდებელი ეკლესია შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში *118*
***Giorgi Sosiashvili*** **-** THE ORTHODOX CHURCH AND RELIGIOUS MINORITIES IN SHIDA KARTLI REGION IN THE I QUARTER OF THE XX CENTURY

*მაია შაორშაძე* - საისტორიო მასალები ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ ბესარიონის მოღვაწეობის შესახებ *166*
***Maia Shaorshadze*** **-** HISTORICAL MATERIALS ABOUT ACTIVITIES OF ARCHBISHOP BESARION OF KARTLI, METROPOLITAN OF SAMTAVRO AND GORI

***ნოდარ შენგელია*** - ოსმალური წყარო XIX საუკუნის ისპირის ისტორიისთვის *182*
***Nodar Shengelia* -** AN OTTOMAN SOURCE FOR THE HISTORY OF 19TH CENTURY ISPIR

*იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი,*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*ასოცირებული პროფესორი*

## ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია

საქართველოში ყველა სოფელს ძველთაგან საკუთარი დღესასწაული გააჩნია. იგი ძირითადად კონფესიურ საკითხს უკავშირდება და იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ რომელი წმინდანის სახელზე იყო ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში ეკლესია აშენებული (მარიამობა, გიორგობა, ბარბარობა, თევდორობა და სხვ.), ხოლო ნაწილს სახელიც მფარველის მიხედვით ერქმეოდა: მარიამწმინდა, გიორგიწმინდა, თედოწმინდა, აბოწმინდა, საბაწმინდა და სხვ.

ხიდისთავი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. სოფლის მთავარი დღესასწაული ,,ახალჯვრობაა", რომელსაც 20 (ძველზე 7 მაისს) ზეიმობენ.

საარქივო მონაცემებით, ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია ხიდისთავში აუშენებია მღვდელ გიორგი კოშორიძეს 1801 წელს. ეკლესიის შემკობაში თავისი წვლილი შეუტანია მღვდელ ალექსიევს (ალექსიძეს)[1].

ეს ფაქტი ნარატიული წყაროთიც დასტურდება. ხიდისთავში ახალჯვრის დეკანოზ კოშორიძესთან სტუმრობით იწყებენ თავის ხანგრძლივ მოგზაურობას ,,კალმასობის" გმირები – იოანე ხელაშვილი და გრიგოლ ღამბარაშვილი[2].

---

[1] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები, თბილისი, 2008, 22.

[2] ბატონიშვილი იოანე. ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, ალ. ბარამიძის რედ., თბილისი 1990, 17-22.

,,ხუმარსწავლის" (კალმასობის) წერა იოანე ბატონიშვილმა 1813 წელს დაიწყო. აქედან გამომდინარე, საუკუნის დასაწყისში ხსენებული ეკლესია უკვე არსებობდა და ,,დეკანოზიც" ჰყავდა.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გადმოცემით, ახალჯვრის ეკლესია ქვისგან ყოფილა აგებული, დარბაზული ტიპის (უგუმბათო), წარწერების გარეშე.

ამ ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი ძალზე ძველი ჯვარი სიმაღლით - ორი ადლი (დაახლ. 202 სმ) და შესაფერისი სიგანით. ბოლოში ვერცხლის პერანგზე ვრცელი მხედრული წარწერით: ,,ქ. მრავლისა სახითა წინა დადებითა წინასწარ დიდებითა მოსწავებულსა და შემდგომად დიდითა დიდებითა ნამდვილ გამოჩინებულსა შენ ჯვარსა ცხოველ მყოფელსა ჭ...რმან ქადაგმან გიღაღადო ქებითა ამით დროსა ვნების თვისისა და ხორცითა ვნებული იგი მაცხოვარი ჩვენი ყ~ვ რომელმან შენზედა განპყრობითა გადიდა მან ესრეთ მოგიხსენა და მეტყველმან შენისა დიდებისამან გარქვა ესრედ: გიხაროდენ შენ ჯვარო ხორცითა ქრისტესითა განწმენდილო და ასოთა მიერ მისითა ვითარცა მარგარიტთა მიერ შვენებულო:

ვინაითგან შენ გშვენო დიდება ესე ვითრად განშვენებულსა და სამნაწიბოვნად ერთად შეზავებით ყოვლადსა აღმოსრულსა, ამისათჳს ჩუჱნცა მადიდებელთა შენთა სამნაწილოვანთა სათნოებითა ესე იგი: სარწმუნოებითა სასოებითა და სიყვარულითა ვისურვეთ და ვიგულისმოდგინეთ შემკობისა შენისა განახლება დიდისაგან და ძველისა გამობნიად შემვედრებელთა მეოხებისათა, რომელ პირველ ჩუჱნსა შემერნით შეემკევ მეფესა კონსტანტინეს და აწ დროსა უკეთილმსახურესთა და უმაღლესთა ყოვლისა საქართველოისა და სრულად ხელმწიფეთა ბატონის მამის ჩვენის მეფის ირაკლის მეორისა და თანამეცხედრისა მისისა ბატონის დედის ჩუჱნის დედოფლის დარეჯანისასა, უწმინდესისა ძმისა ჩუჱნისა ანტონ კათალიკოზის პატრიარქობისასა შეგამკეთ შენ მფარველი ჩუჱნი ჯვარი ყოვლად პატიოსანი ჩუჱნის სოფლის ბობნავის ჩუჱნისა ამის ეკლესიისა ახალისა ჯვრის ჩუჱნ მპყრო-

ბელმან სრულიად საუფლისწულოსა ჩვენისამან და ყოველ მსა-ხურთა ძმათა ჩემთა თანამემკვიდრემან სრულიად სამფლობელო-მან ჩვენისა ქვეყნისამან ძემან ზემოხსენებულთა უმაღლესთამან ფარნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან და სძალმან მათმან ქსნის ერისთავის ასულმან ანნა, რომელნიცა გევედრებით შეიწირე მცი-რედი ესე მსახურება ჩუენ მიერ ცხოვრებისა ჩვენისა და შვილთა ჩუჱნთა კეთილწარსამართებლად და დასაცველად, სულ განსაძ-ლიერებლად რათა შენ მიერ განძლიერებულნი ვიქმნეთ მტერთა ზედა და გადიდებდეთ შენ აწდამარადის ვითარცა დიდებულ ხარ ამინ. ასე უკუჱ შეწირვა და შემკობა ჩვენ მიერ რომელ იქმნა დროსვე ჩუჱნთა საუფლისწულო აზნაურთა სააკაძის გრიგოლისა და ზურაბისა რათა ზემოხსენებულისა მის ეკლესიის დეკანოზის გიორგის მღდლის კოშორიძისა, რომელმანცა ჩუჱნითა ბძანებითა დიდი უკუჱ ღვაწლი და მისმა დასდვა მას ზედა და რაღცა რა ელ-ვაწა ესე ყოველი მანცა შესწირა და შემატა დღეგრძელობისათჳს ჩუენისა და თვისის ცხოვრებისათჳს საუკუნისა. თთვესა ოქტონ-ბერსა, რიცხვით ა(=1), წელსა შობითგან ქრისტესით (ჩლ٩) ჩღჟ.; (=1790 წ.) საქართველოს მეფის ძე ფარნაოზ“[1].

წარწერიდან გამომდინარე, ხატი ერეკლე II-ს ოჯახის და-ვალებით შეუმკია მღვდელ - გიორგი კოშორიძეს და საუფლისწუ-ლო აზნაურებს - გრიგოლსა და ზურაბ სააკაძეებს.

როგორც ჩანს, XVIII ს. 80-იან წლებში გიორგი კოშორი-ძეს ადგილობრივ მოხელეებთან პრობლემები შეექმნა და იგი იძ-ულებით სოფ. ხანდაკში გადაუსახლებიათ. 1785 წლის 5 აგვის-

---

[1] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело: „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, 63-64.

აღსანიშნავია, რომ ახალჯვრის აღწერილობა და წარწერები დაცულია თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირად საარქივო ფონდში (ფ. QD-986, საბუთი №10), თუმცა, პეტერბურგში ბროსესთან გაგზავნილ წერილში, ჯვრის აღწერილობიდან მეღვინეთხუცესიშვილს ზოგიერთი ადგილი ამოუღია.

ტოს ერეკლე II-ს სახელზე შესულია არზა, სადაც გიორგი კოშორიძე ადგილობრივ მდივანბეგ თეიმურაზის მიერ ხანდაკში უკანონოდ გადასახლების გამო ჩივის და მეფისაგან სამართალს ითხოვს.

მეფის რეაქციას არ დაუყოვნებია და მდივანბეგისათვის უბრძანებია კოშორიძე უკან დაებრუნებინა: ,,ესენი ხატის შეწირულნი არიან და ამათი აყრა არ იქნება, ხატის ყმა არის დაეხსენო"[1].

რაც შეეხებათ, გრიგოლ და ზურაბ სააკაძეებს, ისინი ხიდისთავში მოხსენიებულნი არიან 1804 წლის კამერალურ აღწერებში[2], 1771 წლის ერთი საბუთით ქაიხოსრო სააკაძე ერეკლე II-ს სთხოვს საკუთარი ყმების ხიდისთავში დასახლებას, რაზედაც მეფის თანხმობას იღებს[3], ზურაბ სააკაძე მოწმეთა შორის ჩანს ხიდისთაველი ნინია ქვაკრეფიაშვილის მიერ გიორგი ანტონაშვილისადმი 1815 წლის 13 ივლისის პირობის წიგნში[4] და სხვ.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ცნობით, ჯვარი იმ კვიპაროსის ხისგან იყო გაკეთებული, რომელიც მცხეთაში უფლის კვართის მოტანისთანავე ამოცენდა და კურნავდა ყველა ადამიანსა და ნადირ-ფრინველს, ვინც კი მის ჩრდილ ქვეშ აღმოჩნდებოდა და შეეხებოდა. მელვინეთხუცესიშვილი უფრო შორსაც მიდის: ,,ზოგნიცა მოუთხრობენ ვითომც ჯვარისა ამის მცირე ნაწილი აწ სვენებული საშუალ მისსა იყოს იმა ულპობელის ხისა, რომელიცა ჰპოვეს კონსტანტინემ და ელენემ და საეკლესიო აცამში რომლისათვისაც დღესასწაულობენ მაისის შვიდს რიცხვსა, ესრედ სწერია: ,,ქალაქსა შინა იერუსალიმს ესრედ უკუჱ იქმნა რომელ წმინდისა ამის თხემისა ადგილის მთადმე წ~სა ზეთისხილისა განცხრომილ იყო იგი ვარსკვლავის სახედ წელსა ხუთი ათას რვაას

[1] ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 150; საბ. №703.
[2] გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ), 7486.
[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, HD-13151.
[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, QD-986.

ორმოცდაექვსსა (ე. ი. 338 წელს. 5508-5846=338 წ. –ი. ა.) დღისით მესამესა აცამსა, თუთ მეერგასესა დღესა შინა მეფობასა კონსტანტინის ძისა დიდისა კონსტანტინესასა“ [1].

,,ახალჯვრობის“ გარდა, ამავე თარიღით ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფელში იმართება კიდევ ერთი რელიგიური დღესასწაული ,,ჯვარპატიოსნობა-ძელიცხოვლობა“. ნ. ღამბაშიძის აზრით, ჯვარპატიოსანი მცხეთის ჯვრის სახელწოდებაა[2]. ამ დღეს საქართველოს ეკლესია იოანე ზედაზნელსა და მის 12 მოწაფეს მოიხსენიებს. 7(20) მაისს ხდება იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების სასწაული, რომელიც კონსტანტინე დიდის დედას - დედოფალ ელენეს უკავშირდება[3], ხოლო ,,კლარჯული მრავალთავის“ მიხედვით - კირილე იერუსალიმელს და 351 წლიდან აღინიშნება. მას შემდეგ, რაც ბიზანტიაში არიანობა გაძლიერდა და მისი მიმდევარი გახდა კონსტანტინე დიდის ვაჟი - კონსტანტინე, კირილე იერუსალიმელმა მას წერილი მისწერა და ქრისტიანობის ერთგულებისაკენ მოუწოდა. კირილე იერუსალიმელის ქადაგების დროს 7 მაისს, იერუსალიმის ცაზე სასწაულებრივად გამოჩნდა ჯვარი და მისი ხილვისას უამრავი ურწმუნო მოინათლა. ამ ფაქტს IV საუკუნის იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკა-

---

[1] კონსტანტინე II მეფობდა 337-340 წლებში, მამის გარდაცვალების შემდეგ.

[2] ნოზაძე თ., ერთი ხალხური დღესასწაულის შესახებ ქართლში (ინტერვიუ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელ ნინო ღამბაშიძესთან). 23.03.2011. საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი ,,ამბიონი“. www.ambioni.ge, ინტერნეტ-რესურსი.

[3] ჭელიძე ე., მცხეთის ჯვრის ღვთისმეტყველება, 10.07.2012, ჟურნ. ,,გული გონიერი“, №1(4), 85-90, www.ambioni.ge, ინტერნეტ-რესურსი.

ში 7 მაისის დღესასწაულის დაწესება მოჰყვა, რომელიც ,,ჯვრის გამოჩინების“ სახელწოდებითაა ცნობილი[1].

სასწაულებრივი (განკურნების) უნარით გამოირჩეოდა წმინდა ნინოს წყაროს გვერდით აღმოცენებული ,,ფურცელდაუცჳნებელი“ ხეც, რომელიც ოცდაოთხ მარტს, ხარების დღესასწაულის დღეს, პარასკევს მოჭრეს. ოცდაჩვიდმეტი დღე ,,არა შეიცვალა ფურცელი მისი ვითარცა ძირსა ზედა მდგომისაჲ თავსა წყაროჲსასა“[2]. თ. მგალობლიშვილის აზრით, 37 დღიანი ინტერვალი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ჯვრის შექმნის დღე ჯვრის დღესასწაულს დამთხვეოდა[3].

ხისგან გამოკვეთეს სამი ჯვარი, რომელთაგან ერთი სვეტიცხოველში 7 მაისს აღმართეს, ხოლო დანარჩენი ორი ერთი კვირის თავზე[4]. ,,მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, სვეტიცხოვლის თავზე ცეცხლოვანი ჯვრის პირველი გამოცხადებაც 7 მაისს მოხდა[5].

7 მაისს გამორჩეული ადგილი უკავია ტაროსშიც. ქართული ტრადიცით, ამ დღეს მოსული წვიმა განსაკუთრებული უნარის მქონე ძალისად იყო მიჩნეული, ნაყოფიერებას უკავშირდებოდა და სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა[6].

როგორც ვხედავთ, ხიდისთავის ახალჯვრის ქრონოლოგია ძალზე დიდია და მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს ბიზანტიის იმპე-

---

[1] კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991, 146.

[2] ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (შატბერდული ვერსია). სამი ისტორიული ხრონიკა. ე. თაყაიშვილის რედ, ტფილისი, 1890, 21.

[3] კლარჯული მრავალთავი, 151.

[4] კლარჯული მრავალთავი, 150.

[5] ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 21.

[6] კოშორიძე თ., ,,შვიდმაისობა ქართლში“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4; თბილისი, 2013, 321, 323-324.

რატორის - კონსტანტინე დიდის ვაჟის - კონსტანტინე II-დან (337-340 წწ.) ვიდრე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მდე (1762-1798 წწ.). ფარნაოზ ბატონიშვილისა და მისი თანამეცხედრის მიერ მათი მფარველი ჯვრის მხოლოდ შემკობა-განახლება ხდება.

ახალჯვრის სასწაულმოქმედ ძალაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქართლში მისი ,,ძალითა და შეწევნით"[1] ხდებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა[2].

სამწუხაროდ, ჯვრის შემდგომ ბედზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია.

თავდაპირველად ჯვრის ადგილსამყოფელი ყოფილა სოფ. ბობნევის ახალჯვრის ეკლესია, რომლის სასწაულებრივ ძალაზე ვახუშტი ბატონიშვილიც მიანიშნებს: ,,სასწაულთმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუჴშველნი და მცველნი არაოდეს ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი"[3].

ეკლესიასა და ხატს საუფლისწულო აზნაურები - სააკაძეები მფარველობდნენ. მათ შორის - დიდი მოურავიც (გიორგი სააკაძე), ხოლო კოშორიძეები სააკაძეების მღვდელ-დეკანოზნი და ახალჯვრის ჯვარისმტვირთველნი ყოფილან. მას შემდეგ, რაც შაჰ აბას I-მა ბობნევი და მთელი ატენის ხეობა მოაოხრა (1616-1617 წწ.), საკაძეების ნაწილი მოძღვრებთან ერთად ხიდისთავში გადმოსახლებულა და სასწაულმოქმედი ჯვარიც თან წამოუღიათ.

---

[1] 1738 წლის 12 მარტით დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ტინისხიდელი გიორგი შოშიაშვილის მიერ მგელია ბერინაშვილისადმი, შესავალ ღვთის სადიდებელ ნაწილში, სხვა წმინდანებთან (გორიჯვრის წმ. გიორგი, ოქონის ხატი და სხვ.) ერთად, წმინდა გიორგის ახალჯვარიცაა მოხსენიებული.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბილისი, 1953, 29.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი, ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება IV, თბილისი, 1973, 343.

ასე რომ კოშორიძეების მიერ ახალჯვრის ეკლესიის აშენება შემთხვევითი არ არის.

კოშორიძეების რამდენიმე კომლი დღესაც ცხოვრობს ხიდისთავში.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი არ აკონკრეტებს, როდის მოხდა ახალჯვრის სასწაულმოქმედი ჯვრის ბოზნევიდან ხიდისთავში გადმოტანა, მაგრამ სხვადასხვა ცნობებზე დაყრდნობით შესაძლებელია მისი დადგენა.

ჩვენი აზრით, 1724-1744 წლებში[1] ჯვარი ჯერ კიდევ არ არის ხიდისთავში გადმოტანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს აუცილებლად აღნიშნავდა ვახუშტი ბატონიშვილი.

XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში ხიდისთავის მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზით (ლეკიანობა, გავრცელებული ეპიდემიები) რამდენჯერმე აიყარა და მისი ხელახალი დასახლება მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს, ერეკლე II-ს დიდი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი, ამდენად, ჯვრის დაუსახლებელ სოფელში გადმოტანაც ნაკლებად სავარაუდოა.

როგორც ზემოთ ითქვა, საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესია 1801 წელს ააშენა მღვდელმა - გიორგი კოშორიძემ, მასვე, ფარნაოზ ბატონიშვილის დავალებით, საუფლისწულო აზნაურებთან - გრიგოლ და ზურაბ საკაძეებთან ერთად ვერცხლით შეუმკია ჯვარი. მაგრამ, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ეს ამბავი გაცილებით ადრე, კერძოდ - 1790 წელს უნდა მომხდარიყო.

ხიდისთავი, ერეკლე II-მდე, მის მოწინააღმდეგე აბდულაბეგ იესეს ძესა და მის შთამომავლებს ეკუთვნოდათ და მათ პატარა კახმა მხოლოდ 1765 წლის პაატა ბატონიშვილის შეთქმულების შემდეგ ჩამოართვა. 1790 წლიდან სოფლის ხელახალი აღორძი-

[1] მხედველობაში გვაქვს ვახტანგ VI-ს რუსეთში გამგზავრების თარიღი, რომელსაც თან გაჰყვა ვახუშტი ბატონიშვილი, ხოლო მისი ნაშრომი 1744 წლის ამბებით მთავრდება.

ნება იწყება და ერეკლე დიდი რაოდენობით ,,ბეითალმან“ მიწებს გასცემს მის ერთგულ მოხელეებზე (მათ შორის არიან დიმიტრის პაპა და პაპის ძმა - პაატა და თომა მეღვინეთხუცესიშვილები, რომლებიც სოფელში 50 დღიურ მიწას იღებენ).

სოფლის კვლავ აღორძინების სიმბოლოდ ახალჯვრის სასწაულმოქმედი ჯვრის განახლება (შემკობა) - ჩამობრძანებაზე უკეთეს ღონისძიებას კაცი ნაკლებად მოიფიქრებდა და მოსახლეობაშიც დიდი რეზონანსიც ექნებოდა.

მეორე - იმავე 1790 წელს ერეკლე II-მ ხიდისთავი საუფლისწულოდ გადასცა ფარნაოზ ბატონიშვილს. ბატონიშვილისა და მისი თანამეცხედრის - ქსნის ერისთავის ასულ ანას ჯვრის წარწერაში გამორჩეულად მოხსენიებაც შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს;

მესამე - ჯვარზე დასმული ქორონიკონიც მიუთითებს მის განახლების თარიღს - 1790 წელს;

მაშ სად უნდა ყოფილიყო წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ჯვარი 1790 წლის შემდეგ, თუ ეკლესია მხოლოდ 1801 წელს აშენდა? ჩვენი აზრით, 1790 წელს ხიდისთავში ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია უკვე უნდა მდგარიყო და 1801 წლიდან კოშორიძის მეშვეობით მხოლოდ მისი განახლება მოხდა. დამატებითი არგუმენტი ისიცაა, რომ XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულში ფარნაოზ ბატონიშვილს ძმებთან (იულონთან, გიორგი XII-სთან) სერიოზული დაპირისპირება ჰქონდა ქართლში ტერიტორიების გადანაწილების თვალსაზრისით. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1800 წლის 21 სექტემბერს მეფე გიორგი XII ქართლის გამგებელ ოთარ ამილახვარს მოუწოდებდა, რომ ფარნაოზი საკუთარ მამულში აღარ შეეშვა, რადგან ,,ფარნაოზისგან სოფლების შეწუხება და წართმევა მოგეწერაო“ და ავალებდა, ყოველი ღონე ეხმარა, რათა იგი თავის მომხრეებთან ერთად დაეპატიმრებინა და ხელისუფლებისათვის გადაეცა: ,,თუ ან ფარნაოზ და ან ფარნაოზის კაცნი გორში შეგიშვია, ჩვენს ბატონყმობაზედ და ჩვენს ერთგულება-

ზედ ჴელ-აღებული იქმნები - ფარნაოზის კაცებს ნურაფრით ნუ დაზოგამ, დასტური გაქვს ჯოხით, ქვით და იარაღით, თოფით, ხმლით, დანბაჩით, ნურასფრით დაზოგამ და ნურც შეუშვებ და თუ დაიჭერ და დაჭერილს გამოგვიგზავნი და ჴელში ჩაიგდებ, ისა სჯობსო“[1].

ამ ამბების შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ დროებით ფარნაოზ ბატონიშვილი ქართლს გაეცალა და იმერეთში გადავიდა თავის დისშვილ - მეფე სოლომონ II-სთან. ფარნაოზს თან წაუღია ახალჯვარიც. მთიულეთის აჯანყების დროს (1804 წ.) იგი შეეცადა სამემკვიდრეო მამულში დაბრუნებას, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ შეიპყრო და რუსეთში გადაასახლა, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1852 წელს.

ზემოხსენებული ფაქტიც გამორიცხავს 1801 წელს ახლად აშენებულ ეკლესიაში ჯვრის გადმოტანას.

ვფიქრობთ, რომ ჯვარი მოგვიანებით იმერეთიდან მაინც უნდა დაბრუნებულიყო ხიდისთავში ფარნაოზ ბატონიშვილის გარეშე. მხედველობაში გვაქვს მელვინეთხუცესიშვილის მინიშნება ,,დროებით“. გარდა ამისა, წერილი, რომელშიც დიმიტრი ახალჯვრის შესახებ მოგვითხრობს, დაწერილია 1848 წელს, ე. ი. ამ დროისათვის ახალჯვარი ჯერ კიდევ ხიდისთავის წმ. გიორგის ეკლესიაშია. სხვა შემთხვევაში მელვინეთხუცესიშვილი ამის შესახებ მიანიშნებდა.

გარკვეული მიზეზების გამო (საბუთში არ კონკრეტდება), ეპარქიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1883 წელს ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესია დაუხურავთ, ამიტომ 1818 წლიდან 1883 წლამდე ეკლესიის მეტრიკული და მრევლის სრულყოფილი აღწერილობები გადაუციათ სინოდალური კანტორისათვის, თუმცა 1891 წლისათვის ეკლესია ისევ გაუხსნიათ.

---

[1] Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I. Тифл., 1866, 153.

1887 წლის მონაცემებით ეკლესიის მღვდელი ყოფილა დიმიტრი ტატიევი (ტატიშვილი), დიაკვანი („პრიჩეტნიკი“) - ივანე სამხარაძე და იაკობ გიორგის ძე ოქუევი (ოქუაშვილი).

დიმიტრი ტატიშვილს 1872 წელს დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია, უმსახურია თელავის, სადგერის, წრომის, სანებლის ეკლესიებში. ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვებული ყოფილა ეგზარქოს პავლეს მიერ. ხიდისთავის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ 1886 წლის 7 თებერვალს[1].

იმავე 1801 წელს ხიდისთავში ახალჯვრის ეკლესიიდან 17 მეტრის მოშორებით აუშენებიათ წედისის წ. გიორგის ეკლესიაც.

თითოეულ ეკლესიას მრევლიც საკმაოდ ჰყოლია.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ხიდისთავის წედისის წმ. გიორგის 1903-1906 წლებისა ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიის 1906-1910 წლების დავთრებს .

დავთრები სამი ნაწილისაგან შედგება: „დაბადებულთათვის“, „დაქორწინებულთათვის“ და „გარდაცვალებულთათვის“. ნაწილი ქართულადაა ნაწარმოები, ნაწილი - რუსულად.

პირველ ნაწილში („დაბადებულთათვის“) აღრიცხულია თითოეული დაბადებულის დაბადებისა და ნათლობის თარიღი, ნათლობის სახელი, მშობლებისა და ნათლიის გვარ-სახელი;

ქორწინების გრაფაში: ქორწინების რეგისტრაციის თარიღი, მექორწინეთა გვარ-სახელი, ასაკი, სადაურობა, სარწმუნოება და ქორწინების რიგითობა, დამსწრები პირნი სასიძოსა და საცოლოს მხრივ;

გარდაცვალებულთა დავთრებში აღნიშნულია გარდაცვალებისა და დასაფლავების თარიღი, გარდაცვალებულის სქესი, წოდება, გვარი, სახელი, გარდაცვალების მიზეზი, ვინ არის ზიარებისა და წესის ამგები და სად არის დასაფლავებული.

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი - ЦГИА Грузии, Фонд 489, опись 1, дело 41, 294, л. 22.

სამივე ნაწილის თითოეულ აქტს ხელმოწერით ადასტურე-ბენ მღვდელი და დიაკვანი.

1906-1910 წლებში წედისისა და ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიებში მღვდლებად ჩანან ზაქარია დავითაშვილი და ნიკო-ლოზ კარიჭაშვილი, ხოლო დიაკვნებად - ივანე სამხარაძე, ანტონ ბარნაბიშვილი და შიო თურნაძე.

ჯვარდაწერილების გრაფიდან ჩანს, რომ ხიდისთავის წე-დისისა და ახალჯვრის ეკლესიებში ჯვარს იწერდნენ არა მარტო ადგილობრივები, არამედ ატენის, გარდატენის, ავნევის, აწყურის წარმომადგენლებიც.

საინტერესოა, როდემდე იდგა წედისისა და ახალჯვრის ეკ-ლესიები ხიდისთავში.

ცნობილია, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ბოლშევიკებმა ეკლესიას დაუფარავი ომი გამოუცხადეს. მასიურ-ად დაიწყეს ეკლესიების დახურვები. მიწას მხოლოდ იმ პირებს აძლევდნენ, რომლებიც მღვდლობას თავს ანებებდნენ. 1923 და-საწყისშივე ყველა თემის აღმასკომს მისდის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის საიდუმლო ცირკუ-ლარი: ,,გავალებთ, მიღებისთანავე ამისა, გამოარკვიოთ და გვაც-ნობოთ ფრიად სასწრაფოდ, რომელ თემში და სოფლებში დარჩა კიდევ დაუხურავი ეკლესიები“[1].

ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ხიდისთავის ორივე ეკლესია და მისი მრევლი.

ეკლესიებს ქონება მთლიანად ჩამოართვეს და დროებით ხე-ლისუფლებისათვის სანდო პირებს გადასცეს.

1923 წლის 23 ივლისს გორის სამაზრო აღმასკომში შესუ-ლია ხიდისთავის რაიონის რევოლუციური კომიტეტის №375 გა-დაწყვეტილება, რომელშიც ნათქვემია: ,,თანახმად თქვენი მოწე-რილობისა 16 ივნისი დაწ. ა.წ. თარიღით №4047, ამასთან ერთათ

[1] გორის არქივი, ფონდი №3; აღწერა 29; საქმე 39, 291.

გირდგენთ ეკლესიების ქონების სიებს ორ ცალად და მოგახსენებთ, რომ სიები შედგენილია თანადამსწრე პატიოსანი პირებისა და ჩაბარებული აქვთ აქტის შედგენით და ხელის მოწერით კეთილსინდისიან სანდო პირებს“[1]. მიმართვას ხელს აწერს ატენის თემის აღმასკომის თავმჯდომარე - მ. ჯებისაშვილი და მდივანი (ხელმოწერა გაკრული ხელითაა და ძნელად იკითხება - სავარაუდოდ - ალექსიძე).

ხიდისთავის ეკლესიებში აღრიცხულია შემდეგი ქონება[2]:

| ხიდისთავის წედისის ეკლესია | | | ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესია | | |
|---|---|---|---|---|---|
| № | ნივთის დასახელება | რ-ბა | № | ნივთის დასახელება | რ-ბა |
| 1 | სახარება დაჭყლეტილი | 1 | 1 | ბარძიმი ვერცხლის | 1 |
| 2 | ჯამი ბარძიმის ვერცხლის | 1 | 2 | ფეშხუმი ვერცხლის | 1 |
| 3 | ფეშხუმი თითბირის | 1 | 3 | ჯვარი პატარა ვერცხლის | 1 |
| 4 | ვარსკვლავი თითბირის | 1 | 4 | ვარსკვლავი ვერცხლის | 1 |
| 5 | ჩარექა ვერცხლის ზედაშის | 1 | 5 | შანდალი უბრალო | 1 |
| 6 | სტაქანი ჩაის | 1 | 6 | სახარება ვერცხლის | 1 |
| 7 | კოვზი ვერცხლის | 1 | 7 | ჯვარი დიდი ვერცხლის | 1 |

[1] გორის არქივი, ფონდი №3; აღწერა 29, საქმე 39, 57.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბილისი, 2013, 146.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | თეფში ვერცხლის | 2 | 8 | ზარი | |
| 9 | ჩაშკა ვერცხლის | 1 | 9 | შესამოსი მხიარული | 9 |
| 10 | ჯვარი ვერცხლის | 1 | 10 | შესამოსი შავი | 10 |

ანუ, 1923 ივლისისათვის ხიდისთავის ორივე ეკლესიას (წედისის და ახალჯვრის) ფუნქციონირება უკვე შეწყვეტილი აქვს და ქონებაც ხელისუფლებისათვის არის გადაცემული. ქონების ჩამონათვალში ყურადღებას იქცევს ,,ჯვარი დიდი ვერცხლის“. ძნელი სათქმელია, არის თუ არა იგი ახალჯვრის წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ჯვარი.

შენობები, სავარაუდოდ, მალევე დაანგრიეს, ხოლო სამშენებლო მასალა ღარიბ მოსახლეობას დაურიგეს, როგორც ამას გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წლის 27 სექტემბრის დადგენილება (ოქმი №36) ითვალისწინებდა, რომლის მიხედვით, ეკლესიების ქონება, გარდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე სამკაულებისა, ყველგან გლეხკომებს უნდა გადასცემოდათ[1] .

2002 წელს ნაეკლესიარის ადგილას ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალჯვრის სახელზე კვლავ ააშენა ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესია.

**დამოწმებანი:**

ბატონიშვილი ვახუშტი, ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, ქართლის ცხოვრება IV, თბილისი, 1973.

ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა, კალმასობა, წიგნი I, ალ. ბარამიძის რედ., თბილისი, 1990.

გორის არქივი, ფონდი №3; აღწერა 29; საქმე 39, გვ. 291; ფონდი №3; აღწერა 29, საქმე 39, გვ. 57, 1923 წ.; ფ. № 3; არქ. 2; აღწ. 1. გვ. 22.

[1] გორის არქივი, ფონდი №3; არქ. 2; აღწ. 1. 22.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბილისი, 1953.

ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები, თბილისი, 2008.

კოშორიძე თ., ,,შვიდმაისობა ქართლში“. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 4; თბილისი, 2013.

კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი, 1991.

,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (შატბერდული ვერსია). სამი ისტორიული ხრონიკა. ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1890.

ნოზაძე თ., ერთი ხალხური დღესასწაულის შესახებ ქართლში (ინტერვიუ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელ ნინო ღამბაშიძესთან). 23. 03. 2011. საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი ,,ამბიონი“. www.ambioni.ge, ელ-ვერსია.

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა თბილისი, 2013.

საქართველოს ეროვნული არქივი - ЦГИА Грузии, Фонд 489, опись 1, дело 41, 294, л. 22.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის არქივი, ხიდისთავის ახალჯვრის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სარეგისტრაციო დავთრები №5743 - 5957; 4831 - 5075; 5999-6155, ელექტრონული ვერსია.

ჭელიძე ე., მცხეთის ჯვრის ღვთისმეტყველება, 10. 07. 2012, ჟურნ. ,,გული გონიერი“, №1(4), გვ. 85-90, www.ambioni.ge, ელ. ვერსია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დიმიტრი მელვინეთ-ხუცესიშვილის პირადი ფონდი №10; ფონდი HD, საბ. 13151; ფ. QD, საბ. 986.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I. Тифл., 1866.

Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд H-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“.

***Ioseb (Soso) Alimbarashvili***

*Gori State Teaching University, Associate Professor*

## THE HISTORY OF KHIDISTAVI AND AKHALJVARI

## RESUMÉ

This article concerns the icon of Saint George’s church of Akhaljvari in the village of Khidistavi, the history of the temple and all related celebrations. The original dwelling of the icon was the church in the village of Bobnevi; according to Prince Vakhushti (**Batonishvili**) it used to have miraculous power. However, we have very scant information about the Akhaljvari miraculous cross. It was the cross of the height of approximately two meters and suitable for a wide, ornamented with a silver cover according to the order of Prince Parnaoz and his wife Anna, and the inscription on it was made in 1790 by indigenous noblemen of Khidistavi: Grigori and Zurab Saakadze, and Giorgi Koshoridze, the priest of the village.

The Akhaljvari cross itself is very old; it originates from Mtskheta and comprises the parts of the cypress tree which grew immediately as soon as the Robe of the Savor was brought in Mtskheta; the cross had miraculous power to cure disease and was placed in Mtskheta on May 7 (on May 20, new

style). The cross also comprises the part of the holy log and its holiday is also celebrated on May 7 set by Queen Helen, mother of the Byzantine Emperor Constantine the Great.

The article ascertains the date of when the Akhaljvari cross was brought from Bobnevi to Khidistavi; it analyses the inscription on the silver cover of the cross ordered by Prince Parnaoz and his wife.

Unfortunately, since the second half of the XIX century the fate and dwelling of the Akhaljvari cross have not been known, its tracks have been lost since 1848; yet at this time it was placed in the church of Akhaljvari in Khidistavi. This church was destroyed by Soviet authority in 1923. Actually, the main part of the article is based on the materials kept at the National Center of Manuscripts, Gori State Archive and the personal archives fund of Dimitri Meghvinetkhutsesishvili. The materials have never been published and they will be first introduced to readers.

*სოფიო ანდღულაძე*
*ისტორიის დოქტორი*

# საერო და სასულიერო მოღვაწეთა ნააზრევის ურთიერთმიმართების საკითხი (ვაჟა-ფშაველასა და წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (კარბელაშვილის) შემოქმედების მიხედვით)

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში უპირატესი როლი ენიჭება საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას ეროვნული ეკლესიის ისტორიასთან კავშირში. სოციალისტური მმართველობის 70 წლიან პერიოდში, საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოს ისტორიის შესწავლა-ანალიზი, ცალმხრივად და ტენდენციურად მიმდინარეობდა, რაც სრულიად დამახინჯებულად გადმოსცემდა ისტორიული მოვლენის არსს და უგულვებელყოფდა ეროვნული ეკლესიის როლს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს ეროვნული ეკლესიის ისტორიის მეცნიერულმა შესწავლამ თანამედროვე ეტაპზე, რომელიც სულ ორიოდე ათწლეულს მოიცავს, სამომავლოდ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს სამოქალაქო ისტორიის სრულყოფილ გააზრებას, რის შედეგადაც ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ანალიზი უფრო მრავალმხრივი და დასკვნებიც შესაბამისად არგუმენტირებული იქნება. საბოლოო ჯამში, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ამგვარი კვლევა ხელს უწყობს ისტორიის ღვთისმეტყველების განვითარებასაც. ეს უკანასკნელი კი, უმთავრესად, პროვიდენციალიზმს ემყარება. იგი კაცობრიობის ისტორიას ღვთაებრივი განგების რწმენის

საფუძველზე იაზრებს და ამა თუ იმ ერის ისტორიულ მისიას წარმოაჩენს. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მატიანიდან ჩვენთვის კარგად არის ცნობილი XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის – ჟამთააღმწერელის საქართველოს ისტორია, რომელიც XIII საუკუნის 10-იანი წლებიდან XIV საუკუნის 10-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს და ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ცხოვრების გამომხატველია. ავტორი, ისტორიული წიაღსვლების მეშვეობით, მასზე დაყრდნობით გადმოგვცემს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შინაარსს და ანალიზის შედეგად მთავარს და არსებითს გამოხატავს. ისტორიის ამგვარი გააზრება, რომელიც საღვთისმეტყველო რაკურსით წარმოაჩენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ერის სამომავლო პერსპექტივაზე დაფიქრების საშუალებას იძლევა. მიგვაჩნია, რომ ისტორიის კომპლექსური კვლევა უმთავრესი ეროვნული ფასეულობების, მდიდარი კულტურული ტრადიციებისა და ჩვეულებების შენარჩუნება-განმტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისტორიის იმ მონაკვეთზე, როდესაც ეროვნული ფასეულობების განმტკიცება განსაკუთრებულად სასიცოცხლოა. ასეთ რთულ მონაკვეთს საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში რუსული იმპერიული მმართველობა წარმოადგენს, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია გამალებით ცდილობდა ქართული იდენტობის მოსპობას.

როგორც ცნობილია, საქართველოში რუსული იმპერიული მმართველობის დამყარების შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აგორდა, და მან თანაბრად მოიცვა როგორც საერო, ისე სასულიერო ფენის პატრიოტულად მოაზროვნე ნაწილი. ჩვენს მიზანს წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინო წარმომადგენლების: კლასიკოსი მწერლის ვაჟა-ფშაველასა და წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის (კარ-

ბელაშვილის) ნააზრევის წარმოჩენა უმთავრეს ეროვნულ ფასეულობათა შესახებ. აღნიშნული საკითხის სიღრმიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ჩვენი მოკრძალებული მცდელობაა წარმოვადგინოთ მათი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილი, სადაც თითქმის სრულად აირეკლება ამგვარი შეხედულებების ფართო სპექტრი.

ილიას საზარელ მკვლელობას ერთი წამითაც არ შეუნელებია ქართველ პატრიოტულად მოაზროვნე საზოგადოების მისწრაფება ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის. “ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ”[1] – აღნიშნავდა ვაჟა-ფშაველა თავის წერილში “ვერ მოჰკლეს” და მიანიშნებდა, რომ მისი მოკვლით ვერ მოჰკლავდნენ იმ იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ. ანალოგიურ აზრს ატარებს ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი თავის სიტყვაში, რომელიც მან ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე წარმოსთქვა[2]. იგი აღნიშნავდა, რომ რომ ილიას სახელისა და იდეის უკვდავება მისი ქრიტეს სახელთან თანაზიარობის, მასში ცხოვრების შედეგია. ამიტომაც იდიდა იგი სიცოცხლითაც და სიკვდილითაც! სტეფანე ბოდბელი ხაზს უსვამს ილიას ღრმად ქრისტიანული ბუნების მაჩვენებელ სიტყვებსაც: “პატიოსანთ მტერთა შორის ნამუსი მოციქულია”. ამრიგად, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელისარწმუნოებრივი სიმტკიცით ხსნის მის გამორჩეულობასა და სიბრძნეს, რომელსაც კარგად ესმოდა თავისი ერის ბუნება, მისი ღირსებაცა და ნაკლიც. ამიტომ იყო, რომ ილიას სიტყვას და რჩევას ყველა დაკვირვებით უგდებდა ყურს. “სამარცხვინოა ჩვენთვის კალმის ბოროტად მოხმარება და დაუფიქრებლად ჰაზრთა

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1986, 695.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №371.

გადმოშლა, რასაც თვით განსვენებული ილია დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა! ამისთანა კაცის მოკვლა მიუტევებელი და შეუნდობელი ცოდოა”[1]– წარმოსთქვამდა გამოსათხოვარ სიტყვაში წმიდა ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი. აქვე ხაზი უნდა გაუსვათ ორივე მოაზროვნის, როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე სტეფანე ბოდბელის დამოკიდებულებას მკვლელების მიმართ, რაც რა თქმა უნდა ქრისტიანული შემწყნარებლობით გამოირჩევა, რომ ბარბაროსობისათვის ისევ ბარბაროსობით არ უნდა გვეპასუხა. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი კითხვას სვამს, თუ როგორ უნდა აღეხოცათ ილიას სისხლი ღმერთთან? და რა პასუხი უნდა გაეცათ მისთვის. და აქვე საღვთისმეტყველო განმარტებას მოიშველიებს: “ყოველს დიდებულს გუამს, რომელსაც მთელი ქვეყანა თაყვანსა სცემს, გოლგოთა სამშობლოშივე აღემართება ხოლმე და ის მწუხარება ცრემლი და ვაება დაედგმის ხოლმე გვირგვინად, თითქოს იმან უნდა მორეცხოს ის ჭუჭყი და ბიწიერება, რომელსაც წასცხებენ ხოლმე ულირსნი შვილნი მამულსა და ერსა!” ულირს შვილებს კი ვაჟა-ფშაველა იმ ახალგაზრდებს უწოდებს, რომლებიც ენის, ეროვნების, და ტერიტორიის უარყოფით თვით საქართველოს ჰკლავდნენ[2]. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი აღნიშნულ აზრს უფრო აღრმავებს: “სწორედ მკვლელებისა და მათი მოძღვრების მეშვეობით ამოგლიჯეს ხალხს გულიდან: სინდისი, ღმერთი, მამული, სჯული, ზნეობა, და რა მიაგეს მათ წილ? შეუგინეს ივერიელთ ის, რაც მათ ჰყოფდა და ახასიათებდა ივერიელებად და აი შედეგი

[1] ბიგანიშვილი თ., სახარება ვაჟა-ფშაველას პოემაში ”ალუდა ქეთელაური”, ქრისტიანობის კვლევები II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, 2009, 371.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 697.

ესე ვითარის გათახსირებისა! სადაც ილია აღარ დაინდეს, ვის წინღა უნდა ხელი შეუკრთდეს იმ მტარვალს?"[1]

"ვაი იმ ხალხს, რომელიც ისტორიას ანგარიშს არ უწევს, განათლებას და შეგნებას გაურბის და ქრისტეს მოძღვრებასაც ანგარიშს არ უწევს ... ცხოვრებას შკოლა აქვს და იმასაც ანგარიშის გაწევა უნდა...", ასეთი სიტყვებით მიმართა იოსებ სტალინს, ამ უკანასკნელისადმი გაგზავნილ წერილში წმინდა ეპისკოპოსმა სტეფანემ, რითაც შეახსენებდა, რომ მამულისა და ეკლესიის წინაშე ჩადენილი შეცდომებისათვის ისტორია ყველას თავის მსჯავრს დასდებდა[2].

როდესაც ერში სარწმუნოებრივი განცდა მოდუნებული და უგულვებელყოფილია, სამოქალაქო და ეკლესიური ცხოვრებაც შესაბამისად არეულია: "ეს იმის გამოა, რომ ღვთის განგება გვსჯის ურწმუნოებისათვის და საღმრთო სჯულის კანონების უკუგდებისათვის და ამასთან საკუთარი შეუნანებლობისთვის"- აღნიშნავს ეპისკოპოსი სტეფანე და მაგალითად ებრაელ ხალხს ასახელებს, რომლებმაც ბრმა თავმოყვარეობის გამო ჯვარს აცვეს იესო, ვერ ჩასწვდნენ მის მოძღვრებას და სწორედ აქედან დაიწყო მათი ეროვნული ტრაგედია[3]. აღნიშნულ მოსაზრებას იგი უფრო გლობალურად განავრცობს და განმარტავს, რომ ებრაელი ხალხის გარდა, სხვა ერების უბედურების სათავეც ქრისტეს სწავლებას მიუღებლობა და უკუგდებაა.

ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემა "ალუდა ქეთელაური", რომელიც სახარებისეული ჭეშმარიტების ნიმუშს წარმოადგენს, პოეტი სიმბოლურ-ალეგორიული მეთოდის საშუალებით,

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №244.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №371.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №244.

მხატვრულად გადმოსცემს ქრისტეს მიერ ახალი აღთქმის სჯულის ქადაგებას. პოემის პერსონაჟი - ალუდა ძველი აღთქმის სჯულის აღმსარებელი ადამიანის სახეა, რომელიც მუცალთან (წარმართის სახე) შეხვედრის შედეგად განიცდის მეტამორფოზას. ალუდა იმ ებრაელი ხალხის ნაწილს განასახიერებს, რომლებმაც მიიღეს მაცხოვრის სწავლება და ფერი იცვალეს, ხოლო პოემის სხვა პერსონაჟები – ბერდია და ხევსურები, რომელთაც არ ესმით ალუდას ახალი ცნობიერების, განასახიერებენ დანარჩენ ნაწილს ებრაელი ხალხისა, რომელთაც ვერ მიიღეს ახალი აღთქმის სჯული[1].

წმინდა ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი უკიდურესად მკაცრი იყო სჯულის კანონის დამრღვევთა მიმართ და ქრისტიანული სათნოებების ცხოვრებაში გატარების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი ქადაგებები, მიართვები თუ სახვა სახის წერილობითი დოკუმენტები ასეთი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. იგი დაუნდობლად ამხელდა ყველას, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირთაც, რომლებიც ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მას შესანიშნავად ესმოდა, თუ სად გადიოდა ზღვარი ერთ-ერთ უმთავრეს ქრისტიანულ სათნოებას - მოთმინებასა და მხილებას შორის, როდის აღარ შეიძლებოდა დუმილი, რომელიც გარკვეულ დონეზე ცოდვისა და დანაშაულის ტოლფასია. აქვე გვინდა მოვიყვანოთ ამონარიდი ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი წერილიდან სათაურით ‘‘დიდ-მარხვა’’, სადაც მკაფიოდ იკვეთება მისი როგორც ქრისტიანის და როგორც მოქალაქის პოზიცია. იგი ამბობს, რომ მოთმინება მაშინ იქცევა დიდ ცოდვად ღვთის წინაშე, როდესაც შენი მოთმინებით ხელს უწყობ მტარვალის ბუნებას გაძლიერდეს, ფრთები შე-

[1] ბიგანიშვილი თ., სახარება ვაჟა-ფშაველას პოემაში ’’ალუდა ქეთელაური’’, ქრისტიანობის კვლევები II, 55-60.

ისხას და გათამამდეს![1]. აქვე იგი აღნიშნავს რომ ცოდვილ-თათვის სინანული არ არსებობს, შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული, რომ სინანულში მხოლოდ მართალი, ქვეყნისათვის ერთგული ადამიანი შეიძლება ჩავარდეს, რო-მელსაც ენანება დღესდღეობით დაჩაგრული სიმართლე; სწყინს, რომ ვერ მოუპოვა მას გამარჯვება ...[2]

წმიდა ეპისკოპოსმა სტეფანე ბოდბელმა და დიდმა მგო-სანმა – ვაჟა-ფშაველამ, თავიანთი მოღვაწეობით საუკეთესო მაგალითი დაუტოვეს შთამომავლობას, თუ როგორ უნდა აღ-ასრულოს ღირსეულმა მამულიშვილმა ვალი ღვთისა და სამშობლოს წინაშე. მათ მიერ დატოვებული მემკვიდრეობა ყველა დროს და ვითრებას შეიძლება მიუსადაგოთ იმ მარტი-ვი ჭეშმარიტების გამო, რომ მათ მარადიული ფასეულობების დაცვის სამსახურში განვლეს ცხოვრება. ამდენად, ვაჟა-ფშა-ველას, როგორც ერის კაცის და ეპისკოპოსი სტეფანეს, რო-გორც სასულიერო პირის შემოქმედება ერთ მთლიან სისავ-სეს შეადგენს.

**დამოწმებანი:**


ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბილისი, 1986.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვი-ლის ფონდი, საქმე №59

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვი-ლის ფონდი, საქმე №103

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვი-ლის ფონდი, საქმე №244


---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 688.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 688.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი, საქმე №371

ბიგანიშვილი თ., სახარება ვაჟა-ფშაველას პოემაში ''ალუდა ქეთელაური'', ქრისტიანობის კვლევები II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება და სტუდენტთა სამეცნიეროკვლევითი ცენტრი, თბილისი, 2009.

*Архиепископ Балтского и Ананьевского Алексия (Гроха)*

# СЛУЖЕНИЕ КАТАЛИКОСА-ПАТРИАРХА КИРИОНА (САДЗАГЛИШВИЛИ) НА БАЛТСКОЙ КАФЕДРЕ

Ткань исторического бытия любого человеческого общества состоит из различных людских судеб, сплетенных Промыслом Божиим в единый пречудный узор, раскрывающий Домостроительство нашего спасения. Множество людей, так или иначе, своими действиями и поступками влияют на ход общемировой истории, но только некоторые из них могут стать поистине знаковыми фигурами, являясь не просто действующими лицами тех или иных исторических процессов, но, поистине, становясь их причинами и движущей силой, определяющей бытие и развитие своей земли и своего Отечества на многие столетия вперед.

Такой знаковой фигурой для древней Иверской земли, освещаемой пречудным светом Животворящего столпа, стал священномученик Патриарх Кирион, возглавивший Церковь Грузии в переломный и знаковый момент ее истории в начале мятежного и бурного двадцатого века[1]. Его святительский и патриотический подвиг трудно переоценить, потому что, несмотря на то, что святитель на долгие годы был оторван от родной земли, все его мысли, его молитвыи воздыхания, его научная и архипастырская деятельность были пронизаны горячей любовью к родной земле и родному народу, и потому его

---

[1] Дмитрук А., прот. Краткая история Поместных и Автономных Православных Церквей. Одесса, 2011, 124.

имя стало знамением, знаком и символом возрождения и обновления церковной жизни на грузинской земле. Рожденный в простой священнической семье[1], будущий священномученик вместе с молоком матери впитал в себя искреннее благочестие и любовь к Богу, которые стали путеводным маяком в его драматической, но поистине великой жизни.Именно руководствуясь этими чувствами он решает посвятить себя служению Церкви и поступает в Тифлисскую Духовную Семинарию, по окончании которой продолжает свое обучение в Киевской Духовной Академии[2]. Именно здесь, в академических стенах, хранящих память о великих мужах науки – святителе Иннокентие(Борисове), архиепископе Димитрие (Муретове), где звучат лекции великих епископа Сильвестра (Малеванского) и епископа Филарета (Филаретова)- формируются основные научные интересы святителя, позволившие ему со временем стать одним из выдающихся историков Церкви и признанным авторитетом в ученом сообществе Российской Империи[3].

После окончания Академии в 1880 годуГеоргий, как звали святителя до монашеского пострига, направляется для преподавательской работы в Херсонскую духовную семинарию, располагающуюся в Одессе. Дух любви к богословской и церковно-исторической науке, взлелеянной в южной Пальмире первым ректором семинарии всемирно известным епископом Порфирием (Успенским), способствует молодому ученому в его научных трудах и в следующем 1881 году свет увидел его первое самостоятельное произведение – ««Никозский храм и его древности»[4]. Затем Господь призывает Своего усердного

---

[1] http://ru.wikipedia.org/wiki/%CA%E8%F0%E8%EE%ED_II
[2] http://www.patriarchia.ru/db/text/410607.html
[3] http://www.people.su/52527
[4] http://ru.wikipedia.org/wiki/%CA%E8%F0%E8%EE%ED_II

служителя на благословенную родную землю, носящую имя святого великомученика Георгия для дальнейших трудов, которые со временем увенчиваются архиерейским призванием.

Но ревность приводит к недопониманию истинных причин поведения святителя, и он вынужден покинуть Родину. Господь призывает его к служению в сане епископа Балтского, викария Каменецкой епархии, которое он исполняет с 10 марта 1902 года по 3 мая 1903 года.[1] Сам городок Балта, находившийся в Подольской губернии, давший титул викариатству Подольской епархии, имеет очень долгую историю. Впервые Балта получила известность как небольшой форпост у северных границ Османской империи в XV веке. Затем, в 1730 на берегу реки Кодыма возле селения «Палиево озеро» польским дворянином князем Юрием Любомирскимбыл построен укрепленный замок, который при основании был наименован в честь сына князя Юзефа Юзефградом.[2] Со временем городок развивается.

В начале девятнадцатого века здесь подвизается известный пастырь священник Феодосий Левицкий[3], прославленный Церковью в лике святых. Отошедший ко Господу в 1845годуправедный Феодосий заложил в городе странноприимный дом, который в 1908 году был преобразован в Свято-Покровский Феодосиевскиймонастырь. Но священномученик Ки-

---

[1] История Иерархии Русской Православной Церкви. Комментированные списки иерархов по епископским кафедрам с 862г. ПСТГУ. М., 2006, 43.

[2] http://baltatown.narod.ru/3.htm

[3] http://baltaeparhia.org.ua/svyatoy-pravednyiy-feodosiy-feodosiy-baltskiy/

рионне застал торжественного открытия обители[1], предсказанного праведником.

საქართველოს ეგზარქოს ნიკონის (სოფიისკი) მკვლელობაში (1908წ. 28 მაისი) „ინტელექტუალური დამნაშავის“ სტატუსით ეჭვმიტანილი წმინდა აღმსარებელი ამბროსი, უწმინდესი სინოდის 1908 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ყველა თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ღმრთისმსახურების უფლების აკრძალვით რიაზანის სამების მონასტერში მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გაამწესეს. სპეციალურმა გამოძიებამ, რომელიც თითქმის ერთი წელიწადი მიმდინარეობდა, წმინდა ამბროსის დანაშაული ვერ დაადასტურა. 1909 წლის ბოლოს მოხდა მისი რეაბილიტაცია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ – სამშობლოში დაბრუნებისა და იქ სამსახურის გაგრძელების უფლების გარეშე. უწმ. სინოდის 1910 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტი ამბროსი ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას ფერიცვალების მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, იმავე წლის 24 დეკემბრიდან შეთავსებით ეპარქიის მონასტრების მთავარხუცესის (ბლაღოჩინის) თანამდებობაც დაიკავა[1]. აღნიშნულ თანამდებობაზე იგი 1917 წლის ზაფხულამდე მსამსახურობდა. მიუხედავად „დაწინაურებისა“, წმინდა ამბროსი იმ-

---

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, თბილისი, 2012, 68, 69, 72.

ჟამინდელ თავის მდგომარეობას, სავსებით სამართლიანად მეორე ექსორიად (1903-1905 წლებში უსტ-მედვედიცკაიაში გამწესების შემდეგ), სამშობლოდან იძულებით გასახლებად აფასებდა. 1911 წლის 22 მაისის წერილში ექვთიმე თაყაიშვილისადმი ის უმორჩილესად ითხოვდა, „მიგზავნოთ თავთავის დროზე „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამოცემანი... აგრეთვე იმედი მაქვს გამომიგზავნით სხვა თქვენს იმ ნაშრომებსაც, რომელნიც ჩემს საქართველოდან გაძევების შემდეგ დაბეჭდეთ“[1] .

საქართველოდან ნამდვილად გაძევებული არქიმანდრიტი ამბროსი საკმაოდ ენერგიულად შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რომელიც რუსეთისთვის უმძიმეს პირველი მსოფლიო ომის წლებს დაემთხვა. მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი იმ შორეულ ჩრდილოეთში მაინც იყო სამშობლო, რომელთანაც მუდმივად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა. წმინდა ამბროსი რჩებოდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ აქტიურ წევრადაც. 1909-1917 წლებში, ანუ გადასახლებაში ყოფნის პერიოდში, ქართულ და რუსულ ჟურნალგაზეთებში მან ათობით სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორისაა 12 წერილი, რომელიც გაზეთში, „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ („პეტროგრადის უწყებანი“) დაიბეჭდა. იმჟამინდელ რუსულ პერიოდულ გამოცემებს შორის ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. როგორც პეტრე პირველის მიერ 1702 წელს დაფუძნებული პირველი რუსული გაზეთის „ვედომოსტი“-ს უშუალო გაგრძელება და სამართალმემკვიდრე, იგი 1728 წლიდან „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“-ს, ხოლო 1914 – 1917 წლებში - „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“-ს (შემ-

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 75.

დგომში - პ.ვ.) სახელწოდებით გამოდიოდა[1]. მის ფურცლებზე პრობლემური წერილის გამოქვეყნება იმას ნიშნავდა, რომ იგი მთელი იმპერიის, პირველ რიგში, პოლიტიკური და სახელისუფლებო წრეების ყურადღების ქვეშ ექცეოდა.

თორმეტივე წერილი 2006-2012 წლებში მოსკოვ-პეტერბურგის ბიბლიოთეკებში თანდათანობით იქნა მოძიებული, შემდეგ თარგმნილი (გარდა ერთი წერილისა) და იმავე წლებში რუსულ-ქართულ ენებზე გამოქვეყნებული[2]. ავტორის მიერ ისინი ხელმოწერილია შემდეგი ფსევდონიმებით: „სამურზაყანოელი“ («Самурзаканец»), „კორენბედიელი“ (“Korenbedieli”) და „ამბერი“. თუ პირველი ფსევდონიმი გასაგებია, დანარჩენი ორი მცირე განმარტებას საჭიროებს. „კორენბედიელს“ არქიმანდრიტი ამბროსი „ილორელი“-ს მნიშვნელობით იყენებდა. მან, როგორც ილორის მკვიდრმა, ეს ფსევდონიმი XIII-XVIსაუკუნეების იმ ევროპული რუკებიდან აიღო, რომლებზეც, წმინდა ამბროსის აზრით, მისი მშობლიური სოფელი Corbeudiua-ს (XIII საუკუნის ვენეციური რუკა), Corenbedia-ს (ვესკონტეს რუკა – 1318 წ.), Corbondia-ს (ძმები პიციგანების რუკა – 1367 წ.), Coro bendy-ს (დიეგო ომემის რუკა – 1559 წ.) და სხვა ფორმით იყო აღნიშნული[3]. „ამბერი“ - აფხაზური სახელია, რომელიც იმავდროულად ამბროსი ბერთანაც ასოცირდება.

პირველი წერილი 1912 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა, ყველა სხვა დანარჩენი - 1916-1917 წლებში. პირობითად, შესაძლებელია სამ ჯგუფად მათი დაყოფა. 6 წერილი აფხაზეთისადმია

---

[1] Советская Историческая Энциклопедия, т. 12. М., 1969, 328.

[2] წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, თბილისი, 2006, 486-491, 548-579; გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 262-332.

[3] Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997, 820-832.

მიძღვნილი, 3 - საქართველოში სასულიერო სწავლა-განათლების საკითხებს ეხება, კიდევ 3 წერილში საუბარია ქართული ეკლესიის მაშინდელი მდგომარეობისა და მისი ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე.

აფხაზეთის პრობლემატიკას ეძღვნება შემდეგი წერილები: „ჩანაწერი სოხუმის ეპისკოპოს ყოვლადსამღვდელო ანდრიას მოღვაწეობის შესახებ“ (სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი, 1912, 7//20 ნოემბერი); „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ (პ.ვ. 1916, 23 აპრილი//6 მაისი, 28 აპრილი//11 მაისი, 6//19 მაისი); „წერილი კავკასიიდან“ (პ.ვ., 1916, 6//19 აგვისტო); „პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის“ (პ.ვ., 1916, 25 ოქტომბერი//7 ნოემბერი); „სოხუმის ეპარქიიდან“ (პ.ვ., 1916, 23 ნოემბერი//6 დეკემბერი) და „სოხუმელი საქმოსნები“ (პ.ვ., 1916, 22 თებერვალი//7 მარტი).

გადასახლებაში ყოფნის პერიოდში წმინდა ამბროსიმ ერთადერთხელ, 1912 წლის აგვისტოში, მოახერხა შვებულების საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში გატარება. იმავე წლის 25 აგვისტოს სოხუმის მაშინდელ ეპისკოპოს ანდრია უხტომსკის (1981 წლიდან არის რუსული საზღვარგარეთული ეკლესიის წმინდანი) შეხვდა. მეუფე ანდრიამ, რომელიც სოხუმის კათედრას 1911 წლის 25 ივნისიდან 1913 წლის 22 დეკემბრამდე განაგებდა[1], თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით წინამორბედ რუს მღვდელმთავართა ხელში გაწამებული მრევლის სიყვარული დაიმსახურა. მასთან შეხვედრა, აგრეთვე „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ 1912 წლის 6//19 ოქტომბერს გამოქვეყნებული მოკლე ინფორმაცია სოხუმში ახალგაზრდა ეპისკოპოსის ანდრიას წარმატებული მოღვაწეობის შესახებ, გახდა საბაბი წმინდა ამბროსის ზემოაღნიშნული წერილის დაბეჭვდი-

[1] Православная Энциклопедия, т. II. М., 2001, 361-363.

სა[1]. ის დადებითად აფასებს ეპისკოპოს ანდრიას აფხაზეთში მოღ-მოღვაწეობას, საუბრობს მის ტოლერანტობაზე, ქრისტიანულ კაცთმოყვარეობაზე; ყოველივე ამას კი ოსტატურად იყენებს ფონად, რათა ამხილოს უკანასკნელი 25 წლის მანძილზე სოხუმის რუსი მღვდელმთავრებისა და კავკასიაში მოღვაწე სხვა შოვინისტების რუსიფიკატორული პოლიტიკა. ავტორი აჩვენებს, რომ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლები დღემდე უსამართლოდ არიან დასჯილები (გულისხმობდა საკუთარ თავს, ეპისკოპოს კირიონს და სხვებს). წერილის მიზანი იყო არა ეპისკოპოს ანდრიას ქება-დიდება, არამედ სასულიერო და საერო მთავრობის შოვინისტური პოლიტიკის კრიტიკა, თვით იმპერიის ინტერესებისთვის მისი გადახედვის აუცილებლობის დასაბუთება.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი წერილებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს „სოხუმის ეპარქიის შესახებ“. იგი სამი ნაწილისაგან შესდგება და გაზეთის სამ ნომერშია გამოქვეყნებული. ეს წერილი დაიწერა უწმინდესი სინოდის იმ გეგმის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფას, შემდეგ კი საეგზარქოსოს საერთოდ გაუქმებას და კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნას ითვალისწინებდა. „სოხუმის ეპარქიის შესახებ“ ბრწყინვალე სამეცნიერო-პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომი გახლავთ. მისი პირველი ნაწილი სამურზაყანოს საკითხს ეხება, რადგანაც სინოდის გეგმა სოხუმის ეპარქიისგან ამ ტერიტორიის გამოყოფას და გურია-სამეგრელოს ეპარქიასთან მის მიერთებას ითვალისწინებდა. მამა ამბროსი, ერთის მხრივ, ილაშქრებდა ასეთი გეგმის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ, მიესალმებოდა სასულიერო მთავრობის მიერ იმ ელემენტარული ჭეშმარიტების აღიარებას, რომ სამურზაყანოელები ქართველები არიან.

---

[1] წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, 491.

ნაშრომის მეორე ნაწილში არქიმანდრიტი ამბროსი იმ დროისთვის არსებულ ქართულ-რუსულ ლიტერატურაზე დაყრდნობით ასაბუთებდა ქართველი და აფხაზი ხალხების ნათესაობას, აფხაზეთის საქართველოსადმი კუთვნილებას; აკეთებდა დასკვნას, რომ ამ მონათესავე ხალხების ხელოვნურად ერთმანეთისაგან დაშორება დამღუპველ გავლენას იქონიებდა ქრისტიანობის ბედზე. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ქართველთა ოდითგანვე მკვიდრობის შესახებ ავტორის დასკვნები საკმაოდ დასაბუთებულია და დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

ნაშრომის მესამე ნაწილში ამბროსი ხელაია საუბრობდა კანონიკური და ისტორიული თვალსაზრისით სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან, ხოლო სამურზაყანოს სამრევლოების სოხუმის ეპარქიისგან გამოყოფის დაუშვებლობის შესახებ. იგი ასაბუთებდა, რომ აფხაზეთის ეკლესიური მიერთება შავი ზღვის გუბერნიასთან აფხაზთა შორის ისედაც სუსტად ფეხმოკიდებული ქრისტიანობის დავიწყებას გამოიწვევდა. გარდა ამისა, მას დანაშაულად მიაჩნდა ბიჭვინთის, ლიხნის, ფსირცხის, დრანდის, მოქვისა და სხვა ტაძრების ქართველებისათვის, ხოლო ილორისა და ბედიის - აფხაზებისთვის ჩამორთმევა. განსაკუთრებულ ყურადღებას ბიჭვინთაზე, ქართველ კათალიკოსთა საბრძანებელზე ამახვილებდა. ქართული ეკლესიისგან მისი მოწყვეტის დაშვება ქართველებს არ შეუძლიათ, - წერდა წმ. ამბროსი და თუ ისინი ვერ მოახერხებენ ბიჭვინთის შენარჩუნებას, „მაშინ მარად გოდებაში იქნებიან ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო“. სამართლიანობის დაცვის მიზნით ავტორი შემდეგ რეკომენდაციას იძლევა: სოხუმის ეპარქია დარჩეს აფხაზებს და სამურზაყანოელებს, მაგრამ მისგან გამოიყოს შავი ზღვის გუბერნია; სოხუმში უნდა იჯდეს ცხუმელი, როგორც ეს იყო ისტორიულად[1]. შეგვიძლია ლია დავსძინოთ, რომ ეს რეკომენდაცია 1919 წლის ოქტომბერში

[1] რელიგიის ისტორიის საკითხები, I. თბილისი, 2010, 241.

სისრულეში მოიყვანა თავად ამბროსი ხელაიამ, როცა მისი წინადადებით სოხუმის, შემდგომში სოხუმ-ბედიის ეპარქიას აფხაზეთის საეკლესიო კრებამ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია უწოდა და პირველ მღვდელმთავრად მიტროპოლიტი ამბროსი აირჩია. ამბროსი ხელაიას წერილმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უწმინდესი სინოდის ანტიქართული გეგმების ჩაშლაში.

დღეს, როდესაც საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ და ეკლესიურ მთლიანობას, ამბროსი ხელაიას ნაშრომი „სოხუმის ეპარქიის შესახებ" სავსებით ინარჩუნებს თავის მეცნიერულ და პოლიტიკურ მნშვნელობას; დღესაც აქტუალურია ავტორისეული შეფასებები, არგუმენტები, დასკვნები და რეკომენდაციები.

„წერილში კავკასიიდან" წმინდა ამბროსი საზოგადოებას შეახსენებდა იმის შესახებ, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა ქრისტიანობას აფხაზეთში სამხედრო სამსახურის შესახებ კანონმა, რომელიც სპეციალური გადასახადის სანაცვლოდ მაჰმადიან აფხაზებს სამხედრო სამსახურისაგან ათავისუფლებდა. ავტორი მოუწოდებს „სოხუმის საეპარქიო მთავრობას და საღმრთო სამკალის მუშაკებს" თავი დაანებონ პოლიტიკანობას და დაკავდნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებით, მიიღონ ზომები, რათა განკარგულება არარუსების ჯარში გაწვევის შესახებ „არ გახდეს ქრისტიანი აფხაზების ისევ გამაჰმადიანების მიზეზი"[1].

ერთმანეთს ავსებენ წერილები „პასუხად ყოვლადსამღვდელო სერგის" და „სოხუმის ეპარქიიდან." მათი მომზადებისა და გამოქვეყნების მიზეზი გახდა „პეტროგრადსკიე ვედომოსტში" (1916, 13//26 ოქტომბერი) გამოქვეყნებული სოხუმის ეპისკოპოს სერგის (პეტროვი) „წერილი რედაქციაში", რომელიც ნიკო-

---

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 285.

ლოზ დურნოვოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ორივე წერილში წმინდა ამბროსი ილაშქრებდა სოხუმის ეპარქიაში ქართველთა რელიგიური დისკრიმინაციის, ქართულ ენაზე ღმრთისმსახურების აკრძალვის წინააღმდეგ; ჰყავდა რა მხედველობაში ეპისკოპოსი სერგი, ყურადღებას ამახვილებდა საკუთარი მრჩევლის ენის არმცოდნე მღვდელმთავრის ტრაგიზმზე. რომელმაც ისიც კი იცოდა, რომელ სამრევლოში (მაგალითად, ილორში) „რა ენაზე მეტყველებენ მისი სულიერი შვილები! მისი მდგომარეობა შემაძრწუნებელია“![1]

ამბროსი ხელაიას მიერ მკაცრად გაკრიტიკებული სოხუმის ეპისკოპოს სერგის დაცვა ქალაქ სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ავრაამ ივანოვმა იკისრა. იმავე გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ (1916, 31 დეკემბერი//1917 13 იანვარი; 1917, 29 იანვარი//11 თებერვალი) მან ორი წერილი გამოაქვეყნა (მათ შორის ერთი - ფსევდონიმით) და ამბროსი ხელაიას მიერ ქართველთა დისკრიმინაციის თაობაზე ეპისკოპოს სერგისთვის წაყენებული ბრალდებების გაბათილება სცადა. ავრაამ ივანოვის წერილების პასუხი გახლავთ წმინდა ამბროსის მორიგი საკმაოდ ვრცელი წერილი „სოხუმელი საქმოსნები“. ქ. სოხუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ოფოციალური სტატისტიკური მასალის მოშველიებით ავტორმა გააქარწყლა ოპონენტის ის „არგუმენტები“, რომლებითაც იგი სოხუმში ღმრთისმსახურების ქართულ და სხვა არარუსულ ენებზე არარსებობას ამართლებდა. მამა ამბროსი განსაკუთრებით აღაშფოთა დეკანოზ ავრაამ ივანოვის შემდეგმა სიტყვებმა: „სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში არიან და თავისი ხალხისთვის ტაძარში ღვთისმსახურება სლავურ ენაზე უნდა ჩაატარონ ქარ-

---

[1] გამახარია ჯ., დარსალია დ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) აფხაზეთში ქართველთა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ, ჟურნალი „ახალგაზრდობა“, 2009, 9-11.

თველთა მხრიდან საამისოდ კურთხევისა და ნებართვის გარეშე“. რამდენად უნდა იყოს ადამიანი ქართველებისადმი სიძულვილით დაბრმავებული, რომ მსგავსი აბსურდი თქვას, - წერდა მამა ამბროსი და აგრძელებდა: „სოხუმის ეპისკოპოსები თავიანთ ქვეყანაში იმყოფებიან, განა ჩვენ საკუთარ ქვეყანაში არ ვიმყოფებით? ისინი ტაძარში ღვთისმსახურებას ასრულებენ თავისი... ჩვენ კი ვისი ხალხი ვართ?... თქვას მამა ივანოვმა, რომელი საღმრთო და ადამიანური კანონების მიხედვით უნდა გაავლოს ზღვარი ეპისკოპოსმა თავისი საწმყსოს წევრებს შორის: ერთნი მიიჩნიოს თავისიანებად, მეორენი კი არათავისიანებად? დიახ, სწორედ ამაზე მოვთქვამთ ჩვენ, რომ სოხუმის მღვდელმთავრები არ მიგვიჩნევენ თავის „ცხვრებად“, რომ ჩვენზე არ ზრუნავენ, რომ არღვევენ ქრისტეს მცნებას „თავისი სული დადო ცხვრებისთვის“[1].

1916 წლის ნოემბრიდან 1917 წლის იანვრამდე გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ წმინდა ამბროსიმ საქართველოში სასულიერო განათლების სფეროში არსებული სავალალო ვითარების შესახებ სამი წერილი დაბეჭდა: „სასულიერო სემინარია ქუთაისში“ (1916, 20 ნოემბერი//3 დეკემბერი), „ქართველი ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსო სასულიერო სასწავლებლები (1916, 15//28 დეკემბერი) და ბოლოს, „უცნაური კომპენსაცია“ (1917, 28 იანვარი//10 თებერვალი).

ამბროსი ხელაია ეხმაურება უწმინდესი სინოდის 1915 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის კვლავ აღდგენას (რომელიც 1904 წლის 15 ივნისს დაიხურა); ამასთანავე მოითხოვდა სემინარიის ფაქტობრივი გახსნის ანუ სწავლების დაწყების დაჩქარებას, რომელიც მიზეზთა გამო ჭიანურდებოდა. როგორც იქნა, აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ მამა ამბროსის ეს არ აკმაყოფილებდა.

---

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 301.

თავის მორიგ წერილში - „ქართველი ეპისკოპოსების უუფლებობა და საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები“ - მთელი იმპერიის გასაგონად ის საუბრობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში გამეფებულ ქართველთა დისკრიმინაციაზე, სასტიკ ეროვნულ ჩაგვრაზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ავტორი მოითხოვდა, რომ სასულიერო სწავლა - განათლების „საქმე მოექცეს ადგილობრივი მღვდელმთავრების მკაცრი კონტროლის ქვეშ და საერთოდ ქართველ მწყემსმთავრებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ რუს იერარქებს თავიანთ ეპარქიებში“[1].

„წერილში უცნაური კომპენსაცია“ ავტორი უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ თბილისის საეპარქიო ქალთა სასწავლებელში ინსპექტორად არა ქართველის, არამედ აუცილებლად რუსის დანიშვნა მოუთხოვიათ. საქმე იმაში გახლდათ, რომ აღნიშნული სასწავლებლის ინსპექტორი დეკანოზი კორნელი კეკელიძე 1916 წლის 23 სექტემბერს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად, რომელ თანამდებობაზეც ადრე მხოლოდ რუსები ინიშნებოდნენ. რადგანაც ამ შემთხვევაში „რუსის ადგილი“ ქართველმა დაიკავა, ამის „საკომპენსაციოდ“ ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ საეპარქიო ქალთა სასწავლებელში ქართველის მიერ გამოთავისუფლებული ინსპექტორის თანამდებობაზე რუსის დანიშვნა მოითხოვა. ხელისუფალთა მხრიდან ამ, მართლაც, ძალზე უცნაური „კომპენსაციის“ მოთხოვნა გახდა მამა ამბროსის აღშფოთების მიზეზი. თავის წერილში ის ოსტატურად იყენებს „კომპენსაციის “ თემას საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და საეკლესიო პრობლემების იმპერიის მთავარი

[1] დარსალია დ., წმინდა ამბროსი აღმსარებლის უცნობი წერილები საქართველოში სასულიერო განათლების შესახებ, საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 24-30 მარტი, №12, 8-12.

გაზეთის ფურცლებზე კიდევ ერთხელ წამოსაწევად. ამბროსი ხელაია ლოგიკურად სვამს საკითხს საეგზარქოსოს საუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართული ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური დანაკარგის კომპენსაციის შესახებ. ხომ არ დადგა ჟამი, - კითხულობდა იგი, - მოხდეს ქართველებისთვის იმ სისხლის კომპენსირება, რომელიც მათ პირველ მსოფლიო ომში დაღვარეს და კვლავაც ღვრიან რუსეთის სასარგებლოდ? ამასთანავე გასაგებად მიანიშნებდა, რომ ქართველთა მიერ დაღვრილი სისხლის კომპენსირებაში ის პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას გულისხმობდა[1].

ქართული ეკლესიის მდგომარეობასთან და მისი ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებულია წმინდა ამბროსის შემდეგ წერილებში: „უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შესახებ“ (პ.ვ., 1916, 20 ივლისი//2 აგვისტო), „სალამი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას“ (პ.ვ., 1917, 7//20 აპრილი) და „წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“ (პ.ვ., 1917, 19 მაისი//1 ივნისი; 28 მაისი//10 ივნისი; 4//17 ივნისი; 18 ივნისი//1ივლისი; 21 ივლისი//14 ივლისი; 12//25 ივლისი; 12//25 სექტემბერი). საქართველოს საეგზარქოსოსგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფისა და შემდეგ საეგზარქოსოს კავკასიის სამიტროპოლიტოთი ჩანაცვლების გეგმის ჩავარდნის შემდეგ უწმინდეს სინოდში საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმების (როგორც პირველი ნაბიჯი საეგზარქოსოს გაუქმებისაკენ) პროექტი შეიმუშავეს. საქართველოს წინააღმდეგ უმაღლესი სასულიერო მთავრობის მორიგი გამოლაშქრების მცდელობას ამბროსი ხელაიამ უპასუხა წერილით „უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის სინოდალური კან-

[1] დარსალია დ., წმინდა ამბროსი აღმსარებლის უცნობი წერილები საქართველოში სასულიერო განათლების შესახებ, 8-12.

ტორის შესახებ“. ავტორს მიაჩნია, რომ „სინოდალური კანტორა უნდა არსებობდეს ქართული ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენამდე“, რადგანაც ის იყო ეგზარქოსის დამხმარე დაწესებულება; საჭიროების შემთხვევაში იცავდა ადგილობრივი სამღვდელოებისა და მოსახლეობის ინტერესებს, რაც მთავარია, უზრუნველყოფდა საქართველოს ეპარქიების ერთიან მართვას. ერთ-ერთი არგუმენტი სინოდალური კანტორის დროებითი შენარჩუნების სასარგებლოდ გახლდათ ის, რომ 1814 წელს იგი ქართული ეკლესიის წინანდელი ავტოკეფალურობისადმი პატივისცემის ნიშნად შეიქმნა. სინოდალურ კანტორაზე დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულების მიზნით, მამა ამბროსის აზრით, საჭირო იყო ქართულ-რუსული ენების მცოდნე პროკურორის დანიშვნა, როგორც ამას დებულება მოითხოვდა, აგრეთვე კანტორის წევრების მიერ ადგილობრივი საეკლესიო ცხოვრების თავისებურებების ცოდნა და ყოველგვარი ზეწოლისაგან მათი განთავისუფლება[1].

1917 წლის 12//25 მარტს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას წმინდა ამბროსი ვრცელი მისალმებით თუ წერილით გამოეხმაურა, რომლის სათაურია „სალამი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიას“. გარდა საკმაოდ ემოციური მისალმებისა, მასში საუბარი იყო ქართული ეკლესიისა და მისი მღვდელმთავრების ისტორიულ დამსახურებებზე, იმჟამინდელ დაბეჩავებულ მდგომარეობაზე, რაც XIX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის დაკარგვამ და „მჩქეფარე თვითშემოქმედების პარალიზებამ“ გამოიწვია. „მაგრამ, მადლობა ღმერთს, - ნათქვამია მისალმებაში, - შენ ცოცხლდები და წინანდელი ცხოველმოქმედებისკენ, სისპეტაკისა და სიწმინდისკენ მიისწრაფი, გინდა შენს შვილებში გააღვიძო წინანდელი თავგამოდება სარწმუნოებისა და

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 279.

ეროვნული ინტერესების მიმართ. შენი წარსული - წარმატების გარანტიაა, ილხინე და იზეიმე, დედაო ეკლესიავ!“ მამა ამბროსი რწმენას გამოთქვამდა, რომ რუსეთის ეკლესიაც მალე აღიდგენდა თავის კანონიკურ წყობას, გამოვიდოდა სავალალო მდგომარეობიდან, „რათა ორივე დამ მშვიდობაში და თანხმობაში იცხოვროს, რათა რუსეთის განახლებულმა ეკლესიამ დახმარების ხელი გაუწოდოს აღორძინების გზაზე შემდგარ ივერიის ეკლესიას. ეს იქნება ამ უკანასკნელის მიმართ გასულ ასწლეულში ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვების მონანიება“[1]. ასე ასრულებს ავტორი თავის მისალმებას. როცა იგი დაიბეჭდა, წმინდა ამბროსი ერთთვიანი შვებულებით უკვე თბილისში იმყოფებოდა და ავტოკეფალიააღდგენილი ქართული ეკლესიის დროებითი მმართველობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა; იყო იმ დელეგაციის წევრი, რომელიც პეტროგრადიდან საქართველოში სპეციალურად მოვლინებულ ვ. ბენეშევიჩთან ქართული ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. 1917 წლის აპრილის ბოლოს ის კვლავ სტარაია რუსაში ბრუნდება და იწყებს სამეცნიერო-პოპულარული წერილების სერიის გამოქვეყნებას საერთო სათაურით „წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“[2]. ამ სერიის ქვეშ რვა წერილი დაიბეჭდა, პირველმა მათ შორის მზის სინათლე 19 მაისს იხილა. რუსულ საზოგადოებას და მთელს იმპერიას ავტორი კიდევ ერთხელ ამცნობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, ყურადღებას ამახვილებდა ძველი რეჟიმის იმ მომხრეებზე და პოლიტიკანებზე, რომლებიც ამ ახალ ვითარებაშიც ხელს უშლიდნენ ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის მშვიდობის, სიყვარუ-

---

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 309.

[2] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 310-332.

ლის დამყარებას, ცდილობდნენ მართვის ძველი წესების შენარჩუნებას, რადგანაც „თავისუფლებას ისინი მხოლოდ თავიანთთვის აღიარებენ“, - წერდა მამა ამბროსი და იქვე კატეგორიულად აცხადებდა, რომ ამიერიდან ქართული ეკლესია, რომელსაც სურს საკუთარ ენაზე ადიდოს უფალი, რომ მრევლს და მწყემსმთავრებს ერთმანეთის ესმოდეთ, სინოდს არ დაემორჩილება. იმ ადამიანების საყურადღებოდ, ვისაც მიაჩნდა, რომ ქართული ეკლესია უწმინდესი სინოდის მეურვეობის გარეშე არსებობს ვერ შესძლებდა, დაიწერა და 28 მაისს გამოქვეყნდა მეორე წერილი. მასში ავტორი ამტკიცებდა, რომ, პირიქით, ქართული ეკლესიის მაშინდელი ტრაგიკული მდგომარეობა სწორედ სინოდალურ-საეგზარქოსო მმართველობის პირდაპირი შედეგი იყო. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ქართული ეკლესიის გადარჩენის ერთადერთ გზას და საშუალებას ძველი მმართველობის გაუქმება და ავტოკეფალიის აღდგენა წარმოადგენდა.

იმ მოსაზრების გაბათილებას, თითქოს ქართულ ეკლესიაში არსებული პრობლემები არა სინოდალური-საეგზარქოსო მმართველობის შედეგია, არამედ უფრო შორეული წარსულის გადმონაშთი, ეძღვენება მესამე და მეოთხე წერილები, რომლებიც 4 და 18 ივნისს დაიბეჭდა. საქართველოს მიერ საუკუნეების მანძილზე მამულისა და რჯულის დასაცავად გადახდილი ომების მიმოხილვის შემდეგ ავტორი ასეთ კითხვებს სვამს: „ჰქონდა თუ არა ქართველი ხალხის ასეთ ბობოქარ საბრძოლო ცხოვრებას რაიმე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა? მოახერხეს თუ არა ქართველებმა ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში რამე ყურადსაღების შეტანა? თავიანთი ისტორიული ცხოვრებით, მათ დაიმსახურეს თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, ის, რომ იმათ წარსულ ცხოვრებას და ამჟამინდელ მდგომარეობას ერთგვარი ყურადღებითა

და პატივისცემით მოეკიდონ“?[1] დანარჩენ ოთხ წერილში, რომელიც ივლისში და სექტემბერში გამოქვეყნდა, სწორედ ამ კითხვებზეა პასუხი გაცემული. წმ. ამბროსის აზრით, ქართველობამ საუკუნეების მანძილზე გაღებული სისხლით შეიტანა თავისი წვლილი თანამედროვე ევროპული კულტურის საგანძურში; საქართველო, რომელიც მოწამეთა ქვეყანაა, სისხლისაგან იცლებოდა ქრისტიანული ცივილიზაციის ინტერესებისათვის. თავისი ძლიერების ჟამს კი საქართველო არა მხლოდ საკუთარ თავს, არამედ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ქრისტიანებს იცავდა, ბიზანტიას ეხმარებოდა, მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა კავკასიაში, ირანში, ბულგარეთში და ა.შ. მსოფლიო ეკლესიის ინტერესების დაცვაში საქართველოს დამსახურება არც თუ ისეთი მცირეა, - წერდა ამბროსი ხელაია, - რომ ანგარიში არ გაეწიოს მის წარსულს, რომ შეურაცხყოფა მიაყენონ ქართველთა რელიგიურ და ეროვნულ გრძნობებს, რომ არ დავეხმაროთ მათ საკუთარი მრავალტანჯული ეკლესიის კანონიკური წყობის აღდგენაში[2].

მერვე დასკვნით წერილში, რომლის გამოქვეყნება გაზეთმა ორი თვით დააგვიანა, წმინდა ამბროსი ეხება საქართველოს მიერ ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში არა მხოლოდ სისხლით, არამედ „სიბრძნის მელნით“- „ჩერნილამი მუდროსტი“ - [3] შეტანილ წვლილს; ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს, როგორც თვითონ აღნიშნავს, „მელნისმიერ დამსახურებებს“ („ჩერნილნიე ზასლუგი“), ანუ მდიდარ ქართულ სასულიე-

[1] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 322.

[2] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 330.

[3] გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის, 324, 330.

რო და საერო ლიტერატურას, საუბრობს ძველქართული წერილობითი ძეგლების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

რვა ნაწილისაგან შემდგარი „წერილები ქართული ეკლესიის შესახებ“ გაჯერებულია ისტორიული წყაროებით; წმინდა ამბროსი იყენებს იმ დროისთვის მკვლევართათვის ხელმისაწვდომ უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას. ეს ყოველივე მეტ დამაჯერებლობას ანიჭებდა ამა თუ იმ ავტორისეულ დებულებას. წერილების საერთო დედააზრი და მიზანი ქართული ეკლესიის ისტორიული დამსახურებების პოპულარიზაციაში, ამ დამსახურებების გათვალისწინებით, მისი ავტოკეფალიის აღდგენის კანონზომიერებისა და აუცილებლობის დასაბუთებაში, ამასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი იმპერიის მასშტაბით ამ პრობლემების გახმაურებაში, საეკლესიო, სამეცნიერო, პოლიტიკურ და სახელისუფლებო წრეებამდე, ფართო მკითხველამდე მათ მიტანაში, თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა მოძიებაში მდგომარეობდა.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახლებაში ყოფნის პერიოდშიც ამბროსი ხელაია საქართველოს პრობლემებით ცხოვრობდა; სხვადასხვა წყაროდან იღებდა დეტალურ ინფორმაციას ქვეყანაში, მის ცალკეულ ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით აფხაზეთში არსებული ვითარების, ქართველთა დისკრიმინაციისა და ეროვნული ჩაგვრის, იმპერიის დედაქალაში შემუშავებული ანტიკანონიკური და ანტიქართული გეგმების თუ პროექტების, შესახებ, სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ყოველივე ამაზე ოპერატიული რეაგირება, იმპერიის მასშტაბით მათი გახმაურება, შოვინისტური პოლიტიკის მხილება და დასაბუთებული კრიტიკა ძალიან ხშირად ხელს უწყობდა ამა თუ იმ წერილში წამოჭრილი პრობლემის სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც მოგვარებას, პეტერბურგში შემუშავებული ანტიქართული გეგმების დროებით შეჩერებას, შოვინისტური პოლიტიკის ასევე

დროებით შერბილებას; ახდენდა ხელისუფლების მხრიდან ახალი შემოტევის პრევენციას და ა.შ. სწორედ ამიტომ 1912-1917 წლებში გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი“ საქართველოს ეროვნული და საეკლესიო პრობლემების მაღალ მეცნიერულ თუ პუბლიცისტურ დონეზე გაშუქება წმინდა ამბროსი აღმსარებლის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე.

**დამოწმებანი:**


წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, თბილისი, 2006.

გამახარია ჯ., დარსალია დ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) აფხაზეთში ქართველთა გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ, ჟურნალი „ახალგაზრდობა“, 2009.

რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 2010.

დარსალია დ., წმინდა ამბროსი აღმსარებლის უცნობი წერილები საქართველოში სასულიერო განათლების შესახებ. - საპატრიარქოს უწყებანი, 2011, 24-30 მარტი, №12.

გამახარია ჯ., წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის. თბილისი, 2012.

Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997.

Советская Историческая Энциклопедия, т. 12. М., 1969.

Православная Энциклопедия, т. II. М., 2001.

*Jemal Gamakharia*
*Doctor of History, Professor, Deputy Chairman of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia*

# ARTICLES PUBLISHED IN THE NEWSPAPER "PETROGRADKIE VEDOMOSTI" BY SAINT CONFESSOR AMBROSISUS (KHELAIA) (1912-1917)

## RESUME

In 1909-1917, when Saint Ambrosisus was appointed at Trinity Monastery of Riazan, against his will and afterward serving as dean of monastery at the Staro Rusa first-class Monastery of Transfiguration of the Novgorod eparchy, he published dozens of scientific- journalistic articles concerning rather important matters for Georgia. Twelve articles, published in gazette of liberal movement "Petrogradskie Vedomosti" ("P.V.") in 1912-1917, deserve public attention. It has recently become available to research and publish these documents. The articles can be divided into three groups.

Six articles are dedicated to the problematic issues of Abkhazia: "commentary regarding the merits of his eminency Andria" ( "P.V.", 1912, November 7//20.); "Regarding Sokhumi eparchy "(”P.V", April 23//May 6, April 28// May 11, May 6//19); "A Letter from the Caucasus " ("P.V", 1916, August 6//19); " In response to his eminency Sergi" ("P.V. ", 1916, October 25//November 7); "From the Sokhumi Eparchy " ("P.V", 1916, November 23//December 6); "The Sokhumi dealers" ("P.V", 1917, February 22//March 7). These articles expose vigorous anti-Georgian politic of Russian bishops. However bishop Andria (Ukhtomski) appeared to be an exception during the early stage of his work in Abkhazia (1911, June 25 - 1913 December 22).

Terrible state of Georgian religious education is publicized in three following articles: "Spiritual Seminary in Kutaisi" ("P.V", 1916, November 20//December 3);

"Powerlessness of the Georgian Bishops and Spiritual Schools of the Exarchate" ("P.V.", 1916, December 15//28); "Strange Compensation" ("P.V", 1917, January 28// February 10).

Three more articles of Saint Abrosisus refer to the situation concerning the Georgian Church and issues connected to restoration of the autocephaly: "On the subject of Georgia-Imereti Synodical Bureau of Holy Synod" ("P.V.", 1916, July 20//August 2); "Greetings to the Georgian Autocephalous Church " ("P.V.", 1917, April 7//20); "Letters on the Georgian Church" ("P.V.", 1917, May 19//June 1; May 28//June 10; June 4//17; June 18//July 1; June 21//July 4; July 12//25; September 12//25), which consists of eight parts.

One of the greatest deeds of Saint Confessor Ambrosisus towards Georgia and its Church is the revelation of acute clerical and national problems along with the situation in Abkhazia on very sophisticated scientific and Journalistic level, through the pages of the most powerful newspaper in the Empire.

***Петр Малков***
*Зав. каф. Теологии Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета, доцент*

# Образ вселенского Креста в святоотеческих толкованиях на Священное Писание Ветхого и Нового Завета

Среди богословского и церковно-исторического творческого наследия святителя Кириона, важнейшее место, безусловно, занимает тема Креста. Среди работ священномученика Кириона, посвященных Кресту Христову, следует упомянуть следующие публикации:

«Крест в мире языческом и христианском». Харьков, 1912.

«Крест св. Нины в связи с вопросом о значении креста в древности».

«История одного из гвоздей, которым пригвожден был ко Кресту Господь наш Иисус Христос». «Пастырь» 1892, № 1, 2.

Именно поэтому для данного доклада на конференции, посвященной личности и творческому наследию этого замечательного грузинского Священномученика, и был избран один из богословских аспектов темы Креста Христова…

Православная Церковь чтит святой Крест как орудие казни Христовой, ставшее для человеческого рода орудием нашего Искупления.

Распятие Господа на Кресте было приуготовано — в предведении Богом будущего грехопадения человека — еще прежде создания мира, и оказалось исполнено Сыном Божиим в согласии с волей Отчей о Спасении человеческого рода. Как говорит святитель Иоанн Златоуст, «Крест — изволение Отца, слава Единородного…»[1].

Как мы хорошо знаем, основания для православного молитвенного почитания Креста и поклонения ему содержится в

---

[1] *Святитель Иоанн Златоуст.* Беседа о кладбище и кресте. Творения. Т. 2. Кн. 1, 441.

Священном Писании Нового Завета. Прежде всего о спасительном значении Креста Христова для верующих свидетельствует апостол Павел:

«*А я не желаю хвалиться, разве только крестом Господа нашего Иисуса Христа, которым для меня мир распят, и я для мира*» (Гал. 6, 14).

Христос «*истребив учением бывшее о нас рукописание, которое было против нас, …взял его от среды и пригвоздил ко кресту; отняв силы у начальств и властей, властно подверг их позору, восторжествовав над ними Собою*» (Кол. 2, 14-15).

«*…Слово о кресте для погибающих юродство есть, а для нас, спасаемых, — сила Божия*» (1 Кор. 1, 18).

Тем самым, Апостол свидетельствует о том, что именно посредством Крестной смерти Господа, Его распятия была низвергнута власть над человеком греха, оказались побеждены бесовские силы, людям же была дарована сила спасающей Божественной благодати. Здесь само слово «крест» оказывается для апостола Павла синонимом Распятия, как Крестной смерти Господа.

Основываясь на многочисленных свидетельствах Священного Писания об особом спасительном значении для христианина Креста Христова, древние Отцы Церкви также решительно утверждали особую необходимость его почитания. Так, священномученик Игнатий Богоносец пишет: «...вы возноситесь на высоту орудием Иисуса Христа, то-есть Крестом, посредством верви Святого Духа...»[1]. «Мой дух — в прах пред Крестом, который для неверующих соблазн, а для нас спасение и вечная жизнь»[2].

Тем самым, уже сам Крест рассматривается древней церковной традицией не только как орудие спасительной для человеческого рода смерти Господа, но и как подлинное вместилище Божественной благодати и действенное орудие победы над бесовскими силами в каждодневной борьбе всякого

---

[1] *Священномученик Игнатий Богоносец.* Послание к Ефесянам. 9. // Ранние отцы Церкви. Антология. Брюссель. 1988, 105.

[2] *Священномученик Игнатий Богоносец.* Послание к Ефесянам. 18. // Ранние отцы Церкви. Антология, 108.

христианина. Как учит святитель Кирилл Иерусалимский, «итак, да не стыдимся исповедывать Распятого; с дерзновением да изображаем рукою знамение Креста на челе и на всем: на хлебе, который вкушаем; на чашах, из которых пьем; да изображаем его при входах, при выходах, когда ложимся спать и встаем, когда находимся в пути и отдыхаем. Он великое предохранение, данное бедным в дар, и слабым без труда. Ибо это благодать Божия: знамение для верных, и страх для злых духов»[1].

По мысли древних церковных писателей, образами Креста, как прообразами будущего спасительного орудия казни Христовой, изначально, с мига творения была пронизана вселенная. Даже наши людские тела по своей форме напоминают Крест. Именно в связи с этим стоящий с воздетыми на молитве руками человек – при подобной трактовке его образа – зачастую воспринимался древними церковными писателями как некое «отображение» Креста Христова. Тертуллиан, например, пишет об этом так: «Если хочешь быть учеником Господа, бери свой крест и следуй за Господом, то есть изволь претерпеть лишения и пройти весь крестный путь, пусть даже крест этот будет всего лишь твоим телом, которое до некоторой степени подобно кресту» [2].

В Ветхом Завете, по убеждению Церковной традиции, также безусловно присутствовали пророческие слова и свидетельства о Кресте Христовом и о даруемом нам через его посредство Спасении.

Прежде всего, это различные ветхозаветные исторические реалии, прообразующие собой Крест. Так, например, древо, брошенное Моисеем в горький источник и обратившее воду в сладкую (см. Исх. 15, 23-25) рассматривается как прообраз

---

[1] *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Огласительное поучение тринадцатое // *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Поучения огласительные и тайноводственные. М., 1991, 199.

[2] *Тертуллиан.* Об Идолопоклонстве // *Тертуллиан.* Избранные сочинения, М., 1994, 259.

Креста Христова, обратившего горечь греха человеческого рода в новую сладость жизни в Боге.

На один из таких ветхозаветных прообразов Креста указывает Сам Христос, ссылаясь при этом на библейскую историю медного змия, ограждавшего евреев в пустыне от смертельных последствий укусов ядовитых змей (см. Числ. 21, 9): «*И как Моисей вознес змию в пустыне, так должно вознесену быть Сыну Человеческому, дабы всякий, верующий в него не погиб, но имел жизнь вечную*» (Ин. 3, 14-15). Под «вознесением» Господь здесь понимает Собственное «вознесение» на Крест, посредством чего людям и будет дарована уже не временная жизнь — как евреям в пустыне — но «жизнь вечная».

В качестве библейских пророчеств о Кресте рассматривается и целый ряд других ветхозаветных фрагментов. Так, например, здесь часто приводятся слова пророка Исаии: «*И поднимет знамя язычникам, и соберет изгнанников Израиля, и рассеянных Иудеев созовет от четырех концов земли*» (Ис. 11, 12). Под знаменем истолкователями здесь обычно подразумевается сам Крест, а образ «четырех концов земли» указывает на его четвероконечность.

Значимы здесь и слова из книги Второзаконие *«...проклят пред Богом (всякий) повешенный (на дереве)...*» (Втор. 21, 23), напрямую соотносимые с образом Креста Христова апостолом Павлом: «*Христос искупил нас от клятвы закона, сделавшись за нас клятвою — ибо написано: проклят всяк, висящий на древе…*» (Гал. 3, 13). Итак, в соответствии с приведенным речением из книги Второзакония, смерть на кресте рассматривалась древними евреями как величайший позор для казнимого. Однако, принимающий на Себя — ради нашего Искупления — величайшее уничижение, «кенозис», Христос, обращает этот позор Креста в славу крестной победы над сатаной, грехом и смертью. По слову святителя Кирилла Иерусалимского, «всякое действие Христово составляет славу

вселенской Церкви, но Крест составляет особенную славу»[1]. «...Крест есть слава для Иисуса»[2].

Одним из важнейших ветхозаветных пророческих фрагментов, прообразующих, по убеждению древней экзегетической святоотеческой традиции, Крест Христов, являются известные слова псалмопевца: *«Куда пойду от Духа Твоего, и от лица Твоего куда убегу? Взойду ли на небо — Ты там; сойду ли в преисподнюю — и там Ты. Возьму ли крылья зари и переселюсь на край моря, — и там рука Твоя поведет меня, и удержит меня десница Твоя»* (Пс. 138, 7-10).

Впрочем, зачастую этот отрывок понимается Святыми Отцами только лишь как свидетельство о Божественном вездеприсутствии в мире — без всякого упоминания о теме Креста. Так, Златоуст пишет: « *“Духом”* и *“лицом”* называет он (Псалмопевец) Самого Бога; то есть “куда пойду я от Тебя? Ты все наполняешь, везде присутствуешь, не частью, но везде вдруг, всецело”. Исчисляя места горняя и дольняя, широту и долготу, глубину и высоту, он показывает, что Бог присутствует везде»[3]. Однако наравне с таким способом истолкования этого отрывка, в святоотеческом наследии существует и совсем иной вариант понимания данного фрагмента ветхозаветного псалма. Подобное понимание, в частности, нам предлагает святитель Григорий Нисский. При этом, он, подобно Златоусту, также свидетельствует здесь о Божественном вездеприсутствии, однако, говорит именно о таком образе вездеприсутствия Бога, в соответствии с которым Господь распростирается до самых дальних пределов вселенной на некоем бесконечном и неограничимом мистическом Кресте. В своем известном «Слове

---

[1] *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Огласительное поучение тринадцатое // *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Поучения огласительные и тайноводственные, 175.

[2] *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Огласительное поучение тринадцатое // *Святитель Кирилл, архиепикоп Иерусалимский.* Поучения огласительные и тайноводственные, 178.

[3] *Святитель Иоанн Златоуст.* Беседы на Псалмы. На псалом 138. 2 // *Святитель Иоанн Златоуст.* Т. 5. Кн. 2. М., 1996, 460.

на святую Пасху и о тридневном сроке Воскресения Христова» святитель Григорий пишет: «Этот-то образ креста воспел и великий Давид, говоря о себе: *“Куда пойду от Духа Твоего, и от лица Твоего куда убегу? Взойду ли на небо”*, вот высота (Креста): *“сойду ли в преисподнюю”*, — вот глубина. *“Возьму ли крылья зари”* (разумеется восток солнечный) — вот широта, если “переселюсь на край моря” (так он называет запад) — вот долгота (Креста) (Пс. 138, 7–9). Видишь, как словами живописует он образ Креста. Ты, говорит, проницаешь все, связуешь все сущее и объемлешь Собою все концы, на высоте Ты находишься, внизу Ты присутствуешь, одному концу присуща рука Твоя, и в другом указывает путь десница Твоя»[1].

Итак, некогда Псалмопевец изрек удивительные слова, по убеждению святителя Григория, вполне выразившие самую суть величия и всеобъемлющего присутствия знамения Креста во всем мироздании: *«Куда пойду от Духа Твоего, и от лица Твоего куда убегу? Взойду ли на небо – Ты там; сойду ли в преисподнюю – и там Ты. Возьму ли крылья зари и переселюсь на край моря, – и там рука Твоя поведет меня, и удержит меня десница Твоя»* (Пс. 138, 7-9). От одного края горизонта нашего тварного бытия и до другого все, что ни существует в земном мире, оказывается как бы «охваченным», «объятым» двумя раскинутыми в бесконечности умопостигаемого «космоса» горизонтальными ветвями Креста; вертикаль же его, уходя вниз, пронзает, подобно копью, темные глубины ада, и в то же время, возносясь другим концом ввысь, достигает святых пределов небесного Рая, самого подножия Божественного Престола...

При этом святитель Григорий Нисский проводит здесь же и некие смысловые параллели с двумя известными фрагментами из посланий святого апостола Павла, которые также, по его убеждению, рисуют нам таинственный образ этого всекосмического Креста Христова, пронизывающего и, одновременно, охватывающего собой всю тварную вселенную.

[1] *Святитель Григорий Нисский.* Слово на святую Пасху и о тридневном сроке Воскресения Христова // *Святитель Григорий Нисский.* Догматические сочинения. Т. 1. Краснодар, 2006, 276.

Во-первых, это слова из Послания к Ефесянам: *«чтобы вы, укорененные и утвержденные в любви, могли постигнуть со всеми святыми, что широта и долгота, и глубина и высота, и уразуметь превосходящую разумение любовь Христову, дабы вам исполниться всею полнотою Божиею»* (Еф. 3, 18-19). Вот как комментирует эти слова Апостола святитель Григорий: «…не напрасно божественное око апостола мысленно узрело здесь образ Креста; но чрез это апостол ясно показал, что всякий, отринув от глаз чешую неведения, ясно увидит саму истину. Ибо он знал, что образ Креста, представляющий четыре выступа, соединенные посредине, обозначает на все простирающуюся силу и промышление Того, Кто на нем явился (Христа), и потому каждому выступу дает отличительное название: глубиною именуя то, что идет вниз от средины, высотою то, что находится сверху, широтою же и долготою то, что поперек простирается в обе стороны от связи (двух перекладин); так что часть в ту сторону от средины называется широтою, а в другую сторону — долготою. Чрез это, мне кажется, ясно обозначается словом то, что нет ничего существующего, что бы неодержимо было Божескою природою, — и небесное, и подземное, и отовсюду простирающееся посредине до пределов сущего. Ибо высотою означается горнее, глубиною подземное, долготою и широтою — все, что заключается в средине и что держится всем управляющею силою. Доказательством сказанного пусть будет то, что происходит в душе твоей при мысли о Боге. Ибо воззри на небо, представь земные глубины, простри свою мысль до широты и до пределов всего существующего и подумай, какова сила, содержащая все это, служащая как бы некоторой связью всего, и увидишь, как мысль о Божеской силе сама собою начертывает в уме образ Креста, от высокого и небесного нисходящий в бездну и до крайних пределов простирающийся поперек»[1].

Припоминает здесь святитель Григорий и другой фрагмент из Павловых посланий: *«Посему и Бог превознес Его и дал Ему имя выше всякого имени, дабы пред именем Иисуса*

---

[1] *Святитель Григорий Нисский.* Догматические сочинения. Т. 1. Краснодар, 2006, 275.

*преклонилось всякое колено небесных, земных и преисподних…»* (Флп. 2, 9-10). Как пишет об этом Нисский святитель, «великий апостол говорит, что когда все исполнится веры и ведения, тогда Сущий превыше всякого имени о имени Иисуса Христа получит поклонение от *"небесных, земных и преисподних"* (Флп. 2, 10). И здесь (вновь), соответственно образу Креста, Апостол опять разделяет поклонение Кресту. Ибо надмирная (небесеная) область в верхней части Креста воздает поклонение Владыке, мировая часть (живущих на земле) — в средине, преисподняя же соответствует нижней части Креста»[1].

Итак, по убеждению целого ряда христианских авторов, в Священном Писании содержатся ясные духовные свидетельства о том, что Крест Христов являлся подлинной «осью» вселенной, неким духовным «центром» мира. Эта идея получает в творениях многих раннехристианских писателей очень яркое и предельно поэтичное развитие. Так в разделе Spuria творений святителя Иоанна Златоуста[2], в «Шестой Беседе на Пасху», приписываемой ныне исследователями священномученику Ипполиту Римскому, о Кресте Христовом говорится: «...Древо сие дается мне для вечного моего Спасения. Оно питает меня, восстанавливает силы, я опираюсь на его корни, располагаюсь под его ветвями, с радостью я дышу его запахами, как будто подставляю лицо ветру. Под сенью его я ставлю свою палатку, укрываясь от чрезмерного зноя, я обретаю отдых, полный прохлады. Я расцветаю вместе с цветами его, плоды его доставляют мне неизъяснимую радость, я собираю их, ибо они приготовлены для меня с начала мира. У него я нахожу изысканную пишу для утоления голода, под ним фонтан для утоления жажды, с него я беру одежду, дабы прикрыть свою наготу, листья его – это Дух животворящий. Прочь от меня отныне листья смоковницы! Если есть во мне страх Господень, то здесь у древа мое убежище, в опасностях оно укрепит меня, в битвах – послужит щитом, в победе – трофеем. Вот малая тропа, вот мой узкий путь! Вот лествица Иаковля, где ангелы восходят

---

[1] *Святитель Григорий Нисский.* Догматические сочинения. Т. 1. Краснодар, 2006, 276.

[2] См.: PG. Col. 743-746.

и нисходят, а на вершине ее стоит Господь. Дерево это простирается дальше неба, поднимается от земли к небесам. Будучи бессмертным, оно растет из центра неба и земли, оно – твердая опора вселенной, связь всех вещей, основа всей обитаемой земли, космическое сплетение, содержащее в себе всякую пестроту человеческой природы. Прибитый незримыми гвоздями Духа, дабы не колебаться в твердом согласии с волей Божией, головою касаясь неба, а земли ногами, все пространство между землей и небом заполнил Он необъятными руками Своими»[1].

Мы видим: Крест Христов здесь, в этой святоотеческой «Беседе», выступает как изначальная, существующая от начала мира опора и утверждение вселенной, как некий образ четырехчастной устремленности всего бытия к произрастанию и развитию. Собирая воедино тварный космос, этот нематериальный Крест царит над мирозданием, изгоняя из него своею властью злые разрушительные силы. Вся вселенная оказывается как бы утвержденной на ветвях этого гигантского космического Древа, где каждая планета – его плод, а всякое созвездие – листва в его кроне, вздымающейся ввысь подобно ступеням крутой лестницы и возводящей все творение к надмирному престолу Создателя неба и земли.

Вместе с тем, следует помнить и о том, что Крест для христиан всегда был прежде всего реальным и вполне «историческим» орудием казни Спасителя — воплотившегося Господа Иисуса Христа. «Если распятие на Кресте призрак, между тем (как) от Креста спасение, то и спасение призрак», – говорит святитель Кирилл Иерусалимский[2]. Крест же надмирный, от века существующий, о котором Святые Отцы также писали неоднократно, был значим для христиан лишь постольку, поскольку он прообразовывал собой грядущую смерть Бога на грубом деревянном Кресте и поскольку Господом было предуведано будущее водружение на Голгофе

---

[1] Русский перевод цит. по: *Де Любак, Анри.* Католичество. Христианская Россия, 1992, 391.

[2] *Святитель Кирилл, архиепископ Иерусалимский*. Поучения огласительные и тайноводственные, 200.

этого вполне материального орудия казни. Тем самым, для христиан основанием этой бесконечной всекосмической крестной оси – с момента Голгофской Жертвы – неизменно являлся конкретный каменистый холм вне пределов града Иерусалима. Именно об этом учит святитель Кирилл: «Он (Христос) простер на Кресте руки, дабы объять концы вселенной: ибо сия Голгофа есть средина земли. Не мои слова сии, но Пророк сказал: *«Боже, Царь мой от века, устрояющий спасение посреди земли!»* (Пс. 73, 12). Распростер человеческие руки Тот, Который духовными руками утвердил небо»[1].

Тем самым, по мысли древних Святых Отцов, Христос с высоты Креста, раскинув на нем руки, как бы обнял ими все спасаемое человечество и привлек его в Свои объятья. Эта мысль довольно часто подтверждается православной экзегетической традицией с помощью известного фрагмента из Евангелия от Иоанна: «*И когда Я вознесен буду от земли, всех привлеку к Себе. Сие говорил Он, давая разуметь, какою смертью Он умрет*» (Ин. 12, 32-33). Как пишет об этом святитель Афанасий Великий, «Посему Господу прилично было и Крест претерпеть, и распростереть руки, чтобы одною рукою привлечь к Себе ветхий народ, а другою — званных из язычников, тех же и других соединить в Себе»[2].

Тем самым два эти образа: Крест всекосмический, вселенский, а также исторический деревянный Крест Христов, как орудие Его страданий и казни, оказываются в святоотеческой богословской и экзегетической традициях друг от друга неотделимы, неразрывны. Вечный Крест — есть прообраз Креста Голгофского, Крест Голгофский — есть исполнение того своего прообраза, что, вместе с Жертвой за мир беспорочного Агнца, Сына Божия, был предуготован и предведан Богом еще прежде создания мира. Так, по слову известного «Толкования на Исаию», приписываемого авторству святителя Василия

---

[1] *Святитель Кирилл, архиепископ Иерусалимский.* Поучения огласительные и тайноводственные, 194.

[2] *Святитель Афанасий Великий.* Слово о Воплощении Бога-Слова, и о пришествии Его к нам во плоти. Творения. Т. 1. М., 1994. 222.

Великого, но, скорее всего, созданного в кругу его учеников, оба эти Креста друг от друга неотделимы, и, по сути, есть один и тот же спасительный Крест в метаисторической и исторической перспективе одновременно: «Для чего Крестом совершено домостроительство Вочеловечения? Для того, чтобы от четырех крыл земли собрались спасаемые. Ибо Крест делится на четыре части, так что каждая его часть обращена к одной из четырех частей мира. А предпочтена крестная смерть, или – чтобы все части мира приведены были ко спасению частями Креста; или потому, что прежде деревянного Креста воздвигнут был целому миру спротяженный, мысленный Крест, в среде которого соприкасаются четыре части вселенной, и сила которого, заключающаяся в среде, проходит в четыре части» [1].

Мы видим: здесь вполне ясно говорится о том, что прежде деревянного Креста Спасителя в мире был воздвигнут некий «мысленный» Крест, «спротяженный» всей бесконечно огромной вселенной. Но, вместе с тем, ясно говорится и о том, что именно смерть Господа на историческом деревянном Кресте оказалась спасительна для всего мироздания, и явилась как бы неким «оправданием» и «исполнением» того образа «всекосмического древа», того «мысленного Креста», о котором засвидетельствовали библейские пророки, авторы книг Священного Писания. Ведь именно этот исторический Голгофский Крест и стал источником Воскресения и жизни для всего человеческого рода, как ясно и поэтично об этом свидетельствует преподобный Ефрем Сирин в своем «Комментарии на Диатессарон», обращаясь здесь к Самому Христу: «Крест Твоей смерти стал источником жизни для нашей смертности...»[2].

---

[1] Творения иже во святых отца нашего Василия Великого, Архиепископа Кесарии Каппадокийския. Т. 1. СПб., 1911, 407.

[2] *Преподобный Ефрем Сирин.* Толкование на Четвероевангелие // Творения. Т. 8. Свято-Троицкая Сергиева Лавра, 1995, 310.

*ელდარ მამისთვალიშვილი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

## პიპა ქვენიფნეველის ელჩობა ეგვიპტეში იერუსალიმის ქართული სიწმინდეების დასახსნელად

XIII ს. 60-70-იან წლებში ეგვიპტის სულთანმა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოართვა და მასში მეჩეთი დაარსა[1].

ჯვრის მონასტერი კონფისკაციის რამდენიმე თარიღი არსებობს[2].

---

1 *მამისთვალისვილი ე., მეჩეთი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ნოდარ შენგელია 75, თბილისი, 2008,* 188-193.

2 1272 წ., – *დავიდი ი., ნაწერები, I, თელ-ავივი – იერუშალაიმი, 1976,* 289; 1273 წ., – *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962,* 42; *გოჩოლეიშვილი დ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს. 70-ანი წლები), „მაცნე“, ისტორიის სერია, თბილისი, 1975, №4,* 107; 1274 წ., – *ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, თბილისი, 1963,* 750; 1275 წ., – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები. ტექსტი გამოსცა ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968,* 118; 1279 წ. – *კაკაბაძე ს., რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966;* დ. გოჩოლეიშვილი მიხედვით მონასტრის მეჩეთად გადაკეთება მოხდა XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივლისს *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988,* 32; ბოლო ხანს სულთნის მიერ ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის ჩამორთმევა ი. პაპლიჩმა 1268 წლით დაათარიღა, მაგრამ არ ჩანს რას ემყარება ეს მოსაზრება. მონასტრის კონფისკაციას იგი

„დატყვევებული“ ჯვრის მონასტრის დახსნა საქართველოს ხელისუფლების, იერუსალიმის ქართული კოლონიის და თვით ჯვრის მონასტრის ძმობისათვის გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა. ისინი სიტუაციის მიხედვით მოქმედებდნენ, როცა ამის შესაძლებლობა იყო კვლავ მონღოლებთან ერთად ებრძოდნენ მამლუქებს ან მატერიალურად ეხმარებოდნენ ჯვრის მონასტრიდან გაძევებულ ქართულ ძმობას[1].

ერთი ცნობით, ჯვრის მონასტრის დაბრუნება მოხდა 1305 წელს. დავით VIII დიმიტრის ძემ (1293–1311), მეჩეთად გადაქცეულ ტაძარს ძველი ფუნქცია დაუბრუნა[2]. სხვა ცნობით კი, ელჩობას სასურველი შედეგი არ გამოუღია ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე კაიროში უარი უთქვამთ[3].

წყაროები ნათელს ხდის, რომ საქართველო-მამლუკთა ეგვიპტეს შორის მოლაპარაკება მონასტრის დაბრუნების შესახებ ჩიხში არ იყო შესული და გარკვეული პირობებით მოლაპარაკება შეიძლებოდა წარმატებით გაგრძელებულიყო.

---

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გამწვავებით ხსნის. *Pahlitzsch I., Documents on intercurtural communication in Mamluk Jerusalem: The Georgians under Sultan An-Nasir Yasan in 795 (1358),* 373;

[1] *ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ,* თბილისი, 1959, 316; *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961,* 42-42, 97-98, 137, 164; *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,* 92, 155.

[2] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის,* 43-44, 106, 148.

[3] *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ,* 37.

ჩანს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის რეგულირდებოდა[1].

მკვლევრებს შორის თანხმობა არ არის ჯვრის მონასტრის განთავისუფლების თარიღთან დაკავშირებითაც. ალ ცაგარელმა ეს ფაქტი 1305 წელს მომხდარად ივარაუდა[2], რაც გაიზიარეს დ. ყიფშიძემ, ე. მეტრეველმა, დ. ლანგმა, პ. ინგოროყვამ, ბ. სილაგაძემ, ი. სიხარულიძემ, აბუ მანნეჰმ და სხვებმა. მკვლევართა მეორე ჯგუფმა – ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ა. მენთეშაშვილმა და ნ, კანდელაკმა უპირატესობა მიანიჭეს XIV ს. 20-იან წლებს – გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდს (1318-1346), რაზეც შედარებით ვრცლად შემდეგში ვიტყვი.

1310 წელს კაიროს კვლავ ეწვია საქართველოს და ბიზანტიის ახალი ელჩობა, რომელმაც წარმატებას მიაღწია[3].

მოლაპარაკება რომ ხანგრძლივი იყო და ქართველები ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდნენ იერუსალიმში თავიანთი უფლებების აღდგენას, ჩანს 1305-1311 წლების შუალედში. ქართველებმა „1308 წელს თავიანთ მფარველობაში მიიღეს გოლგოთის

---

[1] *Müller and J. Pahlitzsch, „Sultan Baybars I and the Georgians—In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem“, Arabica 51, 2004, 258–290; J. Pahlitzsch, „Mediators Between East and West: „*Christians under Mamluk Rule“, *Mamluk Studies Review* 9/2, 2005, 31–47.

[2] Цагарели А. А., Памиатники грузинской старины в св. Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, Санкт-Петербург, 1888, 95.

[3] Цагарели А. А., Памиатники грузинской старины в св. Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, 34; გოჩოლეიშვილი დ., XIV-XV სს..., 38-39; ჯაფარიძე გ., მუსლიმთა "ტყვეობიდან" იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღისათვის. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. 25-26 იანვარი, თბილისი, 2005, 166-167.

სამლოცველო – ადგილობრივი (არაბი - ე. მ.) ხელისუფლების ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე“[1]. იმავე წელს იმავე სულთანმა ქართველებს ნება დართო გოლგოთაზე აღენიშნათ დღესასწაული. იმავე წლის სხვა ბრძანებით ქართველთა ძმობის ორ წარმომადგენელს ნება დართეს ჩაკეტილიყვნენ უფლის საფლავის ეკლესიაში[2].

როგორც ჩანს, ჯვრის მონასტრის საკითხი ბოლომდე ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო, მაგრამ ურთიერთობა გაუმჯობესებისაკენ მიდიოდა. ეგვიპტის მიერ საქართველოს მიმართ კეთილი ნების დემონსტრირების მაჩვენებელია მამლუქების სულთან ან ნასირ მუჰამედის (1309-341) რამდენიმე დოკუმენტი[3].

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება, რამაც თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ქართველი ბერმონაზვნების მდგომარეობაზე, განპირობებული იყო იმ დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გადადგა.

---

[1] ჯაფარიძე გ., სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკანელთა სამეურვეოს არქივიდან. ,,ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 9, თბილისი, 2002, 677.

[2] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre.* ინტერნეტ რესურსი: http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html.

[3] Pahlitzsch I., Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem. The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomatics in the Eastern Mediterranean 1000-1500. Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval Mediterranean 74), ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008, 373.

გიორგი ბრწყინვალის სახელთან დაკავშირებულია ორი ელჩობის გაგზავნა ეგვიპტეში – 1316 და 1320 წლებში[1], მაგრამ ცნობები მხოლოდ მეორე ელჩობის შესახებ გაგვაჩნია.

ალ-უმარი წერს: „მან (ბარტილმა – ე.მ.) დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მდებარეობს დიდებელი იერუსალიმის ფარგლებს გარეთ. (მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება) ემძიმათ ულემებსა და ღვთისმოშიშებს, თუმცა (მონასტრის დაბრუნება) ტყუილ-უბრალოდ არ მომხდარა. არ იშურებდა (ქართველთა მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის)[2] მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ”[3].

ალ-უმარის ნათქვამს მთლიანად იმეორებს ალ-კალკაშანდი და, თავის მხრივ, მხოლოდ იმას უმატებს, რომ „ბარტალმა, რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“[4].

არაბი ისტორიკოსების მოყვანილ ცნობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას:

1. გიორგი ბრწყინვალეს გამეფებისთანავე (1318 წ.) ეგვიპტის სულთანთან ურთიერთობა გამწვავდა მისი ილხანთა ყაენთან და ჩობან ნოინთან კარგი დამოკიდებულების გამო.

---

[1] კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, 1989 48-53, 64, შენ. 69.

[2] იგულისხმება აბუ საიდის დროს (1317-1335) აღზევებული ჩობან ნოინი.

[3] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, 52.

[4] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, 55.

ეგვიპტის სულთნის კარზე ილხანთა სახელმწიფო განიხილება როგორც მტრული. ამის გამო ეგვიპტის ხელისუფლება ავიწროებს ქართველებს იერუსალიმში.

2. გიორგი V ცდილობს ილხანთა ძალის გამოყენების მუქარით (როგორც ამის შესახებ გვამცნობს ალ-უმარი), ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობის მუქარით (როგორც ქვემოთ მოხმობილი წერილობითი ცნობებით ირკვევა) აიძულოს ეგვიპტის სულთანი დათმობაზე წავიდეს და ქართველებს დაუბრუნოს წმინდა ადგილები.

გიორგი V როდესაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ წერილებითა და შანტაჟით მიზანი ვერ მიიღწეოდა, ამის შემდეგ ის თავის ელჩს აგზავნის ეგვიპტეში. ერთადერთი ქართული წყარო, რომელიც ამ ელჩობაზე გვამცნობს, არის ,,ძეგლი ერისთავთა‘‘. მასში გადმოცემულია ელჩისა და მისი თანამგზავრის მოგზაურობაზე ეგვიპტეში, იქიდან იერუსა-ლიმში მისვლასა და ელჩობის შედეგებზე.

საფიქრებელია, რომ გიორგი V ბრწყინვალემ გაითვალისწინა ეგვიპტის სულთნის ეკონომიკური და სამხედრო ინტერესები, რომელიც მას კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ გააჩნდა. მეფე გიორგიმ ეგვიპტეში თავისი ელჩი გაგზავნა. ,,ძეგლი ერისთავთაში‘‘ გადმოცემულია ელჩისა და მისი თანამგზავრის მოგზაურო-ბაზე ეგვიპტეში, იქიდან იერუსალიმში ჩასვლასა და ელჩობის შედეგებზე: ,,ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალთმისანი სპარსთა (ეგვიპტელთა – ე. მ.) დაიპყრნესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგ-ზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ჴმელთასა მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა; და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე, და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა

ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალთმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხჳა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა[1] და ყოველსა ერსა ცხრაზმისჴევისასა, რომელ მოძღუართ-მოძღურობაჲ ნუვის ჴელ-ეწიფების თჳნიერ ამისსა, და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღური...............[2] [მოძღუართ-მოძღუარი] ხოლო პიპამან მოი-ლოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ჴმელით, და მოვიდა წინაშე მეფისა და ***მოიღო იერლაყი შეწყა-ლებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ***. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“[3].

ივ. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელთ არ ჰქონდა დღეისათვის ცნობილი ზოგირთი არაბული წერილობითი წყარო, პიპა ქვენიფნევლის ელჩობის ზოგადად შეფასებისას გიორგი ბრწყინვალის დიპლომატიური წარმატების მნიშვნელობას იმაში ხედავდა, რომ „ქართ-

[1] ვირშელ ლარგველის ძე, ქსნის ერისთავი 1320 წლიდან. *ღუნაშვილი ვლ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997,* 65.

[2] თ. ჟორდანიას შეუნიშნავს, რომ ტექსტს აკლია ერთი ან ერთნახევარი სტრიქონი. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილისი, 1897,* 8.

[3] *ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, 350.* მონიშვნა ჩემია.

ვერლებმა, წართმეული ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან ერთად, ჩაიბარეს აგრეთვე „კლიტენი იერუსალემისანი“[1].

ე. მეტრეველმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ციტირებულ ტექსტში ნახსენებიც კი არ არის წმ. ჯვრის მონასტერი. „ამბავი ეხება მხოლოდ „იერუსალიმის კლიტეს“, რომლის მიღებისთანავე პიპა წავიდა ქრისტეს საფლავის სალოცავთან... ამ კონტექსტიდან სავსებით აშკარაა, რომ „იერუსალიმის კლიტე“ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს საფლავის კლიტეს ნიშნავს და ამ სალოცავის დიდი მნიშვნელობის გამო „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი სიმბოლურად მას „იერუსალიმის კლიტეს“ უწოდებს“[2].

როგორც ჩანს, ე. მეტრეველის მოსაზრებას იზიარებს ბ. სილაგაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ პიპა ქვენიფნეველის ელჩობის მიზანი ჯვრის მონასტრის განთავისუფლება კი არა, არამედ „იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავის“ დახსნა იყო[3].

ვფიქრობ, „ძეგლში“ ლაპარაკია არა ერთი სიწმინდის – ქრისტეს საფლავის კლიტეზე, არამედ მრავალი სიწმინდის კლიტეებზე და მათ შორის უნდა იგულისხმებოდეს ჯვრის მონასტრის კლიტეც, რომლის შესახებ არაბი ავტორები აღნიშნავენ.

„იერუსალიმის კლიტეებზე“ საუბრის გაგრძელებამდე, გავეცნოთ მუჰამმად იბნ კალავუნის 1320 წლის 28 აპრილის ბრძანებულებას, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია. ჩემი აზრით, იგი ეხმაურება „ძეგლი ერისთავთას“ პიპა ქვენიფნევლის ელჩობის ცნობას, ახსნის მას და იძლევა

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982*, 176-177.

[2] *მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის*, 46.

[3] *სილაგაძე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბილისი, 1968,* 103.

ფართო განსჯის საშუალებას. ჯერ სულთნის ბრძანებულებას გავეცნოთ: „დაიწეროს ეს სამეფო შეუვალობა ***წინამძღვრის, დიდებული, პატივცემული ივანესთვის, რომელიც ცნობილია, როგორც ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, რომ მოვიდეს წმინდა იერუსალიმში უშიშრად, მშვიდად საკუთარ თავზე და არ უყოფენ მას ცუდ საქმეს, არ მიაყენებენ შეურაცხყოფას, არც ზიანს და არც ვნებას, არც თვითონ მას და არც მის ქონებას და არავის, ვინც მასთან ერთად მოვა მისი ხალხიდან და მისი თანამგზავრებიდან.*** ნუ ექნება შიში ნურც მას და ნურც მათ. და ჩვენ გვიბრძანებია, რომ, როცა მოვა წმინდა იერუსალიმში, გაჩერდეს იმ ადგილებში, რომლებიც ქართველთა თემის ხელთაა წმინდა იერუსალიმში; და მას ექნება მფარველობა, პატივი, სიყვარული, პატივისცემა და დაუმშვიდდება გული, იქნება კმაყოფილი და ***მოვა ჩვენი ღვთისაგან დაცულ ქვეყანაში, რათა იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა – ზემოთ სამეფო ხელმოწერის დასმის შემდეგ, თუ ისურვებს მაღალი ალლაჰი“[1].***

ვიდრე დოკუმენტის წმ. ჯვრის მონასტერსა და ივანეს შევეხებოდე, მანამდე ყურადღება უნდა გამახვილდეს არაბული წყაროების შემდეგ მონაცემებზე. როგორც ჩანს:

ა) XIV ს. დასაწყისში იერუსალიმში არსებობდა ხალხმრავალი ქართველი თემი და მის განკარგულებაში იყო წმ. ქალაქის სხვადასხვა ადგილები, რომლებშიც საკულტო ნაგებობების გარდა საცხოვრებელი სახლებიც უნდა ვივარაუდოთ.

[1] *ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, თბილისი, 2008, *240.* მონიშვნა ჩემია.

ბ) უეჭველია, რომ დოკუმენტში ლაპარაკია პიპა ქვენიფნეველის საკმაოდ მრავალრიცხოვან და შეძლებულ ელჩობაზე. ელჩმა სულთანს ისე უხვად მიართვა მდიდრული საჩუქრები, რომ არაბმა ისტორიკოსმა აღნიშვნის ღირსად ჩათვალა.

გ) ალ-უმარი ცდილობს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნების, მუსლიმანთა გაგებით, არაპოპულარული კომპრომისი იმით გაამართლოს, რომ ქართველი მეფე ილხანთა ირანის გამგებლის აბუ საიდის (1317-1335) ვაზირის ჩობანის (ჯუბანის) მეგობარია და ეს ცნობილი და ძლიერი პიროვნება გიორგი მეფეს სულთანთან შუამდგომლობს. იმავე დროს ცნობილია, რომ ქართველი მეფე ჩობანს ეგვიპტის წინააღმდეგაც აქეზებს.

დ) ქართული სამეფო კარი დიპლომატიური საშუალებებით, 1305 წლიდან დაწყებული, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს წმინდა ქალაქში თავისი უფლებების ასამაღლებლად და ჯვრის მონასტრის განთავისუფლებისთვის, რასაც საბოლოოდ და სრულად მიაღწია გიორგი V ბრწყინვალემ 1320 წელს.

1320 წლის დოკუმენტი იმას მაუწყებელია, რომ საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის მოცემულ ეტაპზე, ყველა საინტერესო საკითხი ქართველე-ბისთვის სასურველად გადაწყდა. ვფიქრობ, ***ქართველი ელჩისათვის „იერუსალიმის კლიტეების“ გადაცემას, ორმაგი, სიმბოლური და პირდაპირი დატვირთვა აქვს.***

ა) სიმბოლური იყო ის, რომ მუჰამმად იბნ კალავუნმა ქართველებს გაუუქმა ადამიანური და ეროვნული ღირსების შემლახველი ვალდებულებები. ამიერიდან ქართველებს წმ. ქალაქში ნება მიეცათ თავისუფლად, იარაღასხმულნი, სახელმწიფო დროშით, ცხენზე მამაკაცურად გადამჯდარნი დაუბრკოლებლად შესულიყვნენ წმინდა ქალაქში.

ბ) ჯვრის მონასტრის წინამძღვრის „ბანდასძე დეკანოზი იოვანესათვის“ სულთნის მიერ 1320 წელს მინიჭებული უფლებები, „იცხოვროს წმინდა იერუსალიმში, თანახმად მისი ადათისა და მისი წესისა“, სავარაუდოა, გავრცელდებოდა იოანეს მრევლსა და იქ მოსახლე სხვა ქართველებზეც.

გ) ჩანს, რომ იოანე 1320 წლის 28 აპრილს ჯერ არ ჩასულა წმ. ქალაქში და არ შესდგომია სულთნისაგან ნაბოძები ჯვრის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობის აღსრულებას.

დ) დოკუმენტი ძალაში შევა მას შემდეგ, როდესაც მას სულთანი ხელმოწერით დაამტკიცებს.

ე) „ძეგლი ერისთავთა“ დაწერილია ქსნის ერისთავთ-ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში (1348-1400) ლარგველი მოღვაწის, მწიგნობარისა და მხატვარის ავგაროზ ბანდაიძის მიერ[1]. ავტორისათვის, შეიძლება, კუთხური ინტერესიდან გამომდინარე, უფრო მნიშვნელოვანი იყო ხაზგასმა იმ გარემოებისათვის, რომ „ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ“, საქართველოს მეფის ელჩი, ეგვიპტის სულთანს ეწვია, იყო იერუსალიმში, სადაც „ძეგლის“ ავტორის მოწმობით, ქრისტიანთა უპირველეს ტაძარში „ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხჳა, ჟამი აწირვა, ეზიარა“. „ძეგლის“ ავტორის მიერ ჯვრის მონასტრის დაუსახელობლობა, იქნებ ამ სიწმინდის, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, „ტყვეობითა“ და მასში მეჩეთის არსებობით იყო გამოწვეული. მის მიმართ ცნობები შემცირდა და, შესაბამისად, ინტერესიც შესუსტდა, მაშინ, როდესაც უფლის საფლავის ტაძარი, როგორც საერთო ქრისტიანული სიწმინდე, ქართველ მორწმუნეებში თავის უდიდეს მნიშვნელობას ყოველთვის ინარჩუნებდა.

---

[1] ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, 321.

ვ) არანაკლები მნიშვნელობა „ძეგლის“ დამწერისათვის ექნებოდა იმასაც, რომ იოანე მისი მოგვარე და, შეიძლება, საამაყო, არცთუ შორეული წინაპარი იყო[1]. ამასთან ერთად, ქსნის ერისთავ ვირშელს, სამთავნელსა და საერისთავოს მოსახლეობას იერუსალიმიდან გამოუგზავნეს იმის საბუთი, რომ ამის შემდეგ მოძღვართ-მოძღვარი იქნებოდა მხოლოდ ივანე. იბადება კითხვა: რატომ გამოუგზავნეს აღნიშნულ საეკლესიო თანამდებობაზე ივანეს ხელდასხმის საბუთი ზემოთდასახელებულ ადრესატებს? საერისთავოს ეკლესიის მოძღვართ-მოძღვარიც იგივე ივანე უნდა ყოფილიყო?

ზ) გიორგი ბრწყინვალის დროს გოლგოთის ქართველი წინამძღვარი – გოლგოთელი, მოიხსენიება სამცხის მღვდელმთავრების რიგში მეფესთან დარბაზობის (მიღების) წესის განმარტებისას. გოლგოთელიც დარბაზის წევრი იყო და მიღების ისეთივე პატივი ჰქონდა, როგორიც სამცხის უმნიშვნელოვანესი საეპისკოპოსოების ეპისკოპოსებს – მაწყვერელს, ანჩელს და მტბევარს[2].

თ) სულთნის მიერ ჯვარის და სხვა მონასტრების დათმობა მოხდა ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით. ქართული წყაროს მიხედვით, პიპა სულთანთან მივიდა „მრავლითა ძღუენითა“. ალ-უმარი პირდაპირ ამბობს, რომ მონასტრის დაბრუნება „ტყუილ-უბრალოდ არ მოხდა“. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელმა ვაჭრებმა საქართველოში თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობის უფლება მიიღეს. პოლიტიკური გარიგება კი ის უნდა ყოფილიყო, რომ გიორგი V ჩობან ნოინს ეგვიპტის წინააღმდეგ აღარ წააქეზებდა.

კ) ეგვიპტესთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარება, იერუსალიმის წმინდა

---

[1] ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, 17.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 655-656.

ადგილებში ქართველთა უპირატესობის მოპოვება, გიორგი V-ის საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ეს არ იყო გიორგი ბრწყინვალის მიერ თუნდაც 1325 ან 1330 წელს ერთჯერადი მოქმედებით მოპოვებული წარმატება[1]. ეს წარმატება მიღწეული იქნა არა უცბად, არამედ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. თანდათანობით მოპოვებული წარმატებები ამიტომაც უნდა ასახულიყო გიორგი მეფის სახელზე დადგენილ ჯვრის მონასტრის აღაპებში. მის სახელზე 7 აღაპი დაიწერა[2]. სხვა არც ერთი ქართველი მეფე ამდენჯერ არ მოხსენიებულა იერუსალიმს წმ. ჯვრის მონასტერში. პიპას სახელზე დაწერილია მხოლოდ ერთი აღაპი[3].

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმაჩნია იმის გარკვევა, 1320 წლის ბრძანებულებაში მოხსენიებული ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იოანე, რატომ აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის ეკლესიში, რასაც „ძეგლი ერისთავთა“ გვამცნობს? ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესია უმთავრესი მართლმადიდებლური სიწმინდე იყო და ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ხელდასხმა ამ ტაძარში დიდ პატივად ითვლებოდა, შეიძლება იქ ცერემონიის ჩატარება იმითიც იყო განპირობებული, რომ ამ დროს ქართულ უმთავრეს მონასტერში ჯერ კიდევ მეჩეთი მოქმედებდა. ამით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ერთ-ერთი გერმანელი პილიგრიმი გილელმუს ბალდენსელელი, რომელმაც 1332

---

[1] კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, 74; Какабадзе С. С., Хроника ксанских ериставов начала XV века. *Письменные памятники Востока. Ежегодник,* 1968, Москва, 1970, 106.

[2] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 75, №69; 81-82, №26; 91, №126; 93, №149; 102, №258; 104, №280; 105, №284.

[3] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 75, №63.

წელს მოილოცა იერუსალიმი, აღნიშნავს, რომ ქართველები ფლობდნენ ჯვრის ეკლესიას გოლგოთაზე, მაგრამ არაფერ ამბობს მათ ყოფნაზე წმ. ჯვრის მონასტერში[1].

დამოწმებანი:

ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967.

გოჩოლეიშვილი დ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს. 70-ანი წლები), „მაცნე“, ისტორიის სერია, თბილისი, 1975, №4

გოჩოლეიშვილი დ., XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988.

დავიდი ი., ნაწერები, I, თელ-ავივი – იერუშალაიმი, 1976.

ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, I, თბილისი, 1963.

კაკაბაძე ს., რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966.

კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, 1989.

მამისთვალისვილი ე., მეჩეთი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ნოდარ შენგელია 75, თბილისი, 2008.

მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962.

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961.

[1] Grotefend C. L., Die Edeiherren von Boldensele. *Zeitschrift des Historischen Vereines für Niedersachsen*, Jg. 1852, Hannover, 1855, 265.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979.

სილაგაძე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბილისი, 1968.

ქართლის ცხოვრება, II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.

ღუნაშვილი ვლ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (1213 წლიდამ 1700 წლამდე), ტფილისი, 1897.

ძეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, სვინაქსარული რედაქციები. ტექსტი გამოსცა ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982.

ჯაფარიძე გ., სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკანელთა სამეურვეოს არქივიდან. „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 9, თბილისი, 2002.

ჯაფარიძე გ., მუსლიმთა “ტყვეობიდან” იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების თარიღისათვის. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. 25-26 იანვარი, თბილისი, 2005.

ჯაფარიძე გ., XIV ს. იერუსალიმის წმინდა ჯვარის მონასტრის ისტორიის ორი არაბული დოკუმენტი, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი, 2008.

Какабадзе С. С., Хроника ксанских эриставов начала XV века. Письменные памятники Востока. Ежегодник, 1968, Москва, 1970.

Цагарели А. А., Памиатники грузинской старины в св. Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, Санкт-Петербург, 1888.

Grotefend C. L., Die Edeiherren von Boldensele. Zeitschrift des Historischen Vereines für Niedersachsen, Jg. 1852, Hannover, 1855.

Müller and J. Pahlitzsch, „Sultan Baybars I and the Georgians—In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem“, Arabica 51, 2004.

Pahlitzsch J., „Mediators Between East and West: „*Christians under Mamluk Rule*“, Mamluk Studies Review 9/2, 2005.

Pahlitzsch J., Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem. The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomatics in the Eastern Mediterranean 1000-1500. Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval Mediterranean 74), ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008.

The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre. ინტერნეტრესურსი: http://www.christusrex.org/www2/-liberation/III-3.html.

***Eldar Mamistvalishvili***
*Gori State Teaching University, Professor*

# AMBASSADOR PIPA OF KVENIPNEVI AND HIS MISSION TO SAVE THE GEORGIAN HOLY PLACES IN JERUSALEM

RESUMÉ

In the 60-70s of the XIII century Sultan of Egypt seized the Georgian monastery of the Holy Cross in Jerusalem and established a mosque in its place. Since then, the Georgian authorities began long diplomatic activities with the purpose of liberation of the Monastery.

The paper focuses mainly on successful competition of this process by the King George V. in 1318, Pipa of Kvenipnevi was sent to Egypt as an ambassador who successfullt coped with the challenging task and managed to make John (Ioane) Bandadze to be appointed as an abbot of the monastery.

It can be said that the monastery of the Holy Cross of Jerusalem was finally liberated from “captivity”.

***Ия Мельникова***
*Православный Свято-Тихоновский гуманитарный университет (Москва), к.т.н.*

**Служение епископа Кириона (Садзаглишвили) будущего Католикоса всея Грузии на Горийской кафедре (1900-1902 гг)**

(Тезисы к докладу)

Полного достоверного жизнеописания свщмч. Кириона (Садзаглишвили) – первого Католикоса - Патриарха всея Грузии после восстановления своей автокефалии не существует. В грузинской и российской историографии изложены лишь фрагментарно отдельные этапы его служения, не всегда вписанные в исторический контекст.

Но рассматривая церковную ситуацию в Грузии (Грузинском Экзархате), во время служения там свщмч. Кириона нельзя ее отрывать из общего контекста событий Российской Империи и всей Русской Православной Церкви, как это было сделано в начале XX века в период подготовки церковных реформ. Это привело к обличению деятельности почти всех Экзархов, прозвучавших в самых разнообразных упреках в докладе Имеретинского епископа Леонида на заседаниях II отдела Предсоборного Присутствия в 1906 г.[1] .

Эти события привели к созданию устойчивых стереотипов в российской и грузинской церковной общественности: первый из них основывался на том, что Грузия в конце XVIII ( накануне присоединения к России ) была на гране уничтожения, а Грузинская Церковь – в состоянии церковного упадка накануне присоединения к России, второй основывался на том, что все 19

[1] Отдела по делам устройства церковной жизни на Кавказе, а по сути –Грузинской Церкви, которая, воспользовавшись объявлением всяких свобод Высочайшими Манифестами 17 апреля и 17 октября 1905 г начала последовательно требовать восстановления былой древней автокефалии, которой она пользовалась до 1811 г (времени учреждения Грузинского Экзархата)

Экзархов (за очень редким исключением) были крайне антогонистически настроены к любым проявлением национальных грузинских традиций, в т. ч. и грузинского языка. Эти стереотипы живы и сегодня и в российской и в грузинской историографии.

Привлечение обширного фактологического материала самого разнообразного характера, в том числе и сведения из жизнеописания свщмч. Кириона (Садзаглишвили), свидетеля и участника церковной жизни Экзархата, поможет адекватно оценить совместную жизнь грузинского и русского духовенства в этот период, позволит в некоторой степени пересмотреть эти устоявшиеся стереотипы[1].

Указанное сообщение будет касаться в основном сведений о служении епископа Кириона на Горийской кафедре (1900–1902), полученных при изучении материалов российских архивов и русскоязычных публикаций, что позволит внести некоторый вклад в его целостное жизнеописание, которого на сегодняшний день не существует.

В российской историографии в основном присутствует негативный оттенок в характеристике Католикоса Кириона, епископское служение которого в основном проходило в самых разных российских епархиях на протяжении 15 лет. Их источником являются сведения Департамента полиции Российской империи, материалы которого отложились в фонде 102 Государственного архива Российской Федерации. Это свидетельствует о том, что на протяжении всего этого времени епископ Кирион постоянно находился под бдительным надзором полиции. В связи с этим для адекватной оценки его деятельности целесообразно воспользоваться самыми разными источниками и материалами, описывающими все этапы его служения на духовном поприще, начавшемся в Грузии.

Начало духовного пути католикоса Кириона было положено 2 ноября 1896 г.: «В субботу 2-го сего ноября в домовой церкви Его Высокопреосвященства Экзарха Грузии за

---

[1] Это не означает, что таких отдельных случаев и личностей не было, но они не могут перечеркнуть и того положительного что взаимно обогатило российскую и грузинскую церковную историю

всенощным бдением (по прочтении шестопсалмия) состоялось пострижение в монашество учителя Тифлисского духовного училища, статского советника Георгия Иеронимовича Садзагелова. Обряд пострижения изволил совершить Его Высокопреосвященство Высокопреосвященнейший Владимир, Экзарх Грузии… Новопостриженному иноку дано имя Кирион»

Принял монашеский сан будущий католикос Кирион в возрасте 42 лет, после трагической гибели в 1896 г. жены и единственного сына.

Деятельность свщмч. Кириона (Садзаглишвили) была связана с Горийской епархией задолго до назначения его Горийским епископом: с 1895 г – он был помощником смотрителя в Горийском духовном училище, состоял членом комиссии по улучшению библиотеки этого же училища.

Много сил отдал изысканию средств на возобновление древних памятников церковной старины – Земо-Никозского Вознесенского собора и Михаила Архангельской церкви Горийского уезда.

Итак, начал свое служение Католикос Кирион в бытность экзаршества Высокопреосвященного Владимира (Богоявленского). Почти сразу после пострижения о. Кирион назначается приказом за № 3697 от 27 ноября – 6 декабря 1896 г. настоятелем Кватахевского Успенского монастыря Горийской епархии, с возведением в сан игумена.

С 1897 г. входил в состав Комитета при Тифлисском древнехранилище.

Сопровождал экзархов Владимира (Богоявленского) (священмч+1918) и Флавиана (Городецкого) во время ознакомительных инспекторских поездок по Карталинии, посещая при этом Горийскую епархию: в 1897, 1898, 1901 гг.

После перемещения Высокопреосвященного Владимира из экзархата на Московскую митрополию, игумен Кирион плодотворно сотрудничал с вновь назначенным экзархом Флавианом Городецким.

В мае 1898 г. определением Свят. Синода за № 1231 от 3–9 апреля 1898 г. настоятель Кватахевского монастыря игумен Кирион возводится в сан архимандрита

Экзарх Флавиан, как и его предшественник Высокопреосвященный Владимир, активно включается в церковную жизнь Грузинского экзархата, часто посещает епархии. Так, в 1898 г. экзарх Флавиан посещает Горийскую епархию. По приглашению архимандрита Кириона 9 августа он принял участие в освящении храма в селе Метехи Горийского уезда, который в минувшем году посещал его предшественник Высокопреосвященнейший Владимир. «Торжество освящения храма было совершено, как и работы по его восстановлению на средства членов комитета. Владыка Флавиан торжественно освятил отреставрированный храм. Литургия была совершена на грузинском языке при трех хорах певчих: экзаршем и двух грузинских, настоятелем церкви о. Квижинадзе. Возгласы на грузинском языке подавал ректор Тифлисской семинарии архим. Серафим».

Это сообщение, как и нижеприведенные, позволяют критически отнестись к частым упрекам, звучащим в грузинской историографии о запрете совершать богослужения в бытность существования Грузинского экзархата на грузинском языке. Отдельные факты, вероятнее всего, имели место, но общепринятой практикой все же они являлись.

Высочайшим повелением от 6 июня 1898 г. было объявлено о новом перемещении: Алавердский епископ Виссарион (кн. Дадиани) направлялся на Имеретинскую кафедру. Высочайшим повелением от 27 июня 1898 г. было принято решение о бытии настоятелю Квабтахевского Успенского монастыря Грузинской епархии (архим. Кириону. – *И. М.*) епископом Алавердским, вторым викарием Грузинской епархии с последующим наречением и посвящением в епископский сан в Тбилиси.

22 августа в 12 часов дня в экзарших покоях состоялся чин наречения во епископа настоятеля Кватахевского монастыря архимандрита Кириона. Чин наречения совершал Высокопреосвященный Флавиан, экзарх Грузии при участии епископов: Гурийско-Мингрельского Александра (Окропиридзе), Имеретинского Виссариона и первого викария Грузинской епархии преосвященного Леонида (Окропиридзе). Стечение публики было огромное.

Викарные епископы Горийский Леонид (Окропиридзе) и Алавердский Кирион (Садзаглишвили) часто принимали участие в богослужениях экзарха Грузии.

Высочайшим постановлением от 12 августа 1900 г. Алавердский епископ Кирион перемещается на Горийскую кафедру и становится первым викарием Грузинской епархии, после перемещения с нее на Имеретинскую кафедру Горийского епископа Леонида (Окропиридзе). Возглавлял Горийскую епархию преосвященный Кирион до 1902 г.

Во время своего епископского служения преосвященный Кирион поддерживал инициативу грузинской паствы о возобновлении церковных служб, посвященных защите православия на многострадальной своей Родине, в чем находил поддержку экзарха Флавиана. «1 мая, в субботу Фоминой недели, в Сионском кафедральном соборе было совершено Преосвященным Леонидом, епископом Горийским, и Кирионом, епископом Алавердским, торжественное богослужение и панихида в воспоминание заслуг, оказанных этому собору известным героем Гиви Амилохвари (1757 г.) защитником православия, благодаря энергическому заступничеству которого Сионский кафедральный собор не был обращен в мечеть». Было решено отмечать это событие ежегодно в связи с ходатайством о восстановлении этого праздника одного из наследников Гиви Амилохвари.

Епископ Кирион ясно отдавал себе отчет в том, что необходимо проводить исследования по истории Грузинской Церкви на академическом уровне, а осуществить это в то время в Грузии было невозможно. По постановлению комитета церковного музея Грузинской епархии как его председатель 15 марта 1900 г он обращается с ходатайством в Св. Синод об открытии в Петербургской Духовной Академии кафедры истории Грузинской Церкви, позднее его соображения были изложены в публикации «Назревший вопрос». Была создана специальная комиссия по обсуждению этого вопроса, которая по рассмотрении всех мнений приняла решение об открытии в СПбДА кафедры восточных Церквей, где предусматривалось изучение и истории Грузинской Церкви. Большую помощь в принятии положительного решения по этому вопросу внес

заслуженный орд. профессор Н.В. Покровский. Кафедра Греко-Восточной Церкви, в круг предметов которой как одна из основных частей вошла история грузинской церкви в Петербургской ДА была открыта в 1904 г.

После перемещения с Горийской кафедры и назначения епископом Балтским в 1902 г. епископ Кирион пишет своему близкому другу священнику Иосифу Чиджавадзе: « В жизни человека три замечательные события: рождение, жизнь и смерть. За первым неожиданно следует обе, ни одна живая душа не может избежать этого закона. Как человек не имеет права проклинать свой день рождения, так он не должен обижаться и на судьбу данную ему жизнью …Много несправедливости видел, но ни к кому не обращался за сочувствием, никогда не мстил врагам, хотя мог и обстоятельства были на руку. Пусть же временно победят коварство, двуличие и доносы, придет время, несправедливость зачахнет, исчезнет с земли нашей и восторжествует истина. Надо лишь иметь терпение, - хотя само собой дело не будет двигаться. Када с неба не падает. Всевышний сказал: «Ищите и обрящете». Поиск - это труд долгий и самоотверженный».

Строки этого письма в полной мере отражают все перепитии служения епископа Кириона.

Разностороннее служение свщмч. Кириона, впоследствии Католикоса всея Грузии принесло богатые плоды. Так его научная деятельность позволила продолжить развитие научного направления «картвелология», оформившегося в университетской среде в 50-е годы XIX в и способствовала ее перенесению в систему духовных учебных заведений в начале XX в. Традиции этого научного направления были прерваны в связи с трагическими перепитиями в истории Грузии и России.

В настоящее время в ПСТГУ ведутся работы по возрождению научного направления «картвелология»; расширение круга грузинских ученых и церковных историков, которые смогли бы внести свой посильный вклад в это общее дело, будет способствовать дальнейшему развитию этого научного направления.

*გიორგი სოსიაშვილი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

## მართლმადიდებელი ეკლესია შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში

1921 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული საზოგადოება უაღრესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანას საშინელი რეპრესიები დაატყდა. ქართული ეკლესია, რომელიც დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში[1], კიდევ უფრო გაუსაძლის პირობებში მოექცა. ხელისუფლებამ იერიში მიიტანა არამარტო მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებზეც[2]. XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებმა საქართველოში ათასზე მეტი ეკლესია დახურეს. ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში მოქმედი იყო 1350 ეკლესია, სადაც მოღვაწეობდა 1700 მღვდელი, 1527 ბერი, 280 მონაზონი. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულამდე შემცირდა[3]. საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 15 აპრილს მიიღო №22 დეკრეტი,

---

[1] პავლიაშვილი ქ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბილისი, 2000, 160.

[2] სოსიაშვილი გ., კათოლიკური ეკლესია შიდა ქართლში ბოლშევიკური რეპრესიების პერიოდში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით), აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 2012, 80.

[3] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009, 1115.

რომლის მე-14, მე-15 მუხლებში აღნიშნული იყო: „არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ აქვს უფლება, იქონიოს საკუთრება. მათ არ აქვთ იურიდიული პიროვნების უფლება, საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“[1]. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ბოლშევიკებმა ეკლესია ყოველგვარი უფლების გარეშე დატოვეს, ხოლო რელიგიურ საზოგადოებებს კი იურიდიული სტატუსის მოპოვების პერსპექტივა მოუსპეს. ბოლშევიკებმა მართლმადიდებლური ეკლესიების ძარცვის დაიწყეს. ამ პროცესმა მთელი ქვეყანა მოიცვა. თუ როგორი განწყობა არსებობდა ეკლესიის მიმართ იმჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან, ამის შესახებ ძალზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის სიტყვები, რომელიც მან 1921 წლის 14 სექტემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში აღსაყდრების დროს წარმოსთქვა: „მამამთავრობის ტვირთის სიმძიმე? მაგრამ ვინ ჩვენგანმა არ უნდა იცოდეს სიმძიმე და სიძნელე მოვალეობის ასრულებისა. მეტადრე ამ აუტანელ დროს, როდესაც სათავეში მყოფნი სიძულვილითა და მტრულად უყურებენ ეკლესიას, როდესაც ურწმუნოება გარეგნულად მაინც გამეფებულა და სირცხვილათ მიაჩნიათ თავის სარწმუნოების გამოაშკარავება“[2]. პატრიარქის მიერ აღსაყდრებისას გამოთქმული საწუხარი შემთხვევითი არ იყო. ბოლშევიკებმა ეკლესიების დახურვასთან ერთად სასულიერო პირების დევნა დაიწყეს. 1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ გენუის კონფერენციას მიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. კონფერენციაზე გაგზავნილ

[1] ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), თბილისი, 2009, 71.

[2] ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), 75.

მიმართვაში პატრიარქი ცივილიზებულ სამყაროს იმ საშინელ ვითარებას აცნობდა, რაც საქართველოში შექმნეს ბოლშევიკებმა. წერილში საუბარი იყო ქართული საზოგადოების და მართლმადიდებლური ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობაზე[1]. კათალიკოს-პატრიარქმა არც გენუის კონფერენციის შემდეგ შეწყვიტა ბოლშევიკების მხილება. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ მცირე ხანში უწმინდესი დააპატიმრა. პატრიარქთან ერთად მძიმე რეპრესიები დაატყდათ სხვა სასულიერო პირებსაც. კათალიკოს-პატრიარქს 1923 წლის 29 ივლისს ინგლისის მუშათა კომიტეტის „ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან" გენერალური მდივანი კოუტსი შეხვდა. უცხოელი სტუმარი საბჭოთა რუსეთში სამოგზაუროდ იყო ჩამოსული. იგი დასავლეთში საბჭოეთის პროპაგანდას ეწეოდა. კათალიკოს–პატრიარქი კოუტსთან საუბარში ღიად ამბობდა: „მაგრამ მე ჩემი მდგომარეობა იმდენად საყურადღებოდ არ მიმაჩნია, როგორც მორწმუნე ერისა, ეკლესიისა და საზოგადოდ სამღვდელოებისა, როგორც ის გარემოება, რომ ჩემი გულისთვის ეს შვიდი თვეა ციხეში იტანჯებიან უდანაშაულოდ საკათ[ალიკოზო] საბჭოს წევრნი და სხვა მოსამსახურენი და ცენტრალური მართვა-გამგეობის აპარატი დაშლილია. ეს მტანჯავს და მოსვენებას არ მაძლევს"[2]. პატრიარქის აღნიშნული ინტერვიუ სრულიად ნათელ სურათს ხატავს საქართველოში არსებული ტერორის შესახებ, რასაც საბჭოთა რუსეთი ახორციელებდა მორწმუნეთა მიმართ. ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ ისტერიული სახე მიიღო. ბოლშევიკებმა ე.წ. „უღმერთოთა კავშირის" ჩამოყა-

[1] ქართული დიპლომატიის ისტორია, (ქრესტომათია), თბილისი, 2004, 547-550.

[2] შიოლაშვილი ნ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის უცნობი ხელნაწერი – საუბარი ინგლისის მუშათა ორგანიზაციის წევრ კოუტსთან, კრებ. „პოეტური სულის მეცნიერი" (გიორგი ნადირაძე – 80), თბილისი, 2012, 289-290.

ლიბებით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და სასულიერო პირებს. სამაზრო ხელმძღვანელობა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რევკომები ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ეწეოდნენ ეკლესიის დისკრედიტაციას, იტაცებდნენ საეკლესიო ბეჭდებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა სამაზრო რევკომებს. დოკუმენტში აღნიშნულია:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ატყობინებენ, რომ ზოგიერთი სამაზრო და მისი ქვემდებარე რევკომები შედგომიან საეკლესიო ბეჭდების ჩამორთმევას, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია სრულად გამოყოფილია სახელმწიფოდან შინაურ საქმეებში, თანახმად მთავრობის დადგენილებისა რევკომები არ უნდა ერეოდნენ, თუ სამღვდელოების საქმიანობას ბოროტ–მოქმედების ხასიათი არ ექნება. გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ გასცეთ სასწრაფო ბრძანება, რათა ჩამორთმეული ბეჭდები დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ კუთვნილებისამებრ, და შემდეგში ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს.

სახალხო კომისარი ნ. სოკოლოვსკი

საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი

დედანთან სწორია საქ. მწარმოებელი – ე. ბალანჩივაძე“[1].

1922 წლის 5 იანვარით არის დათარიღებული წერილი, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან დაეგზავნა ცირკულარის სახით ყველა მაზრის რევკომს. წერილში საუბარია ადგილობრივი სათემო რევკომების მიერ

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბილისი, 2013, 451.

სასულიერო პირების დევნასა და შევიწროებაზე. ცენტრალური ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა რევკომებს, რათა თავი შეეკავებინათ მსგავსი ქმედებებისაგან. წერილში ვკითხულობთ:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოდის ცნობები, რომ ზოგიერთ მაზრებში, ადგილობრივი სარაიონო სათემო რევკომები და მათი წარმომადგენლები, ხშირად ერევიან ეკლესიის საქმეებში, არ ერიდებიან სამღვდელოების შეურაცხყოფას იმ დროსაც კი, როდესაც ისინი ასრულებენ მორწმუნეთათვის ღვთის მსახურებას.

ვინაიდან რევკომებისა და მათი წარმომადგენლების ასეთი მოქმედება არღვევს წესიერებას და საერთოდ სცემს მთავრობის პრესტიჟს (თანახმათ საქართველოს რევკომის ბრძანებისა), წინადადებას ვაძლევთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ადგილობრივი რევკომები არ ერეოდნენ ეკლესიის საქმეებში და, საერთოდ სამღვდელოების განკარგულებაში უკეთუ მას ბოროტმოქმედების ხასიათი არ ექნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი დაისჯებიან.

სახალხო კომისარი ნ. სოკოლოვსკი

საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი

დედანთან სწორია

საქმის მწარმოებელი ე. ბალანჩივაძე“[1].

ანტირელიგიური პოლიტიკა მძიმედ დაატყდა შიდა ქართლს. თუ როგორ დავალებებს აძლევდა გორის მაზრის ხელმძღვანელობა მაზრაში შემავალი თემების რევკომებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ 1923 წლის 29 მაისით დათარიღებული წერილით. ეს არის ს.ს.ს.რ. შინდისის რაიონის რევკომის წერილი გორის მაზრის აღმასკომისადმი. წერილში ვკითხულობთ: „გორის მაზრის აღმასკომს, თანახმად თქვენი

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 452.

ცირკულარული მოწერილობის ამა წლის 22 მაისის თარიღით და №3/39 მოგახსენებთ, რომ მთელ თემში გაიკრიჭა თავისი ნებით სამი მღვდელი, ექვსმა დასტოვა თავიანთი თანამდებობა თანახმად მათი განცხადებისა, ყველა სოფლის ეკლესიები დაკეტილია და არავითარი წირვა-ლოცვა არა სრულდება მათში. ხდება გასვენება, მონათვლა და ქორწინება უპარტიოთა შორის უმღვდელო. არავითარ სარწმუნოებრივ გამოსვლებს თემში ადგილი არ ჰქონია. არავითარი წირვა-ლოცვა არ ხდება არც კერძო სახლებში და არც ეკლესიებში. თავმჯდომარე მეგრელიძე; მდივანი ლ. კაპანაძე“[1]. მაზრის სოფლებიდან აღმასრულებელ კომიტეტში იგზავნებოდა საიდუმლო წერილები სასულიერო პირების მოღვაწეობის შესახებ. ამ წერილებს შემდეგ ცენტრალურ ხელისუფლებაში გზავნიდნენ. ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის წერილის მაგალითზე. წერილი, რომელსაც აქვს გრიფი „საიდუმლო“, გაგზავნილია პოლიტბიუროში, დოკუმენტში ვკითხულობთ:

„გიგზავნით მიმოწერას ატენის მმაჩის ქვე განყოფილების გამგის ოფიციალურ ცნობას, რომ სოფ. ბობნევის მღვდელი გიორგი პაპელიშვილი, თვით დიაკვნით ეწევიან წინააღმდეგობას საბჭოთა მთავრობის დეკრეტების ცხოვრებაში გატარებისას, რის გამოც გთხოვთ მიიღოთ ასეთ პიროვნებათა აღსალაგმავად საჭირო ზომები“[2].

ხელისუფლებამ შიდა ქართლში მოღვაწე სასულიერო პირების მიმართ მძიმე წნეხი განახორციელა. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირთა ოჯახებს მიწის ნაკვეთებს არ აძლევდნენ, რაც მათი საარსებო წყაროს გარეშე დატოვებას

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №38, 22.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 62.

ნიშნავდა. ულუკმაპუროდ დარჩენილი მღვდლები იძულებული ხდებოდნენ ეკლესიები მიეტოვებინათ და ანაფორები საკუთარი ხელით გაეხადათ. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი არჩევანის წინაშე დააყენა. სასულიერო პირები მღვდელმსახურებას უნდა ჩამოშორებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მიწის გარეშე დარჩებოდნენ. სასულიერო პირთა მდგომარეობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გორის მაზრაში შემავალ შინდისის თემში მოღვაწე მღვდლების მაგალითზე. მოქმედმა სასულიერო პირებმა საკუთარი „ნებით" დატოვეს მღვდლობა და სასულიერო მოღვაწეობაზე უარი განაცხადეს. იმისათვის, რომ მათი ნაბიჯი უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, ზოგიერთ მღვდელი საკუთარ მოღვაწეობას მკვეთრ შეფასებას აძლევდა. ამას ადასტურებს სოფ. არაშენდაში მცხოვრები მღვდლის გიორგი ივანეს ძე კოპაძის განცხადება. მან სოფ. არაშენდას მიწის კომიტეტს ასეთი ტექსტით მიმართა:

„სოფელ არაშენდაში მაქვს სახნავი მამულები. მიწის კომიტეტებმა გამომიცხადეს, რომ მთავრობიდან არის გამოცემული დეკრეტი, რომ მღვდლებს მამული არ ეძლევათ, რისთვისაც გამომიცხადეს, თუ სამსახურს თავს არ დაანებებ, მამულს არ მოგცემთო, რის გამოც ამა წლის 1 რიცხვებში თებერვლისა გავიხადე ანაფორა, გავკოვხტავდი და სამუდამოთ მივაფურთხე მატყუარა მღვდლობას

ყოფილი მღ. გიორ[გ]ი კოპაძე"[1].

სასულიერო მოღვაწეობა მიატოვეს შინდისის თემში მოღვაწე სხვა მღვდელ–დიაკვნებმაც. ამის შესახებ შინდისის თემის აღმასკომმა საგანგებო წესით აცნობა გორის მაზრის აღმასკომს:

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 457.

„ამასთან ერთად იგზავნება თქვენთან შინდისის თემში დაკრეჭილს და სამსახურ დანებებულ მღვდელ–დიაკვნებისა, მღვდლის ტარიელ კოპაძისა, ღალაკტიონ კვინიკაძის, დავით სამსონიშვილის, გაბრიელ სიმონიშვილის, ილია კვინიკაძის, ვასილ ბასიშვილის, სერგო კვინიკაძის, სიმონ კვინიკაძის, გიორგი კვინიკაძის, სერგო კვინიკაძის (სერგო კვინიკაძე ორჯერ მარის დოკუმენტში მოხსენიებული – გ.ს.), ნიკა ხუციშვილის, იოსებ კვინიკაძის, ზაქარია საძაგლიშვილის, იოანე კაპანაძის, დავით კაპანაძის და იოსებ კაპანაძის, განცხადებანი და ხელწერილები ............. (არ იკითხება ერთი სიტყვა. სავარაუდოდ, უნდა ეწეროს „თქვენს"– გ.ს.) განკარგულებაში.

დამატებით იგზავნება განცხადება მღვდლის იოსებ ბესაშვილის.

სულ 17 ცალი

შინდისის აღმასკომის თავმჯდომარე მეგრელაძე

მდივანი ლ. კაპანაძე"[1].

სასულიერო პირების მდგომარეობის შემაძრწუნებელ მდგომარეობას გადმოგვცემს ცხინვალის დეკანოზის იოანე ანტონის ძე კაპანაძის ხელწერილი: „1923 წელსა მარტის 10 დღესა, მე, ცხინვალის დეკანოზი იოანე ანტონისძე კაპანაძე ვაძლევ სოფელ ქვემო-ნიქოზის მიწის კომიტეტს ამ ხელწერილს მასზედა, რომ თუ უკეთუ არ მომეთხოვება ანაფორის გახდა ან გაკრეჭა, რაც ჩემი სიკვდილის თანაბარია, როგორც მოხუცებული დეკანოზისათვის, დამინებებია თავი მღვდლის თანამდებობისათვის, აღარ დაუბრუნდე მას, დავბინავდი ჩემს მამულში და ვკმაყოფილდები ჩემი მამულით, რაცა მაქვს დღეს და არც ვითხოვ ნორმის შევსებას, რაზედაც თანახმა ვარ და ხელს ვაწერ. ცხინვალის დეკანოზი იოანე

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 456.

კაპანაძე“.[1] გორის არქივში დაცული მასალების მიხედვით ნათელი ხდება, რომ სამაზრო აღმასკომმა 1923 წელს გააფთრებული ბრძოლა წარმართა ეკლესიების დახურვის და სასულიერო პირთა დისკრედიტაციის მიზნით. ერთ-ერთ ცირკულარში, რომელიც მაზრაში შემავალ თემებს დაეგზავნათ ვკითხულობთ:

„ცირკულიარულად

საიდუმლოდ ფრ. სასწრაფო

ყველა თემის აღმასკომის თავმჯდომარეებს

სამაზრო აღმასკომი გავალებთ ფრიად საჩქაროთ მოაწოდოთ ცნობები ქვემო აღნიშნულ კითხვების მიხედვით.

1. რამდენი ეკლესიია მაზრაში (სინაგოგები, მეჩეთები), მათში

ა) სოფლად

ბ) ქალაქებში

გ) რამდენში ხდება წირვა-ლოცვა

დ) რამდენში არა

2. რამდენი ეკლესიაა დაკეტილი მცხოვრებლების მიერ, მათში

ა) სოფლად

ბ) ქალაქებში

გ) რამდენში ხდებოდა წირვა-ლოცვა

დ) რომელშიაც არ ხდებოდა

3. რამდენი ეკლესია დარჩა დაუხურავი

ა) სოფლად

ბ) ქალაქებში

4. რამდენი მონასტერია

5. რამდენია დაკეტილი მათში

ა) მამაკაცების

ბ) ქალების

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №38, 39.

6. რამდენმა ეკლესიის მსახურმა (მღვდელმა, დიაკვნებმა) დაანებეს ეკლესიას თავი
7. რამდენმა გაიკრიჭა თავის სურვილით.
8. რამდენი იქმნა გაკრეჭილი ძალით.
9. რამდენი მღვდელია მაზრაში, რომელნიც აშკარად გამოდიან პროპაგანდით სარწმუნოების წინააღმდეგ.
10. რამდენი ეკლესიაა ფაქტიურად გადაკეთებული კლუბებათ, ბიბლიოთეკებათ ან სხვა კულტურულ დაწესებულებად.
11. რამდენი იყო შემთხვევა სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ.
12. ხდება თუ არა წირვა-ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ.
13. ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად.
22 მაისი 1923 წ. №3139
შინა მმართველობის განყ.
გამგე (ცხოვრებაშვილი)
მდივანი (მალიევი)“[1].

1923 წლის 23 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული დადგენილებაში აღნიშნული იყო: „1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება გადადიოდა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში. 2. ამ ქონებიდან ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებაში. 3. დანარჩენი საეკლესიო განძეულობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გლეხების საჭიროებისათ-

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 216.

ვის“[1]. საეკლესიო საქმეთა კომისიის 1923 წლის 3 ნოემბრის ბრის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ხელისუფლება საეკლესიო ნივთების გამოყენების ნებართვას იძლეოდა მხოლოდ კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობისათვის, ასევე სამეურნეო საჭიროებისათვის, თუ ნივთების რეალიზაცია გლეხებს მოხმარდებოდა[2]. როგორც აღვნიშნეთ, ხელისუფლება ძალადობას იჩენდა სასულიერო პირთა მიმართ. ასეთი დამოკიდებულება მომდევნო წლებში თითქოს შეიცვალა, თუმცა ბოლშევიკების ზეგავლენა სასულიერო წრეებზე კვლავ თვალშისაცემი იყო. საპატრიარქო თითოეული ეპისკოპოსის ერთი ეპარქიიდან მეორეში გადაყვანის საკითხს ადგილობრივ ხელისუფლებას უთანხმებდა. ამას ასახავს გორის არქივში დაცული წერილი, რომელსაც ხელს აწერს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი): „გორის რაიაღმასკომს, ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი სიმეონი განთავისუფლებულია ურბნისის ეპარქიიდან ქუთაის-გენათის ეპარქიაში გადაყვანის გამო, ხოლო ურბნის-მაწყვერის ეპარქიის მართვა დროებით მინდობილი აქვს ეპისკოპოზ ეფრემს. აღნიშნულს ვაცნობებ გორის რაიაღმასკომს“. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) 1930 წ.“[3].

ანტირელიგიური ბრძოლა განადგურებით ემუქრებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრებს. ბოლშევიკებმა აღწერეს ეკლესიები და მათი ქონება. ხელისუფლებამ აღწერა ჩაატარა შიდა ქართლშიც. საეკლესიო ნივთების ჩამონათვალი გორის მაზრაში

[1] ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), 105.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 227.

[3] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №4, აღწერა №1, საქმე №10, 105.

შემავალი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დაეგზავნა გორის სამაზრო შინა მმართველობას. სტანდარტული სახის წერილებში მითითებულია „სია ეკლესიების ქონებისა, რომელსაც აქვს ნივთიერი ღირებულება, ან ისტორიული მნიშვნელობა“. საეკლესიო ნივთების ჩამონათვალშია: ჯვრები, ხატები, საეკლესიო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა. წერილებს თან ახლავს შენიშვნის გრაფა. თუ საეკლესიო ნივთი ისტორიული მნიშვნელობისა იქნებოდა, ამის შესახებ სწორედ შენიშვნის გრაფაში უნდა ჩაეწერათ. საეკლესიო ქონებათა სიების უმეტესობა გორის სმაზრო შინამმართველობის მისამართით დაგზავნილია 1923 წლის აგვისტოსა და სექტემბერში[1].

გორის მაზრაში შემავალ ახალქალაქის თემში ხელისუფლებას იქ არსებულ ტაძრებში დაცული ისტორიული ღირებულების მქონე ნივთების გამო განსაკუთრებული აღწერა ჩაუტარებია. დოკუმენტში ვკითხულობთ:

„განსაკუთრებული აღწერა ახალქალაქის თემის ძველ ეკლესიებისა, რომელნიც შეიცავენ რაიმე საისტორიო საინტერესო სიძველეებს ანუ ძველ ხელოვნების ძეგლებს მხატვრულ თვალსაზრისით, რომელნიც მიეწერებიან I კატეგორიას.

1) ნოსტის „სამების“ ძველი ეკლესია, შეიცავს: არშინ ნახევრიან ძველ ჯვარს ყვითელ მეტალგადაკრული წარწერებით (ძალიან ძველი).

2) იქვე მეორე ჯვარია ძველი, ზომით დაახლოებით 1–არშინი 27 ფერად თვალებით მოჭედილი. 1 და 2 ჯვარი დიდ სიძველეს წარმოდგენენ და იმყოფებიან მიყრუებულ სოფელ ნოსტეში, სადაც ნესტისაგან გუჭდებიან და ლპებიან. საჭიროა ეცნობოთ ეს ორი ჯვარი მოთავსებულ იქნენ მუზეუმში.

წმ. ესტატეს ეკლესია სოფ. ერთაწმინდაში შეიცავს

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 89-146.

ვერცხლის ძველ ნივთებს, რომელნიც მიეწერებიან აგრეთვე I კატეგორიას სულ მთლად მაგალითად: მეფე ირაკლისაგან შეწირული სახარება ვერცხლისა და დარეჯან დედოფლისაგან, თვლიანი ჯვარი და სხვა იხილეთ საერთო დაწვრილებითი აღწერა.

სოფ. ხოვლეს კვართის ეკლესია.

2 ვერცხლის წმინდა გიორგის კვართისა და (არ იკითხება) საინტერესო პატარა ვერცხლის ძველი ხატები და ძალიან წვრილმანი ნამუშევარი ბზის ჯვარი ,,რეზბა" ზედ ამოჭრილი სხვადასხვა სურათებით, აქვე არის რკინის ხვთისმშობელი და ნათლისმცემლის თავისკვეთის ხატი პატარა ორი პატარა ვერცხლის კოლოფით. შიგ წმ. ესტატეს და გიორგის ნაწილებით და აგრეთვე რამოდენიმე ძველი მხატვრობითი ხატები ვერცხლით გადაკრული აგრეთვე უბრალო თვლებით და ქართული ხუცური წარწერებით. დანარჩენ ეკლესიებში მდებარე ნივთები მიეწერებიან II და III კატეგორიას გარდა ორ ხელთნაწერ ძველ სომხურ სახარებისა, რომლებიც წაღებულ იქნა პროფესორის[*] მიერ ამხ. მარუტოვის თანდასწრებით და იმ ორი ხატისა, რომელიც თქვენს განკარგულებით ჩვენს მიერ იქნა ხაზინაში შეტანილი დასაცავად და შესანახად.

თავმჯდომარე: მამასახლისოვი; მდივანი: მეზურნოვი."[1]

ამ დოკუმენტს თანს ერთვის: ,,აღწერა ახალქალაქის თემში მყოფ ეკლესიების ნივთებისა და საგნებისა ეკლესიების აღნიშვნით". ნუსხაში შეტანილია ერთაწმინდის წმ. ესტატეს სახელობის ტაძარში დაცული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები. მათ შორის: ,,სახარება დიდი – აკლია მათეს

---

[*] აღწერის დოკუმენტში მოხსენიებულ პროფესორში უნდა იგულისხმებოდეს ს. ჯანაშია, რადგან ისტორიული ღირებულების მქონე ნივთების მიღება–ჩაბარების აქტს სწორედ ს. ჯანაშია აწერს ხელს.

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 147.

სურათი – ვერცხლის ყდაში ოთხი თვლით მეფე ირაკლის შემოწირული, სახარება მეორე ტანისა ვერცხლით გადაკრული დარეჯან დედოფლისაგან შემოწირული... ჯვარი პატარა (ტრაპეზისა) ვერცხლისა ძამიევის შემოწირული, ჯვარი ხისა ვერცხლით გადაკრული ხუციშვილისაგან შეწირული... ხატი ხვთისმშობლისა კივოტით ვერცხლისა საბა თარხნიშვილისაგან შეწირული, ტაკუკი 1 ც. ვერცხლისა ზაქ. ტუხიშვილისაგან შეწირული, შანდალი ვერცხლისა იოსებ თარხნიშვილისაგან შეწირული, კუბო წმ. ესტატეს კლავისათვის და ნაწილი მკლავისა თვით წმ. ევსტატისა, რომელშიაც ინახებიან პატარა ვერცხლის სანაწილე, პატარა ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა და პატარა ვერცხლგადაკრული წმ. გიორგის ხატი და მესამე კიდევ პაწაწა გიორგის ხატი. შენიშვნის სახით მიწერილი აქვს: მოგვცეს შემდეგი დამატებითი ცნობა: 1907 წელს ივანე კარგარეთელმა წაიღო ძველი ხელთნაწერები და ,,დადიანური ჯაჭვი", რომელსაც ყელზე იგდებდნენ – წაღებულია მუზეუმში. 1910 წ. ექვთიმე თაყაიშვილმა წაიღო მუზეუმში ძველი ხელთნაწერები. 1880 წ. პლატონ იოსელიანმაც წაიღოვო. ქ. თბილისის სახელმწიფო უნივ. მუზეუმის გამგეს ასისტენტს მოსე ჯანაშვილს წაუღია. ისტორიული დარგის სტუდენტს გაბრიელ ჩაჩანიძეს* 1922 წ.".[1]

დოკუმენტის თანახმად ერთაწმინდის წ. ესტატეს სახ. ტაძარში ინახებოდა ვერცხლის ფიცარი წარწერით, რომელიც იყო: ,,შემოწირული დავით ბატონიშვილისაგან, რომელ-

---

* დოკუმენტში გამოტოვილია, თუმცა, ჩვენი აზრით, უნდა ეწეროს ,,წაუღია".

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 149.

საც აკლია ჩასმული თვალი 1797 წ.“[1] ერთაწმინდიდან წაუღიათ დიდი ხელთნაწერი ,,მარხვანი“.[2]

ერთაწმინდის წმ. ესტატეს სახელობის ტაძრის სიძველეთა ნუსხა ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენლებისათვის გადაუცია მღვდელ დავითაშვილს. შენიშვნის სახით დოკუმენტს მიწერილი აქვს, რომ სოფლის მორწმუნე დედაკაცებს ზარი დაურეკავთ, ერთაწმინდის მოსახლეობა ტაძართან შეუკრებავთ და ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ტაძარში შესვლის უფლება არ მიუციათ.[3]

შიდა ქართლის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ერთად ბოლშევიკებმა ქალაქ გორში არსებული რამდენიმე მართლმადიდებელი ტაძრის ქონება აღწერეს. მათ შორის: გორის პედაგოგიური ტეხნიკუმის ყოფილი ეკლესიის[4], ოქონის ეკლესიის[5], სობორის (საკრებულოს ტაძრის)[6], გორის ყოფილ სამების ეკლესიის[7], 1923 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც არის სია“ გორის მაზრის ეკლესიებისა“, მაზრის ტერიტორიაზე აღნუსხულია 93 მართლმადიდებლური ტაძარი[8].* თუ როგორი სახის დავალება

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 150.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 150.

[3] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 150.

[4] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 170-174.

[5] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 92-94.

[6] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 94.

[7] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 95.

[8] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, აღწერა №1, საქმე №26.

ჰქონდათ მიღებული გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისაგან მაზრის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა თემის აღმასრულებელ კომიტეტებს, კარგად ჩანს ქარელის თემიდან გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველოსადმი გაგზავნილ წერილში: „გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველოს, თანახმად თქვენი მოწერილობისა ა. წ. 25/ VI – თარიღით 4351-ით შესახებ ეკლესიებიდან ჩამორთმეული ნივთების ცალ-ცალკე სიების წარმოდგენაზე, მოგახსენებთ, რომ ჩვენ გადმოგზავნილ სიაში არის ნაჩვენები ცალ-ცალკე იმ (სავარაუდოდ უნდა ეწეროს მონასტრების  გ.ს.) სია, რომლებისგანაც ჩამორთმეულია ნივთები. ამასთანავე გიბრუნებთ უკან ჩვენ გადმოგზავნილ სიას რომელიც თქვენ დააბრუნეთ თქვენი მოწერილობით. თავჯმდომარე: ნ. კალანდაძე, მდივანი (არ იკითხება  გ.ს)“[1]. როგორც ამ წერილიდან ჩანს, 1923 წლის 25 ივნისს, გორის მაზრის შინაგან საქმეთა სამმართველომ ცირკულარი დაუგზავნა მაზრაში შემავალი თემების აღმასრულებელ კომიტეტებს და  ეკლესიათა ქონების აღწერა-ჩამორთმევა დაავალა. ხელისუფლებამ  ადგილობრივი თემების აღმასრულებელ კომიტეტებს მისცა დავალება, რათა მათ ადგილზე აღენუსხათ მოქმედი ეკლესიები

---

[*] გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების შესახებ გვაქვს განსხვავებული მონაცემებიც. 1924 წლის 11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის „ცეკა“–სთან არსებული საეკლესიო კომისიის სხდომა, რომელიც ეხებოდა გორის დახურული ეკლესიებიდან წამოღებული ქონების გლეხთა სახლის მშენებლობისათვის მოხმარებას, ასევე გორის, ქარელის და სურამის მორწმუნე ებრაელებისათვის სამლოცველოების დაბრუნებას.

სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის გორის მაზრაში 134 ეკლესია ყოფილა დახურული. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში XX საუკუნის 20–იან წლებში, 480.

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, აღწერა №1, საქმე №29, 61.

და სამაზრო აღმასკომისათვის წარმოედგინათ როგორც ეკ-ლესიების ნუსხა, ისე იქ მოღვაწე სასულიერო პირების მო-ნაცემები (მათ შორის პოლიტიკური მრწამსიც). გორის მაზ-რის ხელმძღვანელობამ ასეთი შინაარსის წერილი დაუგზავნა მაზრაში შემავალ სხვადასხვა თემების აღმასკომებს: ,,გეგზავ-ნებათ ამასთან ერთად ნიმუში რომლისდა თანახმად მიღების-თანავე სამი დღის განმავლობაში, ყოველივე მიზეზ გარეშე, საჭიროა შეადგინოთ სია ეკლესიებისა, რომელშიდაც სწარ-მოობს წირვა-ლოცვა ამჟამად და ვინ მსახურობენ, როგორც ნიმუშში არის აღნიშნული, აგრეთვე საჭიროა იმ ეკლესიები-სა, რომელშიაც არ სწარმოობს, იმ ცნობაში კი საჭიროა აღ-ინიშნოს, თუ ვინ აწარმოებდა აღნიშნულ ეკლესიას. შესრუ-ლებისთანავე, დაუბრკოლებლივ სიები გადმოგზავნეთ. შინა მმართველობის განყ. გამგე ს. ცხოვრებაშვილი, საინფორმა-ციო ქვეგანყ. გამგე შ. კორინთელი“[1].

ეს წერილი გორის მაზრაში შემავალ თემებში 1923 წლის 30 ნოემბერს დაიგზავნა. წერილს აქვს გრიფი: ,,საიდ-უმლოდ, ფრიად საჩქაროდ“. წერილს თან ახლავს სპეციალ-ური ფორმა, რომელშიც შეტანილია შემდეგი სახის ინფორ-მაცია: ეკლესიის დასახელება და მისი მდებარეობა, გვარი, სახელი იმ მღვდლისა, რომელიც ემსახურება აღნიშნულ ეკ-ლესიას, თანამდებობა, რომელი მიმართულებისაა (მაგ. ნაცი-ონალ-დემოკრატი, ეროვნულ დემოკრატი და ა. შ.). შენიშვნა, შენიშვნის გრაფაში ზოგგან მითითებულია, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვა წარმოებს, ზოგგან კი აღნიშნულია, რომ ეკ-ლესია დახურულია, ან მითითებულია, რომ მღვდელი გაკრე-ჭილია[2]. ამ წერილის მიღებისთანავე, გორის მაზრაში შემავა-ლი რაიონების აღმასრულებელი კომიტეტებიდან დაგზავნილ

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №418, 14-16.

[2] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №26.

იქნა წერილები მაზრის აღმასკომის სახელზე. აღნიშნულ წერილებში მითითებულია ის მართლმადიდებელი ეკლესიები, სადაც წირვა–ლოცვა მიმდინარეობდა, აგრეთვე ის ტაძრებიც, რომლებიც უკვე დახურული იყო. ამ წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ახალქალაქის რაიონში 11 ეკლესია მოქმედებდა[1], ქვემო ჭალის რაიონში 4 ეკლესია. დახურული იყო: ლამისყანის, თეზის, ოკამის, სამთავისის, ამაღლების, ქვემო ჭალაში – ამილახვრების ეკლესიები[2]. გორის რაიონში 9 ეკლესია მოქმედებდა: კარალეთის ღვთისმშობლის სახ. ეკლესია, პატარა გარეჯვრის წმ. გიორგის სახ. ეკლესია, ატენის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ორმოცის ღვთისმშობლის სახელობის, რეხის ღვთისმშობლის სახელობის, დიდი გარეჯვრის ღვთისმშობლის სახელობის, თორტიზის ღვთისმშობლის სახელობის, ხელთუბნის ღვთისმშობლის ხარების, სვენეთის ღვთისმშობლის სახელობის, რცხის ღვთისმშობლის სახელობის, ბერბუკის მთავარანგელოზის სახელობის[3]. ხაშურის რაიონში მოქმედებდა 22 მართლმადიდებელი ტაძარი[4], გორის რაიონში არსებული 28 ეკლესიიდან, ამ დროისათვის ყველა დახურული იყო[5]. მეჯვრისხევის თემში 1923 წლის 11 დეკემბრის მონაცემებით 14 ეკლესია იყო მოქმედი, ორ ტაძარში ახალჯვარსა (სოფ. ახალუბანი) და ღვთისმშობლის სახელობის სალოცავში (სოფ. აძვში) წირვა–ლოცვა წელიწადში მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა დღესასწაულის დროს,

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 68-70.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 71.

[3] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 73.

[4] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 76.

[5] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 76-77.

ხოლო 4 ეკლესია დახურული იყო.[1] [*] კავთისხევის რაიონში არსებული 6 ტაძრიდან ყველა დახურული იყო. ბორჯომის რაიონში 10 ტაძარი იყო გაუქმებული[2]. ქარელის რაიონში ამ დროისათვის 7 ეკლესია იყო მოქმედი. რუისის რაიონში 31 მართლმადიდებელი ეკლესი იყო მოქმედი[3]. ცენტრალურმა ხელისუფლებამ სპეციალური კითხვარი დაუგზავნა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მაზრების აღმასკომთა ხელმძღვანელებს. კითხვარი ეხებოდა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ ეკლესიებს, ასევე მოსახლეობის რელიგიურ წეს–ჩვეულებებს. ასეთი კითხვარი შეაფასეს გორის მაზრის აღმასკომშიც. კითხვარს ხელს აწერს საინფორმაციო ქვე–განყოფილების გამგე ირ. ყანჩელი. კითხვარში ვკითხულობთ:

„§§4–5 რომელ რაიონი იმყოფება და რომელ რაიონებში არის დაკეტილი მონასტრები.

1. კავთისხევის თემში 2 მონასტერი.

დაკეტილია მათში ერთი – 1 „–„

ა) მამაკაცებისა ერთი

ბ) ქალების – არ არის აღნიშნული თემიდან მოსული ცნობებში. დაუკეტავია კავთისხევის თემში 1, როგორც ცნობებიდან სჩანს.

2. ატენის თემში – 2 მონასტერი

დაკეტილია მათში – 2 „–„

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 78-79.

[*] ამ ნუსხაში შეტანილია სოფ. უკუღმა სოფლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, თუმცა იმ გრაფაში, სადაც მითითებული უნდა იყოს დახურულია თუ არა ტაძარი, სასულიერო პირზეა აღნიშნული, რომ „გაკრეჭილია“.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 83.

[3] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 88.

ა) მამაკაცების
ბ) ქალების
§§ 10.
რამდენი ეკლესიაა ფაქტიურათ გადაკეთებული კლუბებათ, ბიბლიოთეკებად ან და სხვა კულტურულ დაწესებულებებათ.
1. მეჯვრისხევის თემში – 1
2. ქარელის „–„ – 2
3. ქვემოჭალის „–„ – 1
4. საციხურის „–„ – 2
§ 11.
რამდენი შემთხვევა იყო სარწმუნოებრივი გამოსვლებისა მორწმუნეთა მიერ და რომელ რაიონებში.
1. ახალქალაქის თემში – 1
2. ქ. ხაშურში – 3
§ 12.
ხდება თუ არა წირვა ლოცვა კერძო სახლებში ეკლესიების დაკეტვის შემდეგ და რომელ თემებში.
1. გომის თემში
2. ქარელის „–„
3. ატენის „–„
§ 13.
ხდება თუ არა უპარტიოთა შორის გასვენება, ნათლობა, ქორწინება მღვდელთა დაუსწრებლად და რომელ თემებში.
1. გომის თემში
2. ტყვიავის „–„
3. ახალქალაქის „–„
4. ქარელის „–„
5. სურამის „–„ მასიურად.
6. კავთისხევის „–„
7. ხაშურის „–„
8. შინდისის „–„
9. ხცისის „–„

10. დირბის ,,–,,
11. გორის ,,–,,
საინფორმაციო ქვე–განყ. გამგე: ირ. ყანჩელი“.[1]

ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულმა მოძრაობამ, რომელიც ხელისუფლების დაკვეთით და წაქეზებით მიმდინარეობდა, ისტერიული ხასიათი მიიღო. არაერთი ისტორიული ღირებულების ძეგლი განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. ამიტომ ბოლშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ასეთი ძეგლების დაცვის თვალსაზრისით გარკვეული ზომები მიეღო. 1923 წლის 21 მარტს დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი. კომიტეტის წევრები იყვნენ: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი, იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი. იმისათვის, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ანტირელიგიურ ბრძოლას ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლები არ შეეწირა, კომიტეტმა სპეციალური წარილი დაუგზავნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. წერილში ვკითხულობთ: ,,ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი

“17” აპრილი 1923 წ.

ქ. ტფილისი

ცირკულიარი

,,საიდუმლო“

ყველა სამაზრო აღმასკომს, სამხარეთ ოსეთის ავტონომიურ

ოლქის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და

აფხაზეთის ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოებს

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20–იან წლებში, 449-451.

ს.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსულ ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეს შეეხენ, რომელთაც დიდი სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.

რათა დაცულ იქნას ზემოხსენებული განძები ისტორიისა და კულტურისათვის, თანახმად ს.კ. საბჭოს დადგენილებისა, ა/წ 21 მარტს, დაარსდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი, რომელშიაც შედიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ალ. გეგეჭკორი, განათლების სახალხო კომისარი ლ. კანდელაკი და იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

გაუწყებთ რა ზემოხსენებულს, საგანგებო კომიტეტი წინადადებას გაძლევთ – ეკლესია-მონასტერის გაუქმებისა და ჩამორთმევისას აუცილებლად იხელმძღვანელოთ შემდეგით:

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა სახუროთმოძღვრებო ძეგლი დაყოფილია სამ კატეგორიად:

ა) ძეგლები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში დანგრეულან მაგრამ წარწერებითა, არქიტექტურულ ფორმებით, თუ სხვა რაიმე მაინც დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენ;

ბ) ძეგლები – ძვირფას განძელობითურთ, რომლენიც დღემდე ურყევად დგანან და სადაც წარმოებს ანდა უკანასკნელამდე წარმოებდა ღვდელ-მსახურება;

გ) ძეგლები, რომელნიც თავისთავად არავითარ სახუროთმოძღვრებო ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ დღემდე შემცველი არიან ძვირფას განძეულობათა.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთაგან პირველ ორი კატეგორიის – სათანადოდ აღნუსხული, შენახული და დაცული უნდა იქმნას ისტორიისა და კულტურისათვის და მაშასადამე, არავითარი შეკეთება, გაკეთება ან სხვა რაიმე მიზნისათვის მათი გამოყენება. სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა ადგილობრივ

დაარსებელ საისტორიო მუზეუმების პუნქტები, არ შეიძლება და სასტიკადაც აკრძალულია.

რაიცა შეეხება თვით ძეგლებში დაცულ განძებს, ისიც სამგვარია:

ა) ჭედვით ხელოვნების კოლექციები: ხატები, ჯვრები და სხვ.

ბ) ქსოვით ხელოვნების ნივთები.

გ) სხვადასხვა შინაარსის ძველი ხელნაწერები.

პირველ ორ კატეგორიის განძეულობა ღირებულებით ორ ნაწილად იყოფა:

ა) ისტორიულ-მხატვრულ მნიშვნელობის ძვირფასი ნახელავი, იშვიათის თვლებით, ქვებითა და წარწერებით შემკული.

ბ) განძეულობა, რომელიც მხოლოდ ნივთიერ ღირებულებას წარმოადგენს.

გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში თავდაპირველად საჭირო და აუცილებელია ყველა განძის აღნუსხვა დამოუკიდებლად მათი ამა თუ იმ ღირებულებისა.

აღნუსხვას აწარმოებენ ადგილობრივ ალმასკომის პასუხისმგებელი თანამშრომლები მცოდნე პირთა თანდასწრებით.

ყველა ნივთი მესამე კატეგორიის ეკლესია-მონასტრებიდან გამოღებული, თუ იგი გაუქმდა, დაუყოვნებლივ გადატანილ უნდა იქმნას, სათანადო აქტის შედგენილ მეორე კატეგორიის იმ ეკლესია-მონასტრებში, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ცეცხლისა თუ სხვა ხიფათისაგან.

ასე უნდა მოხდეს რესპუბლიკის სიმდიდრეთა პირველი მოკითხვა, პირველი რეგისტრაცია, რომელსაც მოჰყვება მეორე ნაბიჯის გადადგმა, სახელდობრ, მთელს რესპუბლიკაში სათანადო პუნქტების ამორჩევა, სადაც დაარსებული იქნება საისტორიო მუზეუმები.

ამიტომ დროებით, სანამ საამისოდ სათანადო კომისიები შესდგებოდეს, რომელნიც თვითეულ ნივთის შესაფერ ღირებულებას გამოარკვევენ და საბოლოოდ დაადგენენ, თუ რომე-

ლია, მეორე კატეგორიაში მოქცეულ ძეგლთაგანი, უნდა გადაკეთდეს მუზეუმად, ყველა აღნუსხულ ნივთის მოვლა-პატრონობა ევალება ადგილობრივ აღმასკომის მიერ დანიშნულ პირთ აღმასკომისა და პირველთა ურთიერთის პასუხისმგებლობით.

განძთა ნუსხისა და აქტის ერთი ცალი გამოგზავნილ უნდა იქმნას განათლების სახალხო კომისარიატში – სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტისათვის.

აქვე გეგზავნებათ სია იმ ეკლესია-მონასტერთა და საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელნიც დაცულ უნდა იქნან სამეცნიერო მიზნით.

დამატებით ინსტრუქციებს მიიღებთ.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე

ს.ს.ს.რესპუბლიკის კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი;

წევრნი:

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი; იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი“[1]

ხელისუფლებამ განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ძეგლების ნუსხა შეადგინა. ამ ნუსხაში გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლიც შევიდა:

„სია იმ ეკლესია-მონასტერთა საარქეოლოგიო ძეგლთა, რომელთაც საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ.

1. ტფილისის მაზრაში: ანჩისხატი, სიონი, ბეთანია, მარტყოფი, ქაშვეთი, მეტეხის საყდარი, ნათლისმცემელი, მანგლისის ტაძარი.

2. დუშეთის მაზრაში: ჯვარის საყდარი, მცხეთა, სამთავრო, წილკანის, შიო მღვიმის და ანანურის ტაძრები.

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, 37.

3. თელავის მაზრაში: შუამთა, ალავერდი.
4. სიღნაღის მაზრაში: ბოდბის მონასტერი.
5. გორის მაზრაში: ერთაწმინდა, რუისის, ურბნისი, სამთავისი, ყანჩაეთი, ატენი, ქვემო ჭალა, წრომი, ოქონის მონ.* იკორთა,
6. ბორჩალოს მაზრაში: ახტალის ეკლესია, ფიტარეთის, ბოლნისი.
7. ახალციხის მაზრაში: ზარზმა, ვარძია, საფარა.
8. ახალქალაქის მაზრაში: კუმურდოს ტაძარი.
9. ქუთაისის მაზრაში: გელათი, მოწამეთა, ხონის წმ. გიორგის.
10. შორაპნის მაზრაში: კაცხი, მღვიმე, ჯრუჭი, სავანე, უბისა.

---

* აღსანიშნავია, რომ 1928 წლის 16 მარტს გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს დადგენილება ოქონის ტაძრის დანგრევის შესახებ. სხდომის ოქმში მითითებულია, რომ ოქონის ტაძარი მიწისძვრისაგან იყო დაზიანებული და ამას შესაძლოა საფრთხე მიეყენებინა მრევლისათვის. ხელისუფლება მორწმუნეებს დაპირდა, რომ მათ მიეცემოდათ ტაძრის აშენების უფლება ოქონის ტაძრის ეზოში, ან ყოფილი საკრებულო ტაძრის (სობოროს) საძირკველზე, თუმცა, გორის აღმასკომმა არ შეასრულა დანაპირები. სწორედ ამის გამო, ოქონის ტაძრის სამრევლო საბჭომ განცხადებით მიმართა ხელისუფლებას და ტაძრის ასაშენებელი ადგილის გამოყოფა მოითხოვა. იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 206-209; მორწმუნეების დაჟინებულმა თხოვნამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. საბოლოოდ ხელისუფლებამ მრევლს ნებართვა მისცა ოქონის ტაძარი სობოროს ადგილზე აეშენებინა. 1930 წლის 1 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ ურბნელი ეპისკოპოსის სვიმონის და სხვა სასულიერო პირების თანდასწრებით ოქონის ალადაშენებული ტაძარი აკურთხა. იხ. ი. ალიმბარაშვილი, ოქონის ტაძრებისა და ხატების ისტორიიდან, თბილისი, 2012, 94; თუმცა, ოქონის ახალმა ტაძარმა დიდხანს არ იარსება. 1934 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ იგი კვლავ დაანგრიეს. ი. ალიმბარაშვილი, ოქონის ტაძრებისა და ხატების ისტორიიდან, 95.

11. რაჭის მაზრაში: ნიკორწმინდა.
12. ოზრუგეთის მაზრაში: შემოქმედი, ჯუმათი, ლიხაური.
13. სენაკის მაზრაში: მარტვილი, ტყვირი, სუჭუნა.
14. ზუგდიდის მაზრაში: ხობი, ცაიში, კორცხელი, წალენჯიხა, ყულისკირი.
15. სვანეთში: კვირიკე და ივლიტასი.
16. აფხაზეთში: დრანდა, ბედია, ბიჭვინთა მოქვი, ილორი“[1].
შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ღირებულების ძეგლების შესასწავლად ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა სპეციალური ექსპერტები დანიშნა. ესენი იყვნენ პროფ. ა. შანიძე და მისი ასისტენტი ს. ჯანაშია[*]. მათ დაევალათ გორის მაზრის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების და სალოცავებში დაცული ისტორიული ღირებულების ნივთების შესწავლა. ა. შანიძე (სავარაუდოდ მოუცლელობის გამო) ამ საქმეში აღარ ჩაერთო და კომიტეტმა საბოლოოდ სპეციალური რწმუნებული დანიშნა. ეს საქმე გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა მოღვაწეს (23 წლის) ს. ჯანაშიას დაევალა, რომელმაც გორის მაზრის ტერიტორიაზე სიძველეები საგანგებოდ შეისწავლა

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, 39.

[*] „სსსრ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი“ მოგვიანებით შეცვალა „სიძველეთა, ხელოვნების, ბუნებისა და ძეგლთა დაცვის კომიტეტმა“. აღნიშნული კომიტეტის ინსპექტორი გორის მაზრაში იყო პროფ. ს. კაკაბაძე. 1929 წლით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ ს. კაკაბაძეს ევალებოდა ეკლესიებიდან გამოტანილი სხვადასხვა ნივთების მათ შორის საეკლესიო ზარების შესწავლა. ს. კაკაბაძის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ ეკლესიებიდან ჩამოხსნილი ზარების ერთ ნაწილს (შავი მეტალი) კომკავშირელები აგროვებდნენ, ხოლო მეორე ნაწილი (ფერადი მეტალი), რომელთაც რეაბილიტაცია ესაჭიროებათ, გადაცემული ჰქონდა „რუდმეტალტორგს“. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლირიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 245.

და წარმოდგენილ დასკვნაში ხელისუფლებას დიდი ისტორი-ის მქონე ტაძრების და ამ ტაძრებში დაცული საისტორიო და სამეცნიერო მნიშვნელობის ნივთების განსაკუთრებული დაცვისაკენ მოუწოდა[1]. გორის არქივში მივაკვლიეთ დოკუ-მენტს, რომელიც ვიზუალური მსგავსებიდან გამომდინარე, ს. ჯანაშიას ხელნაწერს უნდა წარმოადგენდეს. ეს არის „სია მაზრაში არსებული ტაძრების განძეულობისა“. ჩვენი აზრით, დოკუმენტი ს.ს.ს.რ. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის რწმუნებულის ს. ჯანაშიას ანგარიშია, რაც შიდა ქართლის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძვე-ლეების შესწავლის შედეგია. ანგარიში ფრაგმენტის სახით შემორჩა, ამიტომ ძნელი სათქმელია, გორის მაზრის აღმას-რულებელი კომიტეტის სახელზე იყო შედგენილი, თუ ცენ-ტრალური ხელისუფლების. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვა-თახევის მონასტერში ღვთისმშობლის ხატი დიდი ტანისა, ვერცხლით მოჭედილი 1695 წლ. დედოფალ ხვარეშანის წარწერით; 2. ახალქალაქის მართლმადიდებელთა წმ. თევდო-რეს სახელობის ეკლესიაში ა) წმ. თევდორეს ვერცხლის ხა-ტი ხუცური წარწერით და ბ) ღვთისმშობლის ხატი, ვერ-ცხლისა (?) ქართული წარწერით; 3. იტრიის ეკლესიის (სურამის აღმასკომის შენობაში) ფიცარი ნაწილებით, ჩხეიძ-ეების წარწერით, ბ) ღვთისმშობლის ხატი, ოქროთი მოსი-ლი, 7X9 ვერშ., რომელსაც თავს ადგას ხატი იესო ქრის-ტესი, ვერცხლისა, ოქროცურვებული 9X6 ვერშ. და გ) დუგმები ქალის სარტყლისა, ქართული; 4. ქარელის ღვთისმ-შობლის საელობის ეკლესიაში და ადგილობრივ თემის აღ-მასკომთან ინახება – ა) წმ. ნიკოლოზის ხატი დიდი ტანისა, ვერცხლით მოჭედილი, ვერცხლისავე შარავანდედით, რომელ-

[1] სოსიაშვილი გ., აკად. სიმონ ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი დეტალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №2, 2012, 240.

შიც ჩასმულია 62 ძვირფასი თვალი, დიდი ქართული წარწერით, ბ) წმ. ნიკოლოზის ხატი პატარა ტანისა, ვერცხლით (?) მოჭედილი, ხუცური წარწერით, გ) ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი პატარა ტანისა და დ) ვერცხლით მოჭედილი ნაწილებიანი ფიცარი, დიდი ხუცური წარწერით, ხის კუბოში; 5. დირბის თემის სოფ. საღოლაშენის ეკლესიაში – ა) ნაწილებიანი ფიცარი, ვერცხლით მოჭედილი, ხუცური და მხედრული წარწერებით, ბ) დიდი ვერცხლით ნაჭედი ოთხნაწილედი ხატი, ჯვარის სახედ, ხუცური წარწერებით, გ) მიქელ მთავარანგელოზის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, პატარა, ხუცური წარწერით და მაცხოვრის ხატი, დიდი, ვერცხლით შემოსილი და თვლებით შემკული, 130 მისხ. ვერცხლი, სლავიანური [და] ქართ. წარწერებით; 6. გორის ალმასკომის ფინანსურ განყოფილებაში დირბის თემისავე კუთვნილი საეკლესიო ქონებიდან – ა) ჩვილედი ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლით მოჭედილი უცური წარწერით, მეორე გვერდზე, ბ) ვერცხლის ჯვარი დიდი ზომის, ვერცხლისავე ტარით ხუცური წარწერებით, გ) ვერცხლის ჯვარი პატარა ზომისა სომხ. წარწერით, დ) მაცხოვრის დიდი ზომის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, ხუცური წარწერით, ე) წმ. გიორგის ხატი, ვერცხლზე ნაჭედი, ქართული წარწერით, ვ) წმ. საბას ვერცხლზე ნაჭედი ხატი, მხედრული და ხუცური წარწერებით, ზ) ხის მკლავი, ვერცხლგადაკრული, უზიანო, ჱ) ხატზე აცლილი ვერცხლი 5 გ. 71 მისხ. და თ) ჯვარზე აცლილი ვერცხლი, 90 მისხ.; 7. გორის პოლიტბიუროში ქვათახევის მონასტრის კუთვნილი ნივთებიდან – ა) ბარძიმი ვერცხლის და ფეშხუმი ასეთივე წარწერით: „За упокой душу Царя Георгия царевич Кетеваны, Софьи и кн. Луарсаба“, ბ) ბარძიმი ვერცხლისა, საქართველოს განმგებლის ბატონიშვილის სვიმონის წარწერით და გ) ჯვარი ვერცხლისა არქიმანდრიტ ტარასისაგან შეწირული. ამასთანავე, გაცემული უნდა იქნას სასტიკი განკარგულება რათა ზემო-აღნიშნულ ნივთე-

ბის გადმოტანის დროს არავითარი ზიანი არ მოუვიდეს“[1]. როგორც ჩანს, პარტიის აქტივისტების მიერ გაძარცვული ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ქონების ნაწილი (განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ნივთები), გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მეთვალყურეობით გორის ხაზინაში ინახებოდა. ამას ადასტურებს გორის არქივში დაცული დოკუმენტი: „სია საეკლესიო ისტორიული ნიშნეულობის ნაკრებისა, რომლებიც ჩაბარდა გორის ხაზინას განსაკუთრებული რკინის სალაროში შესანახად. დასახელება ნივთებისა: 1. ხატი მხვთისმშობლის „ჩვილედი ვერცხლით მოჭედილი“; 2. ვერცხლის ჯვარი დიდი ზომისა, ხუცური წარწერით; 3. ვერცხლის ჯვარი პატარა ზომისა სომხური წარწერით; 4. მაცხოვრის დიდი ხატი ვერცხლზე ნაჭედი ხუცური წარწერით 5. წმინდა გიორგის ხატი ვერცხლზედ ნაჭედი ქართულის წარწერით; 6. წმინდა საბას ვერცხლზე ნაჭედი ხატი მხედრული და ხუცური წარწერით; 7. ხის კლავი ვერცხლით გადაკრული; 8. ხატზედ აცლილი ვერცხლი 5 გირ. 71 მისხ.; 9. ჯცარზედ აცლილი ვერცხლი 90 მისხ.; 10. სახარება ვერცხლით მოჭედილი ხელნაწერი ხუცური წარწერით; 11. ქვათახევის მხვთისმშობლის ხატი დიდი...* დედოფალ ხორაშნის წარწერით ვერცხლით ნაჭედი;** 12. წმინდა თევდორეს ხატი ვერცხლით ნაჭედი; 13. მხვთისმშობლის ხატი ვერცხლისა ქართული წარწერით; 14. წმინდა ნიკოლოზის ხატი დიდი ტანისა ვერცხლით მოჭედილი ჩასმული აქვს 62 ძვირფასი თვალი; 15. წმინდა ნიკოლოზის ხატი პატარა ტანისა, ვერცხლით მოჭედილი ხუცური წარწერით; 16. მხვთისმშობლის ხატი, ვერცხლით ნაჭედი, პატარა ტანისა, ხუცური წარწერით; 17. ვერცხლით მოჭედილი ნაწილე-

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 187-188.

* არ იკითხება, უნდა იყოს „დიდი ტანისა“.

** სავარაუდოდ უნდა ეწეროს „1695 წლისა“.

ბიანი ფიცარი ხის კუბოში (დანარჩენი ნაწილი გამოტოვილია); 18. ბატონიშვილის გამგებლის (დაზიანების გამო სიტყვა არ იკითხება. სავარაუდოდ უნდა იყოს სვიმონი  გ.ს.) წარწერით; 19. ჯვარი ვერცხლისა, არქიმანდრიტ ტარასისაგან შეწირული; 21. ფეშხუმი ვერცხლისა რუსულის წარწერით: „За упокой Царя Георгия“[1]. ეს ნივთები 1923 წლის 27 ოქტომბერს გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულის ა. მარუტოვისაგან ს. ჯანაშიამ ჩაიბარა[2]. ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებულმა ანტირელიგიურმა მოძრაობამ მორწმუნე საზოგადოებაში  ძალზე დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა.  საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს 1923 წლის აგვისტოში შეტყობინება დაეგზავნა, სადაც აღნიშნული იყო: ,,საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მოსდის ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი-სარწმუნოებასთან ბრძოლის პროცესის განვითარებაში, მიმართავს ხოლმე მორწუნეთა ცალკე ჯგუფების, საზოგადოებისა და კერძო მოქალაქეთა წინააღმდეგ ისეთ ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რაც ხანდახან მოქალაქეთა სარწმუნოებრივ გრძნობას შებღალავს. ამგვარი საშუალებით ბრძოლა საუკუნეებით დამკვიდრებულ ცრუმორწმუნოებასთან სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლებლად მიაჩნია, მით უფრო ასეთი ბრძოლა მიზანს ვერ აღწევს“[3]. ხელისუფლება პარტიულ აქტივისტებს მოუწოდებდა, რომ მორწმუნეთა ძალადობისაგან თავი შეეკავებინათ. წე-

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 186-187.

[2] სოსიაშვილი გ., აკად. სიმონ ჯანაშიას შიდა ქართლში მოღვაწეობის უცნობი დეტალები, 245.

[3] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №37, 60.

რილს ხელს აწერდნენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ელიავა, იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი ი. ვარძიელი, სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე. ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ნათლად დაინახა, რომ ქვეყანაში გაჩაღებული ანტირელიგიური კამპანიის შედეგად არაერთი ისტორიული ძეგლი ნადგურდებოდა, ამიტომ ადგილობრივ აღმასკომებს ასეთი ძეგლების გადარჩენისაკენ მოუწოდა, ეს განსაკუთრებით ეხებოდა გორის მაზრას. სსსრ სიძველეთა და ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ 1923 წლის 26 ნოემბერს სპეციალური წერილი გაეგზავნა გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს. წერილში ვკითხულობთ:

„რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების დაცვის საგანგებო კომიტეტი მიაქცევს თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მსოფლიო მნიშვნელობის სახუროთმოძღვრებო ძეგლი (ეკლესია, მონასტერი) ხანგრძლივად დაკეტვის გამო ნესტიანდება, რაიც აზიანებს, როგორც თვით შენობას, ისე შიგ მოთავსებულ განძეულობას და განსაკუთრებით კედლის ფრესკებსა და წარწერებს.

აუცილებლად საჭიროა შენობის დაცვა მთლიანად სისტემატიურად მისი დაწმენდა, დასუფთავება, რაიც უნდა მიენდოს აღმასკომის მიერ ნდობით აღჭურვილ მოქალაქეთ.

ამასთანავე, თუ ძეგლი სოფელს დაშორებულია, შესაძლებელია, მისი მოვლა-პატრონობა ჩაბარდეს რომელსამე ანდო ყ.* ბერს, წინამძღოლს და სხვ.

გაუწყებთ რა ზემოაღნიშნულს, გთხოვთ სათანადო სასწრაფო განკარგულებას.

საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ა. გეგეჭკორი)

წევრი, სახ. განათლების კომისარი (ი. კანდელაკი)

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს ყოფილ ბერს.

სამეცნ. დაწეს. და ალმ. გამგე (ვ. ბერიძე)“[1]

დახურული ეკლესიების მრევლი არ ეგუებოდა ბოლშევიკური ხელისუფლების დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი. მთავრობას  ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები მორწმუნეები (მათ შორის გორის მაზრაში მცხოვრებნი) განცხადებებით მიმართავდნენ და გაუქმებული ეკლესიების აღდგენას თხოვდნენ.  გორის მაზრაში არაერთი მართლმადიდებელი ტაძრის მრევლმა მიმართა  ხელისუფლებას დახურული სალოცავის აღდგენის თხოვნით. მორწმუნეთა განცხადებები იგზავნებოდა იუსტიციის სახალხო კომისრის და საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის – ი. ვარძიელის სახელზე. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 1923 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, მას შემდეგ რაც მთავრობამ ეკლესიის მიმართ ლიბერალური პოლიტიკის გატარება დაიწყო. 1923 წლის 23 ოქტომბერს ი. ვარძიელმა წერილობით მიმართა გორის მაზრის აღმასკომს და მორწმუნეთა განცხადებების დაკმაყოფილება დაავალა. განცხადებები დახურული ეკლესიების გახსნას შეეხებოდა. წერილში ვკითხულობთ:

„გორის მაზრის აღმასკომს.

გიგზავნით რა ამასთანავე ქ.გორის, სოფ. ძლევის ჯვარის, ფხვენისის, ატოცის, ქ. ხაშურის, სოფ. ხანდაკის, წრომის, ნადარბაზევის, ვაკე-პანტების და სხვ. მორწმუნეთა მცხოვრებლებს განცხადებებს ეკლესიის გახსნის შესახებ, იუსტიციის სახალხო კომისარიატი გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი, ამასთანავე უნდა იხელმძღვანელოთ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ა.წ. 28 სექტემბრის №222 გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინსტრუქციით და ფორმალურ ხელშეკრულებით და წესდებით, რომელიც გად-

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 226.

მოგეგზავნათ თქვენ ა.წ. 22 სექტემბერს №15460 მომართვით.

მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა უკეთუ იგი არ შეიწყნარებს შუამდგომლობას, უნდა, ვიდრე მორწმუნეთ უარს გამოცხადებდეს, მთელი მასალა გადაგზავნოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ კომისიას საეკლესიო საქმეთათვის, თანახმად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ა.წ. 28 სექტემბრის თარიღით და №100/ს. გაცემული განკარგულებისა.

იუსტიციის სახალხო კომისარი და საეკლესიო

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ი. ვარძიელი“[1].

ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა 1924 წლის თებერვალში ი. ვარძიელმა გორის მაზრის აღმასკომს. წერილში საუბარი იყო გორის მაზრის სოფლების: ზემო ჭალის, არბოს და ლამისყანის მორწმუნეთა განცხადებების დაკმაყოფილებაზე და აღნიშნულ სოფლებში დახურული ეკლესიების გახსნაზე“.[2]

1923 წლის 10 აგვისტოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ მოქალაქეებს რელიგიური რწმენის თავისუფლება ეძლეოდათ. ამ განკარგულების გამოცემის შემდეგ 1923 წლის 29 აგვისტოს ქ. გორის სობოროს და ოქონის ეკლესიის მრევლმა ერთობლივი წერილით მიმართა ხელისუფლებას და დაკეტილი ეკლესიების გახსნა ითხოვა: „ვიღებთ რა ამ ბრძანებას მხედველობაში, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი გორში მცხოვრებნი ქრისტიან მართლ-მადიდებელნი მოქალაქენი შეერთებული ყოფილი სობოროს და ოქონის ეკლესიის მრევლნი მოგმართავთ შემდეგი თხოვ-

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 223.

[2] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 232.

ნით: გაღებულ იქნას დაკეტილი ოქონის ეკლესია, გადაეცეს მართლ-მადიდებელი ეკლესიების კუთვნილი ნივთები და სამკაულები მრევლის საბჭოს წევრებს და ამით მოგვეცეს საშუალება აღვადგინოთ წირვა-ლოცვა ჩვენი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“.[1]

განცხადებას ხელს აწერდა 416 მორწმუნე.

1923 წელს გაზეთ „კომუნისტის" ფურცელებზე (№222), გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი, რომელიც მორწმუნეებს რელიგიურ საზოგადოებათა დაარსების საშუალებას აძლევდა. მთავრობის ცირკულარზე დაყრდნობით მორწმუნეებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება და ამის შედეგად არაერთი რელიგიური საზოგადოება დაფუძნდა. მთავრობის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ინსტრუქცია რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევისათვის ნებადართვის გაცემის წესის შესახებ. 1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეებს, თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტისა „იმ საზოგადოებათა და კავშირთა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ, და ამ საზოგადოებათა და კავშირთა მოქმედების მეთვალყურეობის წესი (იხ. „კომუნისტი“ №165), შეუძლიანთ მოაწყონ საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებანი და მოსახმარად მიიღონ რელიგიური წესების შესრულებისთვის საჭირო სამლოცველო სახლები და ქონება. შენიშვნა: რელიგიური საზოგადოების ან უკვე არსებული მრევლის წარმომადგენლები ტაძარს (სამლოცველო სახლს) და ქონებას უფასო სარგებლობისათვის მიიღებენ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 15 თარიღით და მე-21 ნომრით გამოცემული დეკრეტის

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20–იან წლებში), 392.

15 მუხლის თანახმად, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან ხელშეკრულებით, რომლის ფორმაც ამა ინსტრუქციას აქვს დართული.
2. ზემოაღნიშნული რელიგიური და საეკლესიო საზოგადოებანი უნდა გატარებულ იქნან რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციაში აღნიშნული წესით.
3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის ივლისის 7 დეკრეტის თანახმად, არც ერთ რელიგიურ საზოგადოებას, რა კულტისაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან დაიწყოს მოქმედება, უკეთუ მისი რეგისტრაცია არ მოხდება მაზრის ან ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მართველობის განყოფილებაში.
4. მოქალაქენი, რომელთა სურთ დაარსონ რელიგიური საზოგადოება, მოვალენი არიან მართველობის განყოფილებას, რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან (სამ ცალად), წარუდგინონ სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების დამფუძნებელია კრების ოქმი; ბ) საზოგადოების წესდება; გ) დამფუძნებელთა სია, სადაც მოყვანილი იქნება ცნობები შემდეგი ფორმით: 1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდა რვოლუციამდე, 6) ქონებრივი მდგომარეობა, 7) როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს, 8) საღერბო გადასახადი დაწესებული რაოდენობისა.
5. ამა ინსტრუქციის გამოცემის დროს ფაქტიურად არსებული რელიგიური საზოგადოება მოვალეა რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად (3 ცალად), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წარუდგინოს სამ-სამ ცალად: ა) საზოგადოების წესდება ბ) საზოგადოების და მისი აღმასრულებელი ორგანოს წევრების სია, რომელიც ამა ინსტრუქციის მესამე მუხლის „გ" პუნქტში აღნიშნული ფორმით უნდა იქნას შედგენილი, გ) სია მღვდლებისა და სხვა არჩეული პასუ-

ხისმგებელი პირებისა, იმ ფორმით, რომელიც მესამე მუხლის „გ“ პუნქტშია ნაჩვენები.
შენიშვნა: უკეთუ მრევლს, წრეს და სხვ. წესდება არ ექნება იგი შედგენილ უნდა იქნას იმ სანიმუშო წესდების მიხედვით, რომელიც ამა ინსტრუქციას აქვს დართული.
6. მართველობის სათანადო განყოფილებამ რეგისტრაციაზე უარი უნდა უთხრას ფაქტიურად არსებულ ან ახლად დაარსებულ რელიგიურ საზოგადოებას, უკეთუ: 1) სასამართლოს მიერ უფლებებში არ შეზღუდულ მის წევრთა ან დამფუძნებელთა რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთაგან 300 კაცზე ნაკლებია; 2) სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება საზოგადოებისა, მისი მიზნები და მოქმედების მეთოდები ეწინააღმდეგებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას და მის კანონებს.
შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც მცირე და გაფანტული მოსახლეობაა, წევრთა რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს, მაგრამ არა ნაკლებ 50 კაცისა.
7. უკეთუ რეგისტრაციის დამაბრკოლებელი პირობები არ აღმოჩნდება, მართველობის განყოფილება აძლევს საზოგადოებას წესდების ცალს ზედწარწერით, საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების შესახებ და ბეჭედს, რომელიც რელიგიური საზოგადოების საქმეებთან ინახება.
8. ამა დადგენილების გამოცემამდე ფაქტიურად ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც ამა ინსტრუქციის გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში აღნიშნული წესით რეგისტრაციას არ მოახდენს, დახურულად ჩაითვლება.
9. ერთისა და იმავე კულტის რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიანთ მოაწყონ ადგილობრივი ან სრულიად საქართველოს ყრილობები იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტში („კომუნისტი“

№165) და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის 1923 წლის 17 ივლისის ინსტრუქციასი („კომუნისტი" №170).

10. რელიგიურ საზოგადოებათა ადგილობრივ და სრულიად საქართველოს ყრილობებს შეუძლიანთ აირჩიონ აღმასრულებელი ორგანოები: ცნობები მათ შესახებ, მესამე მუხლის „გ" პუნქტში ნაჩვენები ფორმის დაცვით, უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

11. რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებს და მათ მიერ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლიანთ: 1) დააწესონ იძულებითი გადასახადი; 2) ფლობდნენ საკულტო ქონებას ან მიიღონ ასეთი ქონება ხელშეკრულებით; 3) შეჰკრან რაიმე ხელშეკრულება ან გარიგება.

12. რელიგიურ საზოგადოებათა, ყრილობათა და მათ შემაკავშირებელ ორგანიზაციათა მოქმედების მეთვალყურეობა ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს.

13. ყოველი რელიგიური საზოგადოება ექვემდებარება საზოგადო დებულებათ კერძო საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან იგი განირჩევა იმით, რომ არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და საკუთრების უფლება არა აქვთ.

14. ყოველგვარი კულტის რელიგიური საზოგადოებანი უფლებათა და მოვალეობათა მხრივ თანასწორნი არიან და არც ერთი მათგანი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით და სუბსიდიით არც სახელმწიფოსაგან და არც მის ადგილობრივ და ავტონომიურ დაწესებულებათაგან.

15. რელიგიური საზოგადეობის წევრებს ან მათ რწმუნებულებს შეუძლიანთ ნებაყოფლობითი შემოწირულობის შეკრეფა საკულტო ქონების სარგელობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად, როგორიც არის: გათბობა, დაცვა, სუფთად შენახვა ამ ქონებისა და სხვა, აგრეთვე შეკეთება საკულტო შენობისა.

16. თუმცა რელიგიურ საზოგადოებას არა აქვს იურიდიული პირის უფლებანი და საკუთრების უფლება, მაგრამ მას მაინც შეუძლიან კერძო-უფლებრივი ხასიათის ისეთი გარიგების დადება, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების სარგებლობასთან, მაგალითად, ხელშეკრულების დადება მგალობელთა დაქირავების, შეშის მოწოდება-მოტანის წიგნების შეკეთების და სხვათა შესახებ.
შენიშვნა: ამ გვარი გარიგების შინაარსად არ შეიძლება იყოს ისეთი ხელშეკრულებითი ურთიერთობა, თუნდაც კულტთან დაკავშირებული, რომელიც სავაჭრო ან სამრეწველო მიზნებს მისდევდეს, როგორიც არის: იჯარა სანთლის ქარხნისა, სტამბისა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნების დასაბეჭდავათ და სხვა.
17. თავიანთ საზოგადო კრების და დადგენილებათა შესასრულებლად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის მოქალაქეებს, საჭიროების დაგვარად, შეუძლიანთ დანიშნონ კულტის მოსამსახურენი და თავიანთ წრიდან გამოყონ საჭირო რიცხვი რწმუნებულებისა, რომელთაგან თვითეული იმოქმედებს მისთვის მიცემული რწმუნების ფარგლებში.
შენიშვნა: კულტის მოსამსახურეთა და სხვა პასუხისმგებელ პირთა სიები ცნობების ზედ დართვით უნდა წარედგინოს მართველობის განყოფილებას ამა ინსტრუქციის მესამე „გ“ პუნქტში ნაჩვენები ფორმით.
18. რელიგიურ საზოგადოებათა დახურვის წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტით.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. ვარძიელი
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ტალახაძე

სექტემბერი 1923 წელი

ტფილისი”[1].

ამ დაგენილებასთან ერთად ხელისუფლებამ რელიგიურ საზოგადოებათა წესდების ნიმუშიც დაამტკიცა.[2]

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა გორის მაზრაში არაერთი რელიგიური საზოგადოება დაარსდა. 1923 წლის 20 დეკემბერს ჩატარდა ქ. გორის საკათედრო ტაძრის რელიგიურ საზოგადოების კრება, რომელსაც უნდა მიეღო წესდება და აერჩია სამრევლო საბჭო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი, რომელიც შეთავსებით სამრევლო საბჭოს წევრიც გახდა. მასთან ერთად საბჭოს წევრებად აირჩიეს: ნიკო მახარაშვილი და ანტონ მაკალათია. ამავე საბჭოში შევიდნენ ,,არჩევის კრებულის წევრნი“: დეკ. ანტონ კასრაძე, მღვდელი იოანე სალარიძე,  მღვდ. ალექსანდრე ტლაშაძე, პროტოდიაკონი მიხეილ გონგლაძე, იაკობ ეგნატაშვილი. კრებას ესწრებოდა გორის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი არტაშ მესროპის ძე მარუტოვი[3]. სამრევლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დეკანოზი ანტონ კასრაძე, რომელსაც დაევალა ხელისუფლებისათვის დასამტკიცებლად წარედგინა საზოგადოების წესდება.  რელიგიური საზოგადოება გორში საკათედრო ღვთაებისა და ოქონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრების მრევლთა ერთობლივი ძალისხმევით დაარსდა. სულ ამ საზოგადოებაში 18 წლის ზემოთ  გაერთიანებული იყო 347 მორწმუნე[4]. წესდების

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, 14.

[2] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, 13.

[3] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 255.

[4] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №51, 1-17.

ტკიცების შემდეგ ხელისუფლების გადაწყვეტილებით გორელ მართლმადიდებლებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისაგან (წარმომადგენელი ს. ცხოვრებაშვილი) დაუბრუნდათ საეკლესიო ნივთები, სულ 125 დასახელების ნივთი (ხატები, ჯვრები, საეკლესიო წიგნები და სხვ.)[1]. პარტიული აქტივისტების მიერ გაძარცვული ეკლესიებიდან წამოღებული ნივთების გარკვეული ნაწილი კვლავ აღდგენილ ეკლესიებს გადაეცა, ხოლო საეკლესიო ნივთების ერთი ნაწილი გორის მაზრის ხელმძღვანელობას დარჩა. მათ ცენტრალური ხელისუფლებისაგან ამ ნივთების რეალიზაციის ნებართვა ითხოვეს, რაზეც თანხმობა მიიღეს. სახალხო კომისართა საბჭოდან გორის მაზრის აღმასკომში გამოგზავილ წერილში ვკითხულობთ: ,,სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო თქვენი შუამდგომლობა გორის მაზრაში ეკლესიებისათვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების, შემდეგ თქვენს განკარგულებაში დარჩენილ ნივთების გაყიდვის ნებართვის შესახებ გორში გლეხთა სახლის აშენების საჭიროებისათვის. ვინაიდან შუამდგომლობას არ აქვს დართული ცნობა იმის შესახებ, თუ რა ნივთები უნდა იქნეს დატოვებული თქვენს განკარგულებაში გორში გლეხთა სახლის აშენების საჭიროებისათვის, გთხოვთ სასწრაფოდ გადმოაგზავნოთ აღნიშნული ნივთების დაწვრილებითი სია. საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე“[2].

გორის მაზრის აღმასკომის ხელმძღვანელობამ სახალხო კომისართა საბჭოში დამატებით გაგზავნა წერილი საეკლესიო ნივთების რეალიზიცაციის ნებართვის შესახებ და განმარტა რა სახის ნივთების რეალიზაციაზე იყო საუბარი. წერილში აღნიშნულია: ,,ქ. გორის ეკლესიების დაბრუნების შემდეგ დარჩა ორი ფუთი და ათი გირვანქა ჯართი ვერ-

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №51.

[2] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3 აღწერა №1, საქმე №52, 1.

ცხლი, როგორც მაგალითად დანტვრეული ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა, რომლების ჩაბარებაც, როგორც სრულებით გამოუსადეგრებისა ეკლესიის მზრუნველებმა არ მოისურვეს და კიდევ ძველი ხალიჩები და ფარდები რიცხვით 32 ცალი, რომლებიც დავაკავეთ როგორც ეკლესიისათვის ზედმეტი ფუფუნების საგნები. მოგახსენებთ, რა ზემოხსენებულს განმეორებით გთხოვთ აღნიშნული საგნების რეალიზაციის ნებართვას“[1]. როგორც აღვნიშნეთ, 1923 წლის დეკემბერში გორში შეკრებილმა მართლმადიდებლებმა რელიგიური საზოგადოება დააარსეს. მაზრაში ასეთივე რელიგიური საზოგადოებები შეიქმნა: ბორჯომში, დოესში, ატოცში, შინდისში, ხანდაკში, ხვედურეთში, კასპში, დირბში და სხვ. გორის მაზრაში რამდენიმე ეკლესია გაიხსნა. ეს იყო, როგორც მართლმადიდელებელთა ტაძრები, ისე სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობათა სალოცავები. გორის არქივში დაცულ დოკუმენტში, რომელიც 1923 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „სია გორის მაზრის ფარგლებში გახსნილი ეკლესიებისა, რომელთაც აქვთ ნებართვა წირვა-ლოცვისა. „ქ. ბორჯომის ქართველთა რელიგიური საზოგადოების ივანე ნათლისმცემლის სახელობაზე ეკლესია; ქ. გორი ქართველთა რელიგიური საზოგადოების ოქონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, ქ. გორი სომეხთა რელიგიური საზოგადოების წმ. სტეფანეს სახელზედ ეკლესია; დ. ქარელი ებრაელთა რელიგიური საზოგადოების სალოცავი; ქ. გორი ებრაელთა რელიგიურ საზოგადოების სალოცავი; ს. ურბნისი ქართველთა რელიგიური საზოგადოების წმ. სტეფანეს სახელობაზე საკათედრო ტაძარი; დ. სურამი ებრაელთა რელიგიური სზოგადოების სალოცავი; ს. ატოცი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია; დ. ქარელი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წყარო ცხოვრებისა

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №52, 2.

სახელობაზე ეკლესია. ს. შინდისი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია. დ. ახალ-ქალაქი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. თეოდორე ტირონის სახელობაზე ეკლესია; ქ. ბორჯომი სომეხთა რე-ლიგიურ საზოგადოების წმ. გიორგის სახელობაზე ეკლესია. ს. კასპი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების წმ. თეოდო-რე ტირონის სახელობაზე ეკლესია; დ. ახალქალაქი სომეხთა რელიგიურ საზოგადოების მღვთისმშობლის სხელობაზე ეკლე-სია; ს. ქვემო ხანდაკი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია; ს. ხვედურეთი ქარ-თველთა რელიგიური საზოგადოების მღვთისმშობლის სახე-ლობაზე ეკლესია; ს. დირბი ქართველთა რელიგიურ სზოგა-დოების წმ. თეოდორე ტირონის სახელობაზე ეკლესია; ს. ზემო-ნიქოზი ქართველთა რელიგიურ საზოგადოების ამაღლე-ბის სახელობაზე ტაძარი; ქ. გორი კათოლიკების რელიგიური საზოგადოების ეკლესია (დოკუმენტში წერია ,,ეკლესიის ....... და შემდეგ გამოტოვილია – გ.ს.)[1]. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და მთავრობის მიერ გამო-ცემული დეკრეტი მორწმუნეებს რელიგიური საზოგადოებების დაარსების საშუალებას აძლევდა, ადგილობრივი თემების ხელმძღვანელები მართლმადიდებელი მორწმუნეების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ და დახურული ეკლე-სიების ამოქმედების უფლებას არ აძლევდნენ. ამას ადასტუ-რებს სოფ. ძლევისჯვარში მცხოვრებ მორწმუნეთა განცხადე-ბა, რომლითაც მრევლმა აღმოსავლეთ საქართველოს პროკუ-რორს მიმართა. დუკუმენტში ვკითხულობთ:

,,აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს

გორის მაზრის სოფ. ძლევის ჯვარში მცხოვრებთა რწმუნებულების სოსე გიგოს ძე გამრეკელოვის და ალექსი ანდროს ძე შერეზადაშვილის

---

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწერა №1, საქმე №54, 21.

თხოვნა

როდესაც ჩვენს სოფლამდის მიაღწია ცნობამ, რომ უმაღლესმა მთავრობამ გამოსცა ცირკულარი სარწმუნოების შესახებ, შევიკრიბეთ მთელი სოფელი, ვიქონიეთ მსჯელობა და სამი კაცის გამონაკლისით დავადგინეთ აღძვრად შუამდგომლობა ადგილობრივ ხელისუფლების წინაშე რათა გაეხსნათ ჩვენთვის ეკლესია და ნება მიეცათ სარწმუნოებრივი წესის აღსრულებისა, მაგრამ დირბის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს მოქალაქე მიხეილ ჭყოიძეს ეს არ მოეწონა და არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ ამ საგნის შესახებ მან არ იცის მთავრობის არავითარი განკარგულება. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ მოქალაქე ჭყოიძეს მართლაც არ სცოდნოდეს მთავრობის ცირკულიარი, მოთავსებული ყველა გაზეთებში, მით უმეტეს რომ თვით ცირკულიარი მიმართულია და იწყება შემდეგი სიტყვებით: „ყველა სოფლების, ქალაქების და თემების აღმასრულებელ კომიტეტებს“.

ცხადია, რომ ჭყოიძეს გაზეთშიც რომ არ წაეკითხა ცირკულარი მას უეჭველად ცალკე მიუვიდოდა ეს განკარგულება, მაგრამ ჭყოიძე ალბათ განზრახ იჩენს ამ შემთხვევაში უცოდინარობას და არ აკმაყოფილებს ჩვენ სულიერ მოთხოვნილებას. ჩვენ გვწამს ეკლესია და არ გვესმის ვის რას დაუშლით ამ ჩვენის რწმენით?! ჩვენ მზათა ვართ ერთგულად ვემსახუროდ მთავრობას, მოვიხადოთ რესპუბლიკის წინაშე ყოველივე მოქალაქეობრივი მოვალეობა და სამაგიეროდ ვითხოვოდ მთავრობის მფარველობა ყოველივე კანონის არა საწინააღმდეგო შემთხვევებში. აი სწორედ ამ მოსაზრებით მოგმართავთ თქვენ, მოქალაქე პროკურორო, უმორჩილესი თხოვნით გასცეთ განკარგულება დაუყოვნებლივ გაგვეხსნას ჩვენი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეკლესია, ხოლო ვინც ხელს გვიშლის ამაში მიცემულ იქმნას პასუხისმგებლობაში თანახმად ზემოაღნიშნული ცირკულარისა ეკ-

ლესიის და მის მსახურთა შენახვაში ჩვენ არავის არ შევა-წუხებთ და თვითონ გაუძღვებით ყოველივე მის მოთხოვნი-ლებას. ამასთანავე წარმოვადგენთ სოფლის განაჩენს. სოსე გამრეკელოვი და ალექსი შერეზადაშვილი, რადგან მათ წერა არ იციან, მათი თხოვნით ხელს ვაწერ ცერცვაძე 11 სექტემ-ბერს 1923 წ.“[1]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ეკლესიის მიმართ პოლიტიკა შეარბილა, ადგილობრივი მაზრების აღ-მასკომები მაინც არ აძლევდნენ მორწმუნეებს თავისუფალი შეკრების და რელიგიური რიტუალის ჩატარების საშუალებ-ას. სწორედ ამიტომ მორწმუნეთა განცხადებები იგზავნებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში. 1923 წლის 21 დეკემ-ბერს იუსტიციის სახალხო კომისარმა ი. ვარძიელმა, რომე-ლიც იმავდროულად საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდო-მარეც იყო, გორის მაზრის აღმასკომს სპეციალური წერილი გადაუგზავნა და დავალება მისცა, რათა მორწმუნეთათვის შეკრებების ჩატარების უფლება მიეცათ. წერილში ვკითხუ-ლობთ:

„გორის მაზრის აღმასკომს.

როგორც მორწმუნეთა მიერ შემოსულ განცხადებიდან სჩანს მაზრის აღმასკომები ნებას არ აძლევენ უკანასკნელებს კრებების შედგენისათვის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები ა/წ. 28/9 ინსტრუქციის (იხ. „კო-მუნისტი“, №2, 28/9) პირობათა შესრულებისათვის რელი-გიურ საზოგადოებათა ორგანიზაციის და რეგისტრაციის შე-სახებ ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს კომპარტიის ცე-კასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიის ა/წ. 11 დე-კემბრის დადგენილების თანახმად, წინადადება გეძლევათ მი-იღოთ ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ, რომ აღნიშნული

[1] გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3, აღწრა №1, საქმე, №54, 3.

კრებები, უკეთუ ასეთებს არა აქვთ სახეში სხვა რაიმე მიზანი არ უნდა აკრძალულ იყვნენ და მორწმუნეთა უნდა მიეცეთ საშუალება. თანახმად აღნიშნულ ინსტრუქციის მე..... (გამოტოვილი ციფრი არ იკითხება) პუნქ. იმსჯელონ, სარწმუნოებრივ საჭიროებასთან დაკავშირებით საკითხებზე.

იუსტიციის სახალხო კომისარი და

საეკლესიო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ი. ვარძიელი

დედანთან სწორეა: მდივანი (არ იკითხება)“[1]

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული ლიბერალური პოლიტიკა 1923 წლის სექტემბრის მთავრობის დეკრეტის შემდეგ მოჩვენებითი იყო, რადგან დახურული ეკლესიების ნაწილი მორწმუნეებს აღარ დაუბრუნდათ და ბევრი მათგანი საყოფაცხოვრებო შენობებად გამოიყენეს. ამას ადასტურებს გაზეთ „წითელ ქართლში“ გამოქვეყნებული ვინმე გლეხკორ სერნარის (ფსევდონიმია, მისი ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია გ.ს.) წერილი „გველირსა თეატრის გაკეთება“, სადაც ვკითხულობთ: „წრეულს გველირსა მუდმივი თეატრი რუისის რაიაღმასკომის და დირბის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გემიაშვილის თაოსნობით გადაკეთებულ იქნა თეატრად ეკლესია. სცენა და დარბაზი თუმცა პატარაა, მაგრამ ჯერჯერობით სავსებით დამაკმაყოფილებელია და წოწიალი ერთი ადგილიდან მეორეზე აცილებულია“.[2]

აღსანიშნავია, რომ ეკლესიების გადაკეთება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებებად, ან კულტურულ ნაგებობებად ადგილობრივი აღმასკომების გადაწყვეტილებით ხდებოდა, რაც შემდეგ უთანხმდებოდა საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიას. ამას ადას-

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 228-229.

[2] გაზ. „წითელი ქართლი“, №2(17) 18 იანვარი, 1925, 3.

ტურებს აღნიშნული კომისიის 1923 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმი. სხდომის თავმჯდომარეები იყვნენ: ი. ვარძიელი და ნ. ოკუჯავა, წევრი: ტალახაძე. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქ. ხაშურში ეკლესია გადაკეთებული იყო ლიბკნეხტის კლუბად. მორწმუნეებმა თხოვნით მიმართეს გორის მაზრის აღმასკომს, რათა მათთვის ეკლესია დაებრუნებინათ. აღმასკომის ხელმძღვანელობამ მრევლს უარი უთხრა და აღნიშნული საკითხი შესათანხმებლად ცეკასთან არსებულ საეკლესიო საქმეთა კომისიას გადაუგზავნა. კომისიამ დააკმაყოფილა გორის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა და ხაშურელ მორწმუნეებს საბოლოოდ უარი ეთქვათ ეკლესიის დაბრუნებაზე.[1]

ბოლშევიკური ხელისუფლება მოსახლეობაში ქრისტიანული ტრადიციების ამოძირკვას და მათ ნაცვლად კომუნისტური წესების დამკვიდრებას ცდილობდა. ქრისტიანული ნათლობა კომუნისტურმა ჩაანაცვლა. ამის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზ. „წითელი ქართლი“. ვ. კიცხელის წერილში მოთხრობილია გორის მაზრის სოფელ კარალეთში ჩატარებულ კომუნისტური ნათლობის შესახებ. წერილში ვკითხულობთ: „ამა წლის, 16 ნოემბერს ს. კარალეთში ქ. გორიდან ამოვიდნენ ჩვენი სოფლის საშეფო კომისიის წევრები შ. ბენიაშვილი და კ. დავიდოვი. მათ მოიწვიეს საერთო კრება, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი სოფელი. ამხ. ბენიაშვილმა მდაბიო ენით გააცნო გლეხკაცობას, ის თუ რა განსხვავება არის წინანდელ და ახლანდელ ნათლობას შორის. გლეხკაცობა დაინტერესებული უსმენდა მომხსენებელს, სიტყვის დამთავრების შემდეგ დაიწყო კომუნისტური ნათლობა. ნათლობის დასაწყის ადგილობრივ მოწაფეთა გუნდმა იმღერა ინტერნაციონალი. მონათლულ ბავშვთა რიცხვი იყო სულ 50. უმრავლესობა მოინათლნენ ჩვენი ბელადების სახელებით. ერთი მათგანი მოინათლა ქ. გორის

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იან წლებში), 225.

რკინიგზელთა მუშა-მოსამსახურეთა კომუჯრედის სახელით, რომელსაც დაერქვა ვარლენინი, მეორე ადგილკომის სახელით, რომელსაც დაერქვა სპარტაკი, შემდეგ ბავშვები დაასაჩუქრეს მიტკლით და ტილოს სახალათეებით. დიდ მადლობას ვუძღვნით საშეფო კომისიას, იმედია ჩვენი კავშირი უფრო განმტკიცდება. ვ. კიცხელი“.[1]

მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული ლიბერალური დამოკიდებულება მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. სინამდვილეში ხელისუფლება ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ვერაგ პოლიტიკას ახორციელებდა, რაც მომდევნო წლებში საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმაც ცხადყო.[2]

***Giorgi Sosiashvili***
*Gori State Teaching University, Professor*

## THE ORTHODOX CHURCH AND RELIGIOUS MINORITIES IN SHIDA KARTLI REGION IN THE I QUARTER OF THE XX CENTURY

## RESUME

The Georgian society occurred in a difficult situation after establishing the Bolshevik authority in 1921. The country was under a terrible repression. The Bolsheviks closed many acting churches. The Bolsheviks were chasing ecclesiastic persons. Who were forced to leave churches, or they would not be given lands and their families would starve. The churchgoers were deprived ecclesiastic property. Soon the government compromised. The reasons were the letters sent by

---

[1] გაზ. „წითელი ქართლი“, №13, 7 დეკემბერი, 1924, 2.

[2] ჯ. გამახარია, წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბილისი, 2011, 29.

different regions of Georgia addressed to the central authority. They begged the government to open those churches again and return the deprived property. The Bolsheviks allowed churchgoers to establish religious societies and returned part of those property.

The establishment of religious societies was regulated by a special instructions which had some restrictions, for example, propaganda of ideas against the Soviets during sermons. Still the authority continued its total control on the church.

Approximately more than thousand churches were closed in Georgia in the twenties of the XX century. 1350 churches had been active in our country by that time where 1700 priests, 1527 monks and 280 nuns activated. Their number reduced up to some tens. The Revolutionary Committee established № 22$^{nd}$ decree on the 15$^{th}$ of April, 1921. In its 14$^{th}$ and 15$^{th}$ paragraphs was mentioned: “None of religious society has a right to own any kind of properties. They are not regarded juridical persons, all their properties belong to people”. This became the basis for the Bolsheviks to robber orthodox churches and cathedrals. The process included all of Georgia.

Catholikos-Patriarch Ambrosi made a speech during his Enthronement at Svetitskhoveli 14$^{th}$ September, 1921. The problem, which Patriarch had spoken about, was not casual. The Bolsheviks began persecuting ecclesiastics together with closing churches. Catholikos-Patriarch Ambrosi Khelaia addressed to Genoa conference about this problem in 1922. Twenty-nine countries and five English dominions participated in this forum. Patriarch described the terrible situation arranged by the Bolsheviks in his addressing. The letter dealt with the hardest and unbearable situation of Georgian society and the Orthodox Church.

*მაია შორშაძე*
*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,*
*ისტორიის დოქტორი*

# საისტორიო მასალები ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ ბესარიონის მოღვაწეობის შესახებ

XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც ცნობილია, რთული და დაძაბული ვითარებით ხასიათდება, თუმცა გასულ საუკუნეებთან შედარებით, იგი გაცილებით მშვიდი და დალაგებულია, რაც ეტყობა კიდეც საისტორიო წყაროების სიმრავლესა და საეკლესიო ცხოვრების განვითარებას.

ქართლის მთავარეპისკოპოსი, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი **ბესარიონი** XVIII ს. 60-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების დასაწყისამდე მოღვაწეობდა, მაგრამ ამ პერიოდის საისტორიო სიგელებში ზოგიერთი გაუგებრობაც შეინიშნება, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთ სიგელში ჩამოთვლილნი არიან ქართლ-კახეთის იმდროინდელი მღვდელმთავარნი, სადაც აღნიშნულია, რომ **„ეპისკოპოსი სამთავნელი, ჯერეთ განუწესებელია"**. მიუხედავად ამისა, ქართლის მღვდელმთავრებიდან დასახელებულია **„ბესარიონ მიტროპოლიტი სამთავრო სა და გორისა"**[1].

არაერთი დოკუმენტი არსებობს, რომლებიც ბესარიონ მთავარეპისკოპოსის მიერ არის გაცემული ან მათშია მოხსე-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, 929.

ნიებული: 1768 (13. 12); 1772 (8. 01); 1773 (18. 04); 1779 (2. 03); 1782 (22. 01), 1785 წწ; და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე მათგანი.

არსებობს 1771 წ. 18 დეკემბრით დათარიღებული სიგელი **,,სამწყსოს საქმეთა განწესება კათოლიკოს ანტონ I-ის მიერ''.**

კათოლიკოს ანტონ I-ის ბრძანებულებით, მისი საქართველოში არყოფნის შემთხვევაში, სამწყსოს საქმეთა განწესება, როგორიცაა, მაგალითად: ეპისკოპოსთა გამორჩევა და ხელდასხმა, ხუცესთა და დიაკონთა დადგინება და ხელდასხმა, წილკნის ეკლესიასა და ქეფინისხევზე ზრუნვა, დრამისა და საკანონოს აკრება-შენახვისათვის თვალყურის დევნება, ეკლესიათა საკურთხევლის კურთხევა, სამწყსოში შეკვრისა და გახსნის უფლება და ა. შ. სამ ეპისკოპოსს ევალებოდა. ,,ჩუენ მაგიერად ზედამხედუელად განგვიწესებიაः ყოვლად სამღუდელო **მიტროპოლიტი სამთავრო სა და გორისა ბესარიონ,** ყოვლად სამღუდელო მიტროპოლიტი ტფილისისა მიხაილ, ყოვლად სამღუდელო ნინოწმიდელ მიტროპოლიტი და ათორმეტთა მონასტერთა არხიმანდრიტელი საბა და დეკანოზი ანჩისხატის ეკლესიისა გიორგი.''

ანტონ კათალიკოსის ნებით, ამ მღვდელმთავართა შეკრება უნდა მომხდარიყო ,,პალატასა ჩვენსა საპატრიარხოსა სენაკსა შინა ჩემსა''. მწიგნობრად და მწერლად უნდა დაესწროთ სასახლის პროტოდიაკონი, მეცნიერ კაცად ცნობილი ნათლისძე გიორგი.

სიგელს ახლავს მინაწერი: ,,ქ. უწმიდესი კ(ათალიკო)ზი ანტონი რომ მეორედ რუსეთს წაბძანდა და სამნი ეპისკოპოსნი თვისად მოადგილედ განგვაწესა, იმისი წიგნი{ა}''[1]. ნი{ა}''[1].

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-185; ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), 892-895.

1768 წ. 13 დეკემბრითაა დათარიღებული **„განჩინება გორის ეპისკოპოს ბესარიონის ყმის გოგილა ალადათაშვილის საქმეზე"**[1].

**მთავარეპისკოპოსი ბესარიონი** მეფეს მოახსენებს, რომ გორში მისი ყმა იყო ალადათაშვილი გოგილა, მაგრამ „იმას გორელები ყოვლის ფერს ხარჯსა და სათხოვარში ურევენო და ეკლესიას კი აღარას ემსახურებაო". მეფის ბრძანებით მან გორის მამასახლისი და ქეთხუდები მოიყვანა, რადგან ისინი ამბობდნენ, ძველიდანვე ეს ალადათაშვილი გორის ხარჯში ითვლებოდაო და რომ მეფე ვახტანგის დროს ხარჯის დავთრებიც გვაქვსო. ვადა გავიდა, მაგრამ ვერც დავთარი მოიტანეს და ვერც საბუთი, რომ „ალადაშვილს უწინ, ქართველი ბატონების დროს „გორელებში ხარჯი ეძლიოს".

მოსამართლეებმა ასეთი განაჩენი გამოიტანეს: „ვინც გორში ეკლესიის ყმანი არიან, გორის სათხოვარსა და გამოსაღებში არ ურევიან. და რადგან ესეც ეკლესიის ყმა არის და მერმე **ყოვლად სამღვდელო უფალი მთავარეპისკოპოსი ბესარიონ გორში მსახლობელთ ქართველთ ეპისკოპოსი არის, და ამის სამწყსონი არიან, ამის ყმაც ამის ეკლესიას უნდა ემსახუროს.** და როგორც გორში სხვა ეკლესიის ყმა გორის ხარჯში არ ერევა, არც ეს ალადათაშვილი გოგილა უნდა გაერიოს. და ნება ხელმწიფისა არის".

„თუ გორელებმა ამას იქით ამისი საბუთი რამ მოიტანონ, ან სიტყვა რამ ჰქონდესთ, იმის მეფობის სიმაღლეს მოახსენონ. და ნება ამათის დიდებულებისა არის" (ქკს—უნზ,

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №2144; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Sd-2999; ქართული სამართლის ძეგლები, IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1972.

ანუ 1769 წელს, სიგელს ამტკიცებს მეფე ერეკლე)[1]. ამ საკითხზე დავა, როგორც ჩანს, ამით არ ამოწურულა და ის შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

**„არზა მთავარეპისკოპოს იოასაფისა ყმათა სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით“,** რომელიც დათარიღებულია 1787 წ. 11 აპრილით, გვატყობინებს, რომ ოთხი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც იოასაფს ქართლის მთავარეპისკოპოსობა მიეღო. ამ ხნის მანძილზე გორელი ტატინაშვილები არც ერთხელ არ მისულან მასთან და თავიანთი თავი ყმად არ გამოუცხადებიათ. რადგან ისინი სულხან მდივნის მოყვრები ყოფილან, მთავარეპისკოპოსს არ შეუწუხებია, რომ მდივანს არ სწყენოდა. სიგელში იგი აღნიშნავს, რომ ტატინაშვილები ცდილობენ ეკლესიის ყმობიდან თავი გაინთავისუფლონო, მთავარეპისკოპოსი მეფე ერეკლეს მიმართავს, რომ ეკლესიას ყმა არ დაეკარგოს და როგორც მართებულია ეკლესიას ისე ემსახურონო.

მეფე ერეკლე მიმართავს გორელ ტატინაშვილებს, რადგანაც ისინი მთავარეპისკოპოსის ყმები იყვნენ, მას უნდა ემსახურონ, თორემ ურჩობისათვის პასუხს მოსთხოვდა და მძიმედ გადაახდევინებდა. თუ მათ სხვა არგუმენტი ჰქონდათ, მეფისთვის უნდა მოეხსენებინათ და მთავარეპისკოპოსი აღარ ეჩივლებინათ[2]. ეს ეხებოდათ ალადათაშვილებსაც.

მართლაც, ალადათაშვილებმა და ტატინაშვილებმა მეფე ერეკლეს სიმართლე მოახსენეს და ერთი არზით ხელმწიფეს თავიანთი სახასო ყმობა დაუდასტურეს. მეფემაც გამოიკვლია

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), 578-579.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, VII (სასამართლო არზა-ოქმები), ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1981, 717-718.

ჭეშმარიტი და სახასო ყმობა მათ ოქმით დაუმტკიცა[1]. კერძოდ, **„არზა ალადათაშვილებისა ყმობის თაობაზე მეფე ერეკლე II-ის ოქმით" (1787 წ. 26 აპრილი,**[2] გვაწვდის ცნობებს, რომ გორელი სახასო ყმები ალადათაშვილები (ალადაშვილები) – ბაბახანის ძმები იოანე, სტეფანე და როსტევანი, მეფესთან ჩიოდნენ, რომ მთავარეპისკოპოსი იოსები მათ ყმობას იჩემებდა. მეფეს მდივანბეგებისთვის დაუვალებია ამ საქმის მოგვარება და ოქმი უბოძებია. ალადათაშვილები ამტკიცებდნენ, რომ ისინი მთავარეპისკოპოსის ყმები არასდროს ყოფილან და თუ ახლა მეფე ამას ინებებდა, ასე ყოფილიყო. ეს მთელმა გორმა იცის, რომ თქვენი სახასო ყმები და თქვენი „ხარჯის მძლეველნი" ვართო – აცხადებდნენ ისინი.

მართალია, **ალადათაშვილები ყოველწლიურად ოქონის ხატს ნახევარ ლიტრა სანთელს სწირავდნენ** და სხვა დროსაც ამის დაკლებას არც აპირებდნენ, მაგრამ ამ მიზეზით მთავარეპისკოპოსნი რომ ყმად „ეჭიდებოდნენ", ეს არ მოსწონდათ და თავის მხრივ ამაზე ჩიოდნენ. მეფის სახასო ყმებს სხვადასხვაგვარი გადასახადები ჰქონდათ, ზოგს სანთელი, ზოგს აღაპის გადახდა, ზოგს ზედაშე, მაგრამ მათ ეპისკოპოსნი ყმობით არ იჭერდნენ. ალადათაშვილები მთავარეპისკოპოსისაგან მათი ყმობის დამადასტურებელი გუჯრის გამოტანას და ჩვენებას ითხოვდნენ, თვითონ კი მოწმის სახით რამდენიმე ადამიანს ასახელებდნენ: **სამთავნელს,** გარსევანიშვილებს, ტეტია მგალობელს, გორის მამასახლის ზურაბას და სხვებს. ისინი სიგელში უწინდელ ამბავსაც იხსენებენ: მამაჩვენი მეფეს გორის პირველ ხარჯს აძლევდა და ჩვენ რაც შეგვიძლია თქვენ სამსახურში ვართ, მაგრამ თეიმურაზის მეფობაში კირილე მთავარეპისკოპოსს მამაჩვენი დაუჭერია, ჩემი ყმა ხარო. რადგან მეფე იმ დროს ქართლში იმყოფებოდა,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, VII (სასამართლო არზა-ოქმები), 721-723.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Sd-2998

საქმე ანახანუმ დედოფალს მოხსენდა და მანაც მამაჩვენი სახასოდ აღიარაო.

ალადათაშვილები მეფეს მთავარეპისკოპოს ბესარიონის დროსაც ახსენებენ: ,,თქვენ რომ ასპინძას წაბრძანდით, მაშინ ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა მიგვიყუანა, ჯერ ნებით გვითხრა: ჩემი ყმობა თქვითო, კარგად გაგაძლებინებთო. ჩვენ, დიაღ, შორს დაუჭირეთ. მასუკან დაგვიჭირა, მაგრამ მაშინაც ვერ გვათქმევინა და მერმე გაგვიშვა”[1].

მეფე რომ ასპინძიდან გამარჯვებული დაბრუნდა, ალადათაშვილებს მასთან უჩივლიათ. მეფემ ოქმი უბოძა და მთავარეპისკოპოსს განუცხადა: ,,რას ემართლები, რომ აწუხებო: თუ სიტყვა გაქვს, ჩვენს სამართალში გორელებს ელაპარაკეო.” მან კი არც ილაპარაკა და აღარც საქმე დაიჭირა მათთან.

გარდა ამისა, მათი განაყოფი ერთი საბრალო კაციც ყოფილა, რომელსაც მთავარეპისკოპოსი ბესარიონი თურმე ხელს უმართავდა და თავის ყმას ეძახდა. მთავარეპისკოპოსის მორიდებით, არც გორელები ამბობდნენ ამაზე რაიმეს, თორემ საბუთი ამ შემთხვევაშიც არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ ოქონის ხატისათვის ნახევარი ლიტრა სანთელი ჰქონდა მისართმევი. მთავარეპისკოპოსი კი საბუთად იმას იშველიებდა, რომ რევაზ ამილახვრის დროს, იოსებ მუშრიბი გორის აღსაწერად რომ მისულა, მთავარეპისკოპოსს ეს ალადათაშვილების განაყოფი თავის ყმად დაუწერინებია, ხოლო თვითონ ალადათაშვილები მაშინ ქალაქში ყოფილან და გორის დავთარში ისინიც თავის ყმებად ჩაუწერინებია.

მეფე მოწმეებს, ყოვლად სამღვდელონს თუ საერონს მოუწოდებს, აღნიშნულ საკითხზე სრული ჭეშმარიტება მოახსენონ. გორის მამასახლისი ზურაბ, ბაბალაშვილი ავთანდილ, მდივნისშვილი პეტრე, ამირაღაშვილი ღვთისავარ და

[1] ქართული სამართლის ძეგლები, VII (სასამართლო არზაოქმები), 721.

ერთი 75 წლის მოხუცი კაცი ამოწმებენ, რომ **ტატინაშვილები ხელმწიფის სახასო ყმები იყვნენ, ოქონის ეკლესიას ნახევარ ლიტრა სანთელს სწირავდნენ,** ასევე სახელმწიფო დავთარში გორის ხარჯს იძლეოდნენ და მთავარეპისკოპოსისათვის არ უმსახურიათ[1]. ასე დასრულდა დავა მთავარეპისკოპოსსა და ალადათაშვილ-ტატინაშვილებს შორის. მეფემ დავა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მოიპოვება აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის საისტორიო დოკუმენტები, სადაც მთავარეპისკოპოსი ბესარიონი იხსენიება: **„ბრძანებას დიკასტერიისა დავით იასაულისადმი ღალის აღების შესახებ"** (1778 წ. 11 ივლისი), ხელრთვით ამტკიცებს „მდაბალი მთავარეპისკოპოზი ბესარიონ"[2].

**„უწყებას დიკასტერიისა დოსითეოს ნეკრესელისადმი უკანონო ჯვარისწერისა და ხელდასხმის შესახებ"** (1784 წ. 1 ნოემბერი), ახლავს ხელრთვები: **მდაბალი მთავარეპისკოპოსი ბესარიონი**, თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, მცხეთის ღვთისმშობლის ეკლესიის არქიმანდრიტი სტეფანე, მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე (ბეჭედი).

დიკასტერია ბრძანებას აძლევს დოსითეოს ნეკრესელს იმის შესახებ, რომ სარწმუნო კაცთაგან წერილით ამბავი შეეტყოთ, რომ ღვთის უშიშნი იმერელნი და უცხო ქვეყნიდან ჩამოსულნი, იქ თავიანთ ცოლ-შვილს ტოვებდნენ, მერე მღვდლებს ატყუებდნენ და ხელმეორედ ჯვარს იწერდნენ. დიკასტერია ნეკრესის ეპარქიის მღვდლებს უკრძალავდა ამგვარ საქმეში გარევას და მეოთხე ცოლის ყოლის უფლების ნებართვის მიცემისგანაც თავის არიდებას ურჩევდნენ. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი პირი მათთვის უნდა გაეგზავნათ. თუ აღნიშნული დარღვევები ეკლესიაში კვლავ განმეორდებო-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, VII (სასამართლო არზაოქმები), 722-723.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), 922-923.

და, დიკასტერია მღვდელსაც განკვეთდა ეკლესიიდან, დაქორწინებულთაც ჯვარს აყრიდა და ერთმანეთს დააშორებდა. აგრეთვე, თუ იმერეთიდან, ან სხვა ეპარქიიდან ჩამოსულ სასულიერო პირს არ ექნებოდა თავისი ეპისკოპოსის ნებართვის წიგნი, ასეთ დიაკონს ან მღვდელს მის ეპარქიაში რაიმე მღვდელმოქმედების უფლება ეკრძალებოდა[1].

* * *

რადგან ბევრია საისტორიო მასალები, ამიტომ ჩვენ გავაკეთებთ მოკლე ჩამონათვალს იმ დოკუმენტებისა, სადაც მოხსენიებულია ბესარიონ ქართლის მთავარეპისკოპოსი:

**„ბრძანება დიკასტერიისა დოსითეოს ნეკრესელისადმი კათოლიკოსის ყმების მიბარების შესახებ"** (1785 წ.–ჩღპე, 26 მარტი).

ხელრთვები: **მდაბალი მთავარეპისკოპოსი ბესარიონი,** თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, არქიმანდრიტი სტეფანე, მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე (ბეჭედი)[2].

**„განჩინება დეკანოზ სფირიდონ ანანიაშვილის სარგოს საქმეზე"** (1799 წ. 20 ივნისი)[3]. მთავარეპისკოპოსი პაისიოსი აღნიშნავდა, რომ მღვდელი ნიკოლოზ და იოსებ ანანიაშვილები დეკანოზ სფირიდონის სახლისკაცები იყვნენ და ამდენად მოწილენი. ისინი სამ მთავარეპისკოპოსს მოსწრებიან: მთავარეპისკოპოს კირილეს, ბესარიონს და იოასაფს...

მამისა და ბიძის გარიგებულ საბუთს ამტკიცებს მეფე გიორგი XII, ...„პაპაჩემს ეკლესი[ი]ის შემოსავალი შუა გაუყვია, ნახევარი საყდარს უნდა მოხმარდეს და ნახევარი მთავა-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), 949-950.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), 1036.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-594

რეპისკოპოსმა უნდა მოიხმაროს"... ხელრთვა უფლისწულებისა: დავით, ბაგრატ, თეიმურაზ[1].

**„განჩინება როსტომ თუხარელისა (სვეტიცხოვლის აზნაურიშვილისა) და ბერი ბოჭორიძის სასისხლო საქმეზე"** (1772 წ. 8 იანვარი).

როსტომ თუხარელი და ბერი ბოჭორიძე თავიანთი ნებით სახლისკაცებად შეყრილიყვნენ. შემდეგ უთანხმოება მოსვლიათ და ერთმანეთისაგან გაყრა მოუნდომებიათ. კათალიკოსმა ამ საქმის მოგვარება მთავარეპისკოპოს ბესარიონს, მდივანბეგ ფარსადანს და სამცხეთო მოხელე აზნაურიშვილებს დაავალა. „ესენი დამსხდარიყვნენ და ამ გზით ერთმანერთისაგან მოეშორებინათ"... სიგელს ამტკიცებს მეფე ერეკლე (ქკს–უ )[2].

**„განჩინება ახპატის ეკლესიის საქმეზე"** (1779 წ. 2 მარტი).

საბუთში ნათქვამია, რომ მეფე ერეკლე II-მ თბილისის ციხე თათრებს როდესაც წაართვა და თვითონ დაიკავა, მაშინ ციხის შიგნით ძველი ნორაშნის საყდრის საქმე გამოიძია და რადგანაც იგი ძველად ახპატის ეკლესიისა ყოფილიყო, ამავე ეკლესიას შესწირა.

მეფისა და კათალიკოს ანტონის ბრძანებით, საქმის მოსარიგებლად შეიკრიბნენ: მთავარეპისკოპოსი ბესარიონ, არქიმანდრიტი სტეფანე, ტერ-აფრიამ, ტერ-ისაი, ტერ-აკოფ და სხვა ქალაქის მრავალი ტერტერა. აგრეთვე ერისკაცთაგან ამილახორ-დიანბეგი, მსაჯული, მდივნები და სხვები. მსაჯულებმა ფეხის დადგმით აჩვენეს ის ადგილი, რომელიც ყაითმაზაშვილ ტერ-ფილიპეს მეფემ უბოძა. რადგან ბატონის წყა-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1977, 128-130.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), 631-634.

ლობით, მამულიც საყდრის იყო და ახპატის ხარჯით აშენებული დუქნებიც, პირი აღმოსავლეთისა და მოედნისაკენ რომელთაც ჰქონდათ და ზურგი საყდრისაკენ, ისინი ახპატის ეკლესიას დარჩა[1].

**„არზა ნინია ქარუმიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით"** (1795 წ. 9 ივნისი)[2].

ნინია ქარუმიძე მეფეს არზით ატყობინებს, რომ თბილელმა თუმანიშვილმა მარტო ერთი კაცი დაიხსნა, ოთხი კი მას ემსახურებოდა. თბილელი რომ გარდაცვლილა, ანტონ კათალიკოსი და ბესარიონ მთავარეპისკოპოსი შუამდგომლობით შესულან მეფესთან და ამის წყალობით მეფეს მისთვის ბა[ინ]დურაშვილი უბოძებია და ორმოცი წირვა უბრძანებია, რომელიც უწირვინებია კიდეც. ის მღვდელი ისევ ცოცხალი ყოფილა (დამოწმება თუ დაჭირდებოდა – მ. შ.).

მეფემ თუმანიშვილ ნიკოლოზს უბრძანა, რომ ბაინდურაშვილი ადრეც და ახლაც ქარუმიძის სამკვიდრო ყოფილა და მასზე ხელი აეღო.

**წერილი ბესარიონ მთავარეპისკოპოსისა ერასტისთან** (1773 წ. 04. 18)[3]. ამ წერილიდან ჩანს, რომ ბესარიონ მთავარეპისკოპოსი ბიძაა ერასტი გოსტაშაბიშვილისა.

**ნუსხა მიცვალებულის გასვენების ხარჯისა** (1777 წ. 03. 12). მოიხსენიება ბესარიონ მთავარეპისკოპოსი[4].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, VII (სასამართლო არზა-ოქმები), 72-73.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad-1976; ქართული სამართლის ძეგლები, VIII, (სასამართლო არზა-ოქმები და კერძო სამართლებრივი აქტები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1985, 338.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-5203; საქართველოს სიძველენი, ტ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1899 წ. №152, 154.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd-530

**თხოვნა მანუჩარ თუმანოვისა საქართველოს მმართველობის აღმსრულებელი ექსპედიციისადმი გარდაცვლილი ბესარიონ მთავარეპისკოპოსის მიერ მისგან აღებული ვალის დაბრუნების შესახებ** (1808 წ.)[1]. (აქ გასარკვევია, რომელ ბებესარიონ მთავარეპისკოპოსზეა საუბარი, გარსევანიშვილზე თუ გოსტაშაბიშვილზე? რასაც ქვემოთ შევეხებით).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია აგრეთვე დღემდე გამოუქვეყნებელი სიგელები, რომლებიც ქართლის მთავარეპისკოპოს ბესარიონის შესახებ არაერთ ცნობას გვაწვდიან:

ფონდი 1449, საქმე 2380 – გარიგების წიგნი, მიცემული მთავარეპისკოპოს ბესარიონის და სხვების მიერ ნინოწმინდელ საბა და რუსთველ დომენტისადმი (1766 წ.)[2].

1448–2454 – ბარათი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ მთავარეპისკოპოს ბესარიონისადმი, (ქრისტეფორე) თბილელის სულის მოსახსენებელი წირვის ანაზღაურების შესახებ (1771 წ.) (ამავე წელს ემთხვევა კირილეს ქართლის მთავარეპისკოპოსობა. იქნებ რომელიმე მათგანი სხვა ეპარქიის მთავარეპისკოპოსია ამ დროს და ეს იგულისხმება?)[3].

1449–862 – 1785 წლის ნუსხა მთავარეპისკოპოს ბესარიონის თამასუქის პირებისა[4].

1448–2126 [5], 2128 [6], 2136 [7] – ანგარიში მთავარეპისკოპოს ბესარიონზე გაწეული ხარჯისა (1785 წ.) (აქედან, 1448–2133 არის 1786 წლისა) [8].

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Sd-3745
[2] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №2380
[3] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2454
[4] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №862
[5] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2126
[6] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2128
[7] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2136
[8] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2133

1448–2134 – ხელწერილი (აქტი) ბესარიონ მთავარეპისკოპოსის „ნახევარ წელიწადზედ" დახარჯული სანთლისა და გუნდრუკის ფასისა (1785 წ. 23. 12)[1].

1448–2135 – ნუსხა მთავარეპისკოპოს ბესარიონის ვალის წიგნებისა (1785 წ.)[2].

1448–2137 – ხარჯის ნუსხა (1785-86 წწ.)[3].

